186
1985/2

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1985 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1985 წ.

შინაარსი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

53. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. დ. კუპრაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

54. საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მასობრივი ცურვისა და სპორტის საწყლოსნო სახეობების განვითარებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

55. ნაკლებუზრუნველყოფილი პენსიონერებისა და ოჯახების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მარტოხელა ღრმად მოხუცებული მოქალაქეებისათვის ზრუნვის გაძლიერების პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

56. საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომის მიცემის წესების დამტკიცების შესახებ
57. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში შრომის ნორმირების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

58. საქართველოს სს რესპუბლიკაში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და სარგებლობის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.
59. საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.
60. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 24 დეკემბრის № 829 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
61. მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ.
62. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სახელწოდების საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტად შეცვლის შესახებ
63. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 9 აგვისტოს № 760 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
64. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 12 ივნისის № 421 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების არასასურსათო საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა და გაყიდვის წესის ინსტრუქციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.

18/144

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

53 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვ. დ. კუპრაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წინადადება თვალსაჩინო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ვიქტორ დიმიტრის ძე კუპრაძის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ და ამასთან დაკავშირებით:

1. მიეკუთვნოს ვ. დ. კუპრაძის სახელი

— ლანჩხუთის რაიონის ერთ-ერთ საშუალო სკოლას;

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კაბინეტს ან აუდიტორიას;

— ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ახალ ქუჩას.

2. დაევალოს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაუკეთოს მემორიალური დაფა სახლს, სადაც ცხოვრობდა ვ. დ. კუპრაძე.

3. დაწესდეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასტიპენდიო ფონდიდან ვ. დ. კუპრაძის სახელობის ერთი სტიპენდია მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტისათვის.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს დადგას ვ. დ. კუპრაძის ბიუსტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის თბილისის ა. მ. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში და განსვენებულის საფლავზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

ქ. თბილისი, 1985 წ. 3 სექტემბერი, № 599.

საქ. სსრ კ. მარქსის

54 საქართველოს სს რესპუბლიკაში მასობრივი ცურვისა და სპორტის საწყლოსნო სახეობების განვითარებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ[1]

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობაა გაწეული მასობრივი ცურვისა და სპორტის საწყლოსნო სახეობების განვითარების, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აგრეთვე სპორტის საწყლოსნო სახეობების სპორტული სკოლებისა და განყოფილებების ქსელის შექმნისა და გაფართოების მიზნით.

ამასთანავე მასობრივი და სპორტული ცურვის, სპორტის საწყლოსნო და სანიჩბოსნო სახეობების განვითარებას სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები ახასიათებს.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება „ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი აღმავლობის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 11 სექტემბრის № 890 დადგენილების, რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1984 წლის 21 იანვრის კრების დადგენილების მოთხოვნები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი, სპორტული საზოგადოებები „დინამო“, „განთიადი“, „კოლმეურნე“, „ბურევესტნიკი“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, „შრომითი რეზერვები“, „ზენიტი“, „ვოდნიკი“, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სპორტული კლუბი ჯერ კიდევ არ იღებენ სათანადო ზომებს რესპუბლიკის მოსახლეობისათვის ცურვის მასობრივი სწავლებისა და არსებული მატერიალური ბაზის ეფექტიანი გამოყენების უზრუნველსაყოფად.

ასე, მაგალითად, რესპუბლიკაში არსებული 125 საცურაო აუზიდან რეგულარულად ფუნქციონირებს მხოლოდ 17. მარტო საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემაში 66 აუზიდან მუშაობს მხოლოდ 4, პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების 30 აუზიდან — 4.

დიდი ხანია უმოქმედოდაა სპორტული საზოგადოება „ლოკომოტივის“ სამი აუზი. გაუმართლებლად გაჭიანურდა საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის საწყლოსნო-სპორტული კომპლექსის მშენებლობა. ქალაქ თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, ჭიათურასა და ზუგდიდში, ახალციხის, ლანჩხუთის, ონის, ცაგერის, ხაშურის, მესტიის, ცხინვალის, წითელწყაროს, ზესტაფონისა და სხვა რაიონებში, წყალტუბოსა და ტყიბულის საქალაქო საბჭოების ზონებში ბევრი საწყლოსნო-სპორტული ობიექტი უყურადღებო-

1) დანართები არ მოიყვანება

მუსიკალური ინფორმაციის

დაა მიტოვებული, შათ არარენტაბელურად იყენებენ, დიდი შეფერხებით მუშაობენ. უფრო მეტიც, რესპუბლიკაში არსებული საცურაო აუზების დაახლოებით 80 პროცენტი მოუწყობელია მთელი წლის მუშაობისათვის, ამასთან მათი უმეტესობა შეკეთებასა და კეთილმოწყობას მოითხოვს. ყოველივე ამის გამო ფერხდება თანრიგოსანთა და მშთ ნიშნოსანთა მომზადება და მოსახლეობისათვის ცურვის მასობრივი სწავლების დავალებათა შესრულება.

ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და სპორტული ორგანიზაციები მასობრივი ცურვის, სპორტის სანიჩბოსნო და საწყლოსნო სახეობების განვითარებისათვის ძალზე არადამაკმაყოფილებლად იყენებენ თბილისის ზღვასა და სხვა წყალსატევებს, წყალსაცავებსა და მდინარეებს, რესპუბლიკის შავი ზღვის აუზის შესაძლებლობებს. ასე, მაგალითად, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე არ არის არც ერთი საცურაო აუზი ცურვის სასწავლებლად. ამის შედეგია, რომ მოსწავლეთა და სტუდენტთა 40-მდე პროცენტს და არმიაში გასაწვეეთა თითქმის ნახევარს ცურვა არ შეუძლია.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა მნიშვნელოვანი ჩამორჩენა სპორტის საწყლოსნო სახეობებში საერთო-საკავშირო მაჩვენებლებისაგან.

რესპუბლიკაში მასობრივი ცურვისა და სპორტის საწყლოსნო სახეობების შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

— მიიღონ ქმედითი ზომები მასობრივი ცურვისა და სპორტის საწყლოსნო სახეობების შემდგომი განვითარებისათვის იმ მიზნით, რომ შეიქმნას რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა ფენის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და დასვენების ორგანიზაციის პირობები;

— მიზანდასახულად წარმართონ მუშაობა სპორტის საწყლოსნო სახეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოებისა და განმტკიცების, ახალი საწყლოსნო-სპორტული და გამაჯანსაღებელი კომპლექსების მშენებლობისა და არსებული ობიექტების რემონტის მიზნით, მიიზიდონ აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობისათვის მსხვილი სამრეწველო საწარმოები, აგროსამრეწველო კომპლექსები, პროფკავშირული და სხვა ორგანიზაციები ადგილებზე, რომელთაც აქვთ საჭირო სახსრები და შესაძლებლობანი;

— გააძლიერონ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული, სამეურნეო და სპორტული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა ცურვის საყოველთაო სწავლებისა და სპორტის საწყლოსნო სახეობების განვითარებისათვის ბუნებრივ-კლიმატური პირობების მაქსიმალური გამოყენებით.

ქალაქების თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის, ჭიათურის, ზუგდიდისა და წყალტუბოს, ახალციხის, ლანჩხუთის, ონის, ცაგერის, ხაშურის, მეს-

ტიის, ცხინვალის, წითელწყაროს, ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა შესაბამის სპორტულ ორგანიზაციებთან ერთად წესრიგში მოიყვანონ არსებული საცურაო აუზები 1986 წლის 1 თებერვლისათვის, № 2 და № 3 დანართების თანახმად.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და სპორტულმა საზოგადოებებმა:

— დააწესონ მკაცრი კონტროლი არსებული საცურაო აუზების, სანიჩბოსნო ბაზების, იახტ-კლუბებისა და სხვა საწყლოსნო-სპორტული ნაგებობების ეფექტიანი გამოყენებისადმი;

— მიიღონ ქმედითი ზომები სპორტის საწყლოსნო სახეობების სპორტულ-გამაჯანსაღებელი ობიექტების დაპროექტების, მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტისათვის, № 1-3 დანართების თანახმად;

— შეიმუშაონ და განახორციელონ რესპუბლიკის თითოეულ ქალაქსა და რაიონში სპორტის საწყლოსნო სახეობათა შემდგომი განვითარების მიზნობრივი პროგრამები ადგილობრივი შესაძლებლობებისა და პირობების გათვალისწინებით, ამასთან უზრუნველყონ ერთიანი მეთოდური ხელმძღვანელობა სპორტული სკოლების მთელი ქსელის საქმიანობისადმი, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა. გადაჭრით აღმოფხვრან მწვრთნელთა შეთავსებით მუშაობის პრაქტიკა, სრულყონ სასწავლო-საწვრთნელი პროცესი, ამასთან დანერგონ პრაქტიკაში სწავლებისა და მომზადების მოწინავე მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები. გააუმჯობესონ ნაკრები გუნდების სამეცნიერო-მეთოდიკური და სამედიცინო-ბიოლოგიური უზრუნველყოფა;

— საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის, საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ძირითადი ღონისძიებანი მოახმარონ სპეციალისტთა მომზადებასა და გადამზადებას, მწვრთნელთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებას, სწავლების თანამედროვე მეცნიერული საფუძვლების შესწავლასა და დანერგვას, რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მომზადების პროცესს;

— საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში სპორტის საწყლოსნო სახეობების სპეციალობათა სტუდენტებში პრაქტიკული მუშაობის ჩვევების განვითარებისათვის გაითვალისწინონ მათი პრაქტიკის პერიოდში სტაჟირება რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში, სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, პიონერბანაკებში ცურვის საყოველთაო სწავლების ამოცანების გადაწყვეტის მიზნით;

— უზრუნველყონ პროფკავშირთა დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების მობილიზება იმისათვის, რათა უფრო მოხერხებულად და მიზანდასახუ-

ლად გამოიყენონ მსხვილი სამრეწველო საწარმოების, ფაბრიკებისა და ქარხნების არსებული შესაძლებლობანი საკურორტო ზონებსა და დასვენების ადგილებში თანამედროვე საწყლოსნო-სპორტული გამაჯანსაღებელი კომპლექსების შესაქმნელად და უზრუნველყონ მათი ეფექტიანი გამოყენება;

— 1986 წლიდან შექმნან სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკების მუდმივქსელი ბავშვთა და მოზარდთა ცურვის სპორტული სკოლებისათვის რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში;

— დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მოაწყონ ყველა ქალაქგარე, საქალაქო, პიონერულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ბანაკში მოსწავლეებისა და სტუდენტი ახალგაზრდობისათვის ცურვის სავალდებულო მასობრივი სწავლება უსაფრთხოების საჭირო პირობების დაცვით.

3. ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს“ საქართველოს რესპუბლიკურმა საბჭომ დააყენოს სრულიად საკავშირო ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ ააშენოს საცურაო აუზი ქალაქ თბილისში სპორტკომბინატ „დინამოს“ ტერიტორიაზე ამ მიზნით გამოყოფილ ადგილზე.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ 1986 წლის 1 იანვრამდე მიამაგროს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები მოქმედ საცურაო აუზებს ფიზკულტურის გაკვეთილების საათებში I-II კლასების მოსწავლეთათვის ცურვის საყოველთაო სავალდებულო სწავლების ორგანიზაციის მიზნით, დღისით აუზების გამოყენების უზრუნველსაყოფად, აგრეთვე შეიმუშაოს 1985 წლის ბოლომდე დაწყებითი კლასების მოსწავლეთათვის ცურვის მასობრივი სწავლების მუდმივმოქმედი პროგრამა.

5. საქართველოს არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ წყალმაშველმა საზოგადოებამ, საქართველოს საზღვაო სანაოსნომ ძირეულად გააუმჯობესონ მუშაობა ცურვის მასობრივი სწავლებისა და სპორტის საწყლოსნო სახეობების განვითარებისათვის და მიიღონ ქმედითი ზომები მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და გაფართოების, თანამედროვე ინვენტარითა და მოწყობილობით სანიჩბოსნო ბაზების, იახტ-კლუბებისა და აუზების უზრუნველყოფის, აგრეთვე მათი ექსპლუატაციის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

6. საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარმა საწარმოო სამმართველომ რესპუბლიკის მსხვილი ელექტროსადგურების დაპროექტებისა და მშენებლობის დროს გაითვალისწინოს მშრომელთა მასობრივი დასვენებისა და ცურვის სწავლებისათვის საწყლოსნო-სპორტული კომპლექსების ობიექტების სავალდებულო შექმნა.

7. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა დარგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შედგენის დროს გაითვალისწინონ სპორტის საწყლოსნო სახეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, გამაჯანსაღებელი კომპლექსებისა და დასვენების ზონების შექმნა და განმტკიცება

საკუთარი სახსრების ხარჯზე და დაინტერესებულ ორგანიზაციათა სახსრების კოოპერირებით.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი რესპუბლიკაში სპორტის საწყლოსნო სახეობებისათვის საჭირო ინვენტარის, სპორტული ფორმისა და მოწყობილობის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით და შემოზიდული სამამულო და იმპორტული ინვენტარის, სპორტული ფორმისა და მოწყობილობის ასორტიმენტის გასაფართოებლად.

9. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედის სახელმწიფო გეგმის პროექტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საწყლოსნო-სპორტული ობიექტების დაპროექტება და მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობისათვის ცურვის მასობრივ სწავლებას და სპორტის საწყლოსნო სახეობების განვითარებას, № 1 დანართის თანახმად.

10. შემკვეთმა სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოებმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა დაწესებულ ვადებში უზრუნველყონ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და შესაბამისი განაცხადების შემუშავება და გაცემა საგეგმო წლისათვის საჭირო მატერიალურ რესურსებსა და მოწყობილობაზე.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ სახმომარაგებამ, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ წარდგენილი დასაბუთებული განაცხადების მიხედვით უზრუნველყონ დროული დაფინანსება და მატერიალური რესურსებისა და მოწყობილობის გამოყოფა.

11. სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ დააფინანსოს საცურაო აუზებისა და სხვა საწყლოსნო-სპორტული ობიექტების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის სამუშაოები, № 2 და 3 დანართების თანახმად.

12. სსრ კავშირის მშენბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ დააფინანსოს საცურაო აუზებისა და სხვა საწყლოსნო-სპორტული ობიექტების რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის სამუშაოები, № 2 და 3 დანართების თანახმად.

13. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ უზრუნველყოს საცურაო აუზებისა და საწყლოსნო-სპორტული კომპლექსების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და კაპიტალური რემონტის სამუშაოთა დროულად განხორციელება, № 1, 2 და 3 დანართების თანახმად.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, ინსტიტუტ „საქქალაქმშენსახპროექტთან“ და სხვა დაინ-

ტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად 1986 წლის პირველი კვარტალის ბოლომდე შეიმუშაოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საცურაო აუზების განვითარებისა და განლაგების გენერალური სქემა ორ ეტაპად ხუთწლედისათვის და 2000 წლამდე და საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით წარმოუდგინოს იგი დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს. ინსტიტუტმა „საქქალაქმშენსახპროექტმა“ სამუშაოები მიმდინარე წელს შეასრულოს ინსტიტუტის საერთო გეგმის ანგარიშში, ხოლო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს ეს სამუშაოები ინსტიტუტის 1986 წლის გეგმაში.

15. საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა, საქართველოს რესპუბლიკურმა საზოგადოებამ „ცოდნამ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა ფართოდ გაშალონ სპორტის საწყლოსნო სახეობების პროპაგანდა და პოპულარიზაცია, მიიღონ ზომები ამ თემაზე დოკუმენტური, სამეცნიერო-პოპულარული და მხატვრული ფილმების გამოშვების გასაფართოებლად, გაადიდონ სამეცნიერო-პოპულარული, მეთოდიკური და საცნობარო ლიტერატურის ტირაჟი, ფართოდ გააშუქონ სპორტის საწყლოსნო სახეობათა განვითარების პრობლემები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ჯ. პატიაშვილი**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 23 ოქტომბერი, № 680.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილება

55 ნაკლებუზრუნველყოფილი პენსიონერებისა და ოჯახების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მარტოხელა ღრმად მოხუცებული მოქალაქეებისათვის ზრუნვის გაძლიერების პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშნავენ, რომ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს სს რესპუბლიკაში განხორციელდა სოციალურ ღონისძიებათა კომპლექსი ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გასაძლიერებლად, დახმარება გაუდიდდათ მარტოხელა დედებს, მოხუცებულობის გამო პენსიები მოემატათ მუშებსა და მოსამსახურეებს. შეიქმნა პენსიონერთა და იმ ქალთა საზოგადოებრივ წარმოებაში მონაწილეობისათვის უფრო ხელშემწყობი პირობები, რომელთაც მცირეწლოვანი შვილები ჰყავთ.

ამასთანავე მოსახლეობის ნაკლებუზრუნველყოფილი კატეგორიების, განსაკუთრებით მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა, ცხოვრების დონის შემდგომი ამაღლების ამოცანა მოითხოვს დამატებით ღონისძიებათა განხორციელებას მათი საპენსიო უზრუნველყოფის გაუმჯობესების, ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა სოციალური მომსახურების სისტემის განვითარების, ბავშვიანი ოჯახებისადმი სახელმწიფო დახმარების გაძლიერების მიზნით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და „ნაკლებუზრუნველყოფილი პენსიონერებისა და ოჯახების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების, მარტოხელა ღრმად მოხუცებული მოქალაქეებისათვის ზრუნვის გაძლიერების პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 14 მაისის № 436 დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 14 მაისის № 436 დადგენილებით საჭიროდ ჩაითვალა 1985 წლის 1 ნოემბრიდან:

— გაუდიდდეთ კოლმეურნეობათა წევრებს მოხუცებულობის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა თვეში 28-დან 40 მანეთამდე და შესაბამისად გადიდდეს ინვალიდობისა და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა;

— გაუდიდდეთ მუშა-მოსამსახურეებსა და მათს ოჯახებს პენსიები, რომლებიც დანიშნული აქვთ თვეში 60 მანეთამდე ოდენობით 10 წელზე მეტი ხნის წინათ, და მიუახლოვდეს ისინი ამჟამად ანალოგიური პროფესიებისა და კვალიფიკაციის მუშაკთათვის დანიშნული პენსების დონეს;

— უფლება მიეცეთ სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს დაუწესონ მუშათა, მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა რიცხვიდან მარტოხელა ძალზე გაჭირვებულ პენსიონერებს ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე პენსიების დანამატები, რაც განისაზღვრება პენსიონერთა ფაქტიური მატერიალური მდგომარეობის მიხედვით, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ პენსიებისა და დანამატის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 50 მანეთს თვეში.

2. საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ:

— უზრუნველყოს „მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეობათა წევრებისა და მათი ოჯახების საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1985 წლის 22 მაისის ბრძანებულების შესაბამისად პენსიების გადიდებასთან დაკავშირებული მუშაობის დროულად და სწორად განხორციელება, ამასთან ფართოდ გამოიყენოს საპენსიო დოკუმენტაციის დასამუშავებლად ავტომატიზაცია და გამოთვლითი ტექნიკის საშუალებანი;

— ზუსტად განსაზღვროს კონკრეტულ პირთა წრე, რომელთაც უნდა გაუდიდდეთ პენსიები; საგულდაგულო ინსტრუქტაჟი ჩაუტაროს მუშაკებს, რომლებიც პრაქტიკულად განახორციელებენ ამ ღონისძიებას, მოამზადოს საჭირო დოკუმენტაცია და უზრუნველყოს პენსიების გადაანგარიშება იმ ვარაუდით, რომ იგი დაამთავროს მიმდინარე წლის 15 ოქტომბრისათვის და განახორციელოს პენსიების გაცემა ახალი ოდენობით 1985 წლის 1 ნოემბრიდან.

საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ მიიღოს საჭირო ზომები იმისათვის, რათა დროულად მიეცეთ მიმღებთ გადაანგარიშებული პენსიები;

— საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან ერთად განიხილოს საკითხი იმის შესახებ, რომ რეორგანიზებულ იქნეს პენსიებისა და დახმარების დარიცხვისა და გაცემის რესპუბლიკური ცენტრი მმართველობის აპარატის მუშაკთა რიცხოვნობისა და მისი შენახვის ხარჯების ფარგლებში სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად ლატვიის სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საინფორმაციო-გამოთვლითი ცენტრის ანალოგიურად, და წარმოუდგინოს კონკრეტული წინადადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 1 იანვრისათვის;

— დაამთავროს 1985-1988 წლებში ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა მოქმედი პანსიონატების კომუნალური მოწყობა-აღჭურვის სამუშაოები.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინონ საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსათვის სახსრებისა და მასალების გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით ზემოაღნიშნულ სამუშაოთა საწარმოებლად კაპიტალური დაბანდებებისა და კაპიტალური რემონტისათვის გამოყოფილი სახსრების ხარჯზე,

— მოსახლეობისათვის საპროთეზო-ორთოპედიული დახმარების გაწევის გაუმჯობესების მიზნით გააფართოოს 1986-1990 წლებში თბილისის საცდელ-

ექსპერიმენტული საპროთეზო-ორთოპედიული ქარხნის სოხუმისა და ქუთაისის ფილიალები.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა უზრუნველყონ გასაფართოებელი ფილიალები საჭირო სადგომებით.

3. სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა:

— განსაზღვრონ მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა რიცხვიდან მარტოხელა ძალზე გაჭირვებულ პენსიონერთა ფაქტიური მატერიალური მდგომარეობა ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე პენსიების დანამატის დასაწესებლად, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ პენსიისა და დანამატის საერთო ოდენობა არ აღემატებოდეს 50 მანეთს თვეში;

— გაუდიდონ მოქალაქეებს, რომლებიც პენსიებს არ იღებენ, ყოველთვიური დანიშნული დახმარების ოდენობა თვეში 30 მანეთამდე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე;

— ორი თვის ვადაში განახორციელონ ინდივიდუალური აღრიცხვა მარტოხელა შრომისუუნარო და ღრმად მოხუცებული მოქალაქეებისა, რომლებსაც განსაკუთრებით ესაჭიროებათ დახმარება, და მოაწყონ მათი სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 14 მაისის № 436 დადგენილების შესაბამისად.

თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ანგარიში მარტოხელა ღრმად მოხუცებული მოქალაქეებისათვის ზრუნვის გასაძლიერებლად გაწეული მუშაობის შესახებ 1986 წლის იანვარში, ხოლო სოხუმის, ბათუმის, ქუთაისისა და რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა — 1986 წლის ივნისში.

4. სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1985 წლის 14 მაისის № 436 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლების სახელმწიფო გეგმის პროექტში ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატების (სახლ-ინტერნატების) მშენებლობა 1,2 ათასი ადგილით, № 1 დანართის თანახმად.

5. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ მიიღოს ქმედითი ზომები იმისათვის, რათა დაამთავროს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ობიექტების მშენებლობა: შრომის ვეტერანთა პანსიონატისა დუშეთის რაიონის სოფელ ბაზალეთში — 1986 წელს და ვეტერანთა სანატორიუმისა ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათში 1987 წლის პირველ ნახევარში.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

-- უზრუნველყოს ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატების სრული დაკომპლექტება კვალიფიციურ ექიმთა კადრებით;

-- ინვალიდთა სოციალურ-შრომითი რეაბილიტაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მიზნით და „რესპუბლიკის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 9 ივლისის № 559 დადგენილების შესასრულებლად ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონკრეტული წინადადებანი ქალაქ თბილისში ინვალიდთა აღდგენითი მკურნალობის რესპუბლიკური ცენტრის მშენებლობის შესახებ, იმ ვარაუდით, რომ იგი საექსპლუატაციოდ გადაეცეს მეთორმეტე ხუთწლედში.

7. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, საქართველოს სსრ ხილბოსტნეულის მეურნეობის სამინისტრომ უზრუნველყონ ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატების რიტმული მომარაგება კვების პროდუქტებით სრული მოცულობით წარდგენილი განაცხადებისა და მოქმედი ნორმების შესაბამისად.

8. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა მოქმედი პანსიონატების დამხმარე მეურნეობების გაფართოებისა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების შესახებ.

9. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის, ცხაკაიას, კასპის, თერჯოლისა და გურჯაანის რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა გააფართოონ მათს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შეფობა ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა მოქმედი პანსიონატებისადმი, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ნება დაერთოთ მოახმარონ დადგენილი წესით ამ პანსიონატების მოწყობა-აღჭურვასა და რემონტს სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრები, აგრეთვე მისცენ შეფობის წესით სამრეწველო პროდუქციის წარმოების დროს და მშენებლობაში დაზოგილი მატერიალური ფასეულობანი.

10. საწარმოო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა გააძლიერონ ზრუნვა დამსახურებულ დასვენებაზე გასული შრომის ვეტერანებისათვის,

გაუწიონ მათ საჭირო დახმარება მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში.

11. საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანების, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, რუსთავის საწარმოო გაერთიანებების „აზოტის“ და „ქიმბოჭკოს“, საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ ხელმძღვანელებმა ააშენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს 1984 წლის 28 აპრილის № 384 დადგენილების შესაბამისად საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) ვეტერანთათვის პანსიონატები და სახლ-ინტერნატები სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის მათი ფონდის სახსრების ხარჯზე, № 2 დანართის თანახმად.

12. რჩევა მიეცეს კოლმეურნეობათა რესპუბლიკურ საბჭოს მიიღოს ზომები ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა საკოლმეურნეობათაშორისო და საკოლმეურნეო პანსიონატების (სახლ-ინტერნატების) ასაშენებლად.

13. საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტთან და საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსთან ერთად შეამოწმოს, თუ როგორ სრულდება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 22 აპრილის № 356 დადგენილება „სახალხო მეურნეობაში პენსიონერთა მუშაობის მატერიალური სტიმულირების ღონისძიებათა შესახებ“ პენსიონერთა და ინვალიდთა შრომის გამოსაყენებლად და შინ მუშაობაში მათ ჩასაბმელად სპეციალური საწარმოების, საამქროებისა და უბნების შექმნის ნაწილში.

14. საქართველოს სსრ სახმშენმა უზრუნველყოს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროსა და შესაბამისი ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების შეკვეთით № 1 დანართით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავება იმ ვადებში, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი მშენებლობის დროულად დაწყებას.

15. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1985 წლის 28 თებერვალს მიიღო № 124 დადგენილება „მარტოხელა შრომისუუნარო მოქალაქეთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

16. საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, პროფკავშირთა საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა:

— მეტი ყურადღება დაუთმონ მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას, განსაკუთრებით ზრუნვას მარტოხელა ღრმად მოხუცებული შრომისუუნარო მოქალაქეებისა და ბავშვიანი ოჯახების მოთხოვნილება-საჭიროებებისათვის, შეისწავლონ და პრაქტიკულად გამოიყენონ სოციალური მომსახურების მოწინავე გამოცდილება;

— მუდმივი კონტროლი გაუწიონ ნაკლებუზრუნველყოფილი ოჯახებისა და მოქალაქეებისათვის დახმარების გასაწევად და მატერიალური კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებათა განხორციელებას.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი -	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ჯ. პატიაშვილი	**დ. ქართველიშვილი**

საქართველოს პროფკავშირთა
რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე
თ. მოსაშვილი

ქ. თბილისი, 1985 წ. 1 ოქტომბერი, № 644

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური
საბჭოს 1985 წლის 1 ოქტომბრის № 644
დადგენილების დანართი № 1

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

1986-1990 წლებში ღრმად მოხუცებულთა და ინვალიდთა პანსიონატების (სახლ-ინტერნატების) მშენებლობისა და საექსპლუატაციოდ გადაცემისა

სახლ-ინტერნატის დასახელება	ადგილების რაოდენობა	მშენებლობის დაწყების წელი	მშენებლობის დამთავრების წელი
დუშეთის	210	1981	1986
ქუთაისის	200	1986	1987
მცხეთის (ახალი კორპუსი)	300	1988	1990
ხელვაჩაურის რაიონის ფერიის (ახალი კორპუსი) .	150	1987	1989
სოხუმის რაიონის კამანის (ახალი კორპუსი) . .	140	1989	1990
თბილისის პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატი (თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალურ დაბანდებათა ლიმიტების ხარჯზე) . .	200	1988	1991
ს უ ლ	1200		

ეროვნული ბიბლიოთეკა

18144

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და
საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური
საბჭოს 1985 წლის 1 ოქტომბრის № 644
დადგენილების დანართი № 2

ნუსხა

რესპუბლიკის უწყებებისა და საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) შრომის ვეტერანთა პანსიონატებისა და სახლ-ინტერნატებისა

ობიექტების დასახელება	ადგილების რაოდენობა	იმ უწყებებისა და საწარმოო გაერთიანებების (საწარმოების) დასახელება, რომლებიც აშენებენ პანსიონატებს, მათ შორის წილობრივი მონაწილეობის წესით	მშენებლობის დაწყების წელი	მშენებლობის დამთავრების წელი
სოხუმის პანსიონატი	200	საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი	1988	1990
მანგლისის სახლ-ინტერნატი	200	საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტი	1989	1990
თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანება	250	თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო საწარმოო გაერთიანება	1987	1989
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სახლ-ინტერნატი	250	რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, რუსთავის საწარმოო გაერთიანებები „აზოტი“ და „ქიმბოჭკო“	1988	1990
საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხნის“ სახლ-ინტერნატი	250	საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის საავტომობილო ქარხანა“	1987	1989

ს.ქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

56 საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 59-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1985 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის თანდართული წესები, რომლებიც საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ შეიმუშავა.

2. სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაბამის პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად;

— საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვასთან და საცხოვრებელი სადგომების მიცემასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მკაცრად იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით დამტკიცებული წესებით;

— 1985 წლის ბოლომდე გადასინჯონ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის მართლზომიერება და საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობის სიები. აღრიცხვაზე აყვანის არამართლზომიერების შემთხვევების დადგენისას მოქალაქენი უნდა მოიხსნან აღრიცხვიდან და ამოირიცხონ რიგითობის სიებიდან, გარდა იმ მოქალაქეებისა, რომლებიც იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებში წინათ მოქმედი „წესებისა“ და „დებულებების“ მოთხოვნების თანახმად;

— 1985 წლის ბოლომდე ჩაატარონ სემინარები ახალი საბინაო კანონმდებლობის ნორმატიული აქტების გამოყენების წესების შესახებ ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისიების წევრებთან და ადგილობრივი საბჭოების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შესაბამის მუშაკებთან.

3. საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან და საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით მოამზადოს 1986 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედი საბინაო კანონმდებლობის კომენტარები.

4. საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებით გამოსცეს ქართულ და რუსულ ენებზე:

— 1986 წელს — „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესები“ — 5 ათასი ცალი, „საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების სამუშაო წესდება,“, „საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესები“, „დებულება საქართველოს სს რესპუბლიკაში საერთო საცხოვრებლების შესახებ“, „ინსტრუქცია საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის წესის შესახებ“ და „ინსტრუქცია საქართველოს სს . რესპუბლიკაში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და მათი სარგებლობის წესის შესახებ“ — 2 ათასი ცალი;

— 1987 წელს — „საქართველოს სს რესპუბლიკაში მოქმედი საბინაო კანონმდებლობის კომენტარები“ — 3 ათასი ცალი.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დასაბუთებული გაანგარიშების მიხედვით გაითვალისწინონ 1986-1987 წლებში ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტებისა და კომენტარების გამოცემისათვის საჭირო რაოდენობის ქაღალდისა და სახსრების გამოყოფა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 2 სექტემბერი № 577.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1985 წლის 2 სექ-
ტემბრის № 577 დადგენილებით

წ ე ს ე ბ ი

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემისა

I. ზოგადი დებულებანი

1. ეს წესები ადგენენ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების მიცემის ერთიან წესს, რომელიც სავალდებულოა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ყველა აღმასკომის, სამინისტროს, უწყების, საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციისათვის საქართველოს სსრ ქალაქებში, რაიონებში, ქალაქის რაიონებში, დაბებსა და სოფლებში, და უნდა უზრუნველყოს კანონიერების ზუსტი დაცვა მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემისას.

2. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა და საცხოვრებელი სადგომების მიცემა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, პროფკავშირული კომიტეტებისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მიერ ხორციელდება სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების, საქართველოს სსრ საბინაო კოდექსისა და ამ წესების შესაბამისად მუდმივი კონტროლით და საჯაროობის დაცვით.

ამ მიზნით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან იქმნება საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისიები აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის (კომისიის თავმჯდომარე), პროფკავშირული ორგანოს წარმომადგენლის (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს დეპუტატების, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შრომითი კოლექტივების წარმომადგენელთა, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და საბინაო ორგანოების მუშაკთა შემადგენლობით

კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს და მისი მუშაობის წესს განსაზღვრავს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომი.

აღნიშნული კომისიები განიხილავენ და წარუდგენენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წინადადებებს:

— საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის,

— საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომების მიცემის,

— საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში საცხოვრებელი სადგომების მიცემისადმი კონტროლის,

— გასათავისუფლებელი ან ასაღები სახლებიდან გადასასახლებელ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის,

— საცხოვრებელი სადგომების გაყოფისა და გაერთიანების,

— საცხოვრებელი სადგომების გაცვლის საკითხებზე;

— საქართველოს სსრ საბინაო კოდექსითა და ამ წესებით გათვალისწინებულ სხვა საკითხებზე.

საზოგადოებრივ კომისიათა წინადადებებს აღნიშნულ საკითხებზე განიხილავენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოების აღმასკომები ამ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას.

3. საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის საკითხებს ამზადებენ პროფკავშირული კომიტეტების საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიები ადმინისტრაციის წარმომადგენელთან ერთად და წარუდგენენ განსახილველად ადმინისტრაციასა და პროფკავშირულ-კომიტეტს.

შრომითი კოლექტივები მონაწილეობენ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში და შეაქვთ შესაბამისი რეკომენდაციები, უზრუნველყოფენ კონტროლსა და საჯაროობას საცხოვრებლის განაწილებაში.

შრომითი კოლექტივების რეკომენდაციებს საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვასთან და საცხოვრებელი სადგომების მიცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე ითვალისწინებენ ადმინისტრაცია და პროფკავშირული კომიტეტები ამ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მიღებისას.

4. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ სარგებლობაში საცხოვრებელი სადგომი, როგორც წესი, ოჯახისათვის ცალკე ბინის სახით.

5. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელი წევრები, პირადი საკუთრების უფლებით საცხოვრებელი სახლის მქონე (ან თვითნებურად აშენებულ სახლებში მცხოვრები) მოქალაქენი და ამ სახლებში მცხოვრები სხვა მოქალაქენი უზრუნველყოფილ იქნებიან საცხოვრებელი სადგომებით სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საერთო საფუძველზე.

6. სსრ კავშირის შეიარაღებული .ძალების მუშა-მოსამსახურეები აყვანილ იქნებიან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე საერთო საფუძველზე.

სამხედრო მოსამსახურეთა უზრუნველყოფა საცხოვრებელი სადგომებით ხდება სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

II. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა

7. საბინაო პირობებგასააუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა ხორციელდება, როგორც წესი, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომში.

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 37-ე მუხლის შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ შემთხვევებში და წესით მოქალაქენი შეიძლება აყვანილ იქნენ აღრიცხვაზე არა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც.

8. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვა, რომლებიც მუშაობენ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომელთაც აქვთ საბინაო ფონდი და ეწევიან საბინაო მშენებლობას ან იღებენ წილობრივ მონაწილეობას საბინაო მშენებლობაში, ხორციელდება სამუშაო ადგილის მიხედვით, ხოლო მათი სურვილისამებრ — აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

9. მოქალაქენი, რომელთაც მიატოვეს სამუშაო პენსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით და ესაჭიროებათ საბინაო პირობების გაუმჯობესება, აყვანილ იქნებიან აღრიცხვაზე საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, რომელთაც აქვთ საბინაო ფონდი და ეწევიან საბინაო მშენებლობას ან იღებენ წილობრივ მონაწილეობას საბინაო მშენებლობაში, სადაც ისინი მუშაობდნენ, ამ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად, ხოლო მათი სურვილისამებრ — აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოქალაქეებს, რომლებიც აღარ მუშაობენ პენსიაზე გადასვლის გამო, აღრიცხვაზე აყვანის უფლება უნარჩუნდებათ იმ შემთხვევაშიც, თუ პენსიაზე მყოფი მოქალაქე მოეწყობა სამუშაოდ სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

10. სამედიცინო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სავაჭრო და სხვა დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკები, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოცემული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის შრომითს კოლექტივს, მათი სურვილისამებრ აყვანილ იქნებიან აგრეთვე აღრიცხვაზე ამ კოლექტივის საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მუშა-მოსამსახურეთა თანაბრად.

11. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და მათთვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის სავალდებულო პირობაა ქალაქ თბილისში მუდმივი ცხოვრება (მუდმივი ჩაწერით) სულ ცოტა ბოლო 7 წელს, ქალაქებში სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისსა და რუსთავში, აგრეთვე საკურორტო ქალაქებში — სულ ცოტა ბოლო 5 წელს, ხოლო საქართველოს სსრ დანარჩენ ქალაქებში, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში — სულ ცოტა ბოლო 3 წელს.

საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, რაიონული საბჭოების აღმასკომებთან და პროფკავშირთა შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებით და იმ პირობით, რომ მათ მუშაკთა შორის აღარ არიან საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზე აყვანის უფლების მქონე პირები, შეუძლიათ აიყვანონ აღრიცხვაზე საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად მუშა-მოსამსახურეები, რომლებით ცხოვრობენ მუდმივი ჩაწერით ქალაქ თბილისში 7 წელზე ნაკლებს, ქალაქებში სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისში, რუსთავში, აგრეთვე საკურორტო ქალაქებში — 5 წელზე ნაკლებს, საქართველოს სსრ დანარჩენ ქალაქებში, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში — 3 წელზე ნაკლებს.

12. ამ წესების 24-ე პუნქტში აღნიშნულ საფუძველზე და ვადების ფარგლებში მოცემული დასახლებული პუნქტიდან დროებით წასული მოქალაქენი აყვანილ იქნებიან აღრიცხვაზე სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომში საერთო საფუძველზე.

13. მოქალაქენი, რომელთაც ხელოვნურად გაიუარესეს თავიანთი საბინაო პირობები საცხოვრებელი სადგომის გაცვლის ან გაყოფის, სხვა პირთა (მეუღლეების, შვილებისა და შრომისუუნარო მშობლების გარდა) ჩასახლების, იმავე დასახლებულ პუნქტში საკმარისი საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი სადგომიდან საერთო საცხოვრებელში ან ისეთ ბინაში გადასვლით, რომელშიც ცშხოვრებისას ისინი შეიძლება ცნობილ იქნენ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეებად, აგრეთვე იმავე დასახლებულ პუნქტში პირადი საკუთრების უფლებით კუთვნილი საცხოვრებელი სახლის (მისი ნაწილის) გასხვისებით, რომელშიც ოჯახის ერთ წევრზე მოდის 5 კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად შესვლის მსურველ პირთათვის — ოჯახის ერთ წევრზე 8 კვადრატულ მეტრზე მეტი, საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზე აყვანილ იქნებიან საბინაო პირობების გაუარესების დღიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრები, რომელთაც აქვთ საცხოვრებელი ფართობი არანაკლებ დაწესებული ნორმების ფარგლებში, ნებაყოფლობით გავიდნენ კოოპერატივიდან და მიიღეს პაის ღირებულება, შეიძლება აყვანილ იქნენ მოცემულ დასახლებულ პუნქტში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მხოლოდ კოოპერატივიდან გასვლის დროიდან ხუთი წლის შემდეგ.

14. საბინაო პირობებგასაუმჯობესებლად ჩაითვლებიან მოქალაქენი, თუ:

ა) ოჯახის ერთ წევრზე საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფა არ აღემატება 5 კვადრატულ მეტრს, ხოლო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესასვლელად — არ აღემატება 8 კვადრატულ მეტრს;

ბ) დიდხანს ცხოვრობენ (ქალაქ თბილისში — 10 წელზე მეტი, ხოლო დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში — 5 წელზე მეტი), მიუხედავად დაკავებული ფართობის ოდენობისა, ქვექირავნობის პირობით სახელმწიფო და

საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში ან ქირავნობის ხელშეკრულებით საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში, ანდა ინდივიდუალური საბინაო ფონდის სახლებში და არ გააჩნიათ სხვა საცხოვრებელი სადგომი;

გ) ცხოვრობენ საცხოვრებელ სადგომში (სახლში), რომელიც არ შეესაბამება დაწესებულ სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 3 სექტემბრის № 628 დადგენილება);

დ) ცხოვრობენ ბინებში, რომლებიც უკავია რამდენიმე ოჯახს, თუ მათს შემადგენლობაში არიან ზოგიერთი ქრონიკული სნეულების მძიმე ფორმებით დაავადებულნი და მათთან ერთად ცხოვრება (ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა დასკვნით) ერთ ბინაში შეუძლებელია, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა აღნიშნულ პირებს არა აქვთ იზოლირებული ოთახი;

ე) ცხოვრობენ ერთ ოთახში ან მომიჯნავე არაიზოლირებულ ოთახებში ორ-ორი და მეტი ოჯახი, მიუხედავად ნათესაური ურთიერთობისა;

ვ) ცხოვრობენ საერთო საცხოვრებლებში, სეზონური და დროებითი მუშაკების, ვადიანი შრომითი ხელშეკრულების მიხედვით მომუშავე პირების, აგრეთვე სწავლასთან დაკავშირებით ჩასახლებული მოქალაქეების გარდა;

ზ) ცხოვრობენ სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომებში;

თ) ცალკე ოთახის არმქონე ახალდაქორწინებულნი, რომლებიც პირველად დაქორწინდნენ 30 წლამდე ასაკში.

15. საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც აქვთ საბინაო ფონდი, ეწევიან საბინაო მშენებლობას ან იღებენ წილობრივ მონაწილეობას საბინაო მშენებლობაში, შეუძლიათ აიყვანონ აღრიცხვაზე და მისცენ საცხოვრებელი სადგომები მუშა-მოსამსახურეებს, რომლებსაც უკავიათ ოჯახის ერთ წევრზე 9 კვადრატულ მეტრზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი, ან როცა ერთ ბინაში ცხოვრობს ორი და მეტი ოჯახი, მაგრამ იმ პირობით, თუ არა ჰყავთ მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც უარესი საბინაო პირობები აქვთ.

16. დიდი სამამულო ომის ინვალიდები, დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომართა (პარტიზანთა) ოჯახები და დადგენილი წესით მათთან გათანაბრებული პირები ჩაითვლებიან საბინაო პირობებგასაუმჯობესებლად, თუ ისინი ცხოვრობენ კეთილმოუწყობელ ბინებში, რომლებიც არ შეესაბამებიან სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს მოცემული დასახლებული პუნქტის პირობებთან შეფარდებით, მიუხედავად დაკავებული საცხოვრებელი ფართობის ოდენობისა.

17. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხდება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ხოლო სამუშაო ადგილის მიხედვით — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რაც შემდგომ უნდა დაამტკიცოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა.

18. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის მსურველ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანა ხდება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით, ხოლო სამუშაო ადგილის მიხედვით — ადმინისტრაციის, კოლმეურნეობის გამგეობისა და იმ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომლებთანაც იქმნება კოოპერატივი.

თუ ოჯახის წევრები სხვადასხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობენ, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის მსურველთა აღრიცხვაზე აყვანის ადგილი აირჩევა ოჯახის წევრთა ურთიერთშეთანხმებით.

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის მისაღებად საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქე შეიძლება ამავე დროს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში შესვლის მსურველთა აღრიცხვაზე იმყოფებოდეს.

19. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილებანი, მათი არარსებობისას—სპეციალურად დანიშნული თანამდებობის პირნი, ხოლო სამუშაო ადგილის მიხედვით — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ პროფკავშირულ კომიტეტთან შეთანხმებით დანიშნული თანამდებობის პირნი.

20. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მოქალაქეთა აყვანა ხდება შეტანილი განცხადების საფუძველზე (დანართი № 1).

მოქალაქეებს განცხადებანი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მათი აყვანის შესახებ შეაქვთ შესაბამისად — სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის სახელზე სამუშაო ადგილის მიხედვით.

განცხადებაში აღინიშნება გვარი, სახელი, მამის სახელი, მისამართი, მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის ადგილი და სტაჟი, თანამდებობა, ოჯახის შემადგენლობა, საბინაო პირობების დახასიათება.

განცხადებას თან დაერთვის: საბინაო დავთრის ამონაწერი, დამქირავებლის პირადი ბარათის ასლი, გაცემული შესაბამისი საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციის, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის გამგეობის, სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული, რაიონული, სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასკომის სახლის (ქუჩის) კომიტეტის მიერ, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს ცნობა იმის შესახებ, რომ მოქალაქეს და მისი ოჯახის წევრებს აქვთ ან არა აქვთ მოცემულ დასახლებულ პუნქტში პირადი საკუთრების უფლებით სახლი (სახლის ნაწილი) უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში.

მოქალაქეებმა, რომელთაც საცხოვრებელი სადგომების პირველ რიგში და რიგგარეშე მიღების უფლება აქვთ, დამატებით უნდა წარადგინონ ამ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე აყვანის საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო სხვა დოკუმენტებს შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან გამოითხოვენ ორგანოები, რომლებიც ახორციელებენ აღრიცხვაზე აყვანას.

შეტანილი განცხადება რეგისტრირდება საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე აყვანის შესახებ მოქალაქეთა განცხადებების სარეგისტრაციო წიგნებში (დანართი № 2).

21. საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განცხადების შემტან მოქალაქეთა საბინაო პირობები საგულდაგულოდ უნდა შეამოწმოს სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის საბინაო საკითხთა საზოგადოებრივმა კომისიამ, ხოლო სამუშაო ადგილის მიხედვით — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციამ და პროფკავშირული კომიტეტის საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიამ, რის შესახებაც შედეგები დაწესებული ფორმის აქტი (დანართი № 3).

22. მოქალაქეთა განცხადებანი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მათი აყვანის შესახებ საბინაო პირობების შემოწმების აქტებთან და სხვა საჭირო მასალებთან ერთად განიხილება ერთი თვის ვადაში:

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის სხდომაზე;

საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში — ადმინისტრაციის და პროფკავშირული კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე.

გადაწყვეტილება საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე აყვანის ან უარის შესახებ მოქალაქეს ეცნობება წერილობით (დანართი № 4).

სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის უარი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მოქალაქეთა აყვანის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში, ხოლო საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის უარი — სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში ან პროფკავშირთა შესაბამის ორგანოში.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა სიები გამოიკვრება საყოველთაო გაცნობისათვის და პერიოდულად უნდა დაზუსტდეს.

23. მოქალაქენი, რომელთაც საცხოვრებელი სადგომების პირველ რიგში ან რიგგარეშე მიღების უფლება აქვთ (ამ წესების 34-ე, 35-ე, 36-ე და 37-ე პუნქტები), შეტანილ იქნებიან აგრეთვე ცალკე სიებში. ამ სიებში მოქალაქეთა შეტანა აღინიშნება გადაწყვეტილებაში აღრიცხვაზე აყვანის შესახებ. მოქალაქეთა შეტანა ცალკე სიაში იმ შემთხვევებშიც ხდება, როცა საცხოვრებელი სადგომების პირველ რიგში მიღების უფლება აქვთ მათი ოჯახების წევრებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქალაქენი, რომელთა უფლება საცხოვრებელი სადგომის პირველ რიგში ან რიგგარეშე მიღებაზე წარმოიქმნა აღრიცხვაზე ყოფნის პერიოდში, შეტანილ იქნებიან ცალკე სიებში მათი განცხადების შესაბამისად ამ წესების 22-ე პუნქტში აღნიშნული ორგანოების სპეციალური გადაწყვეტილებით ხსენებულ სიებში შეტანილად მოქალაქეები ითვლებიან იმ მომენტიდან, როცა წარმოიქმნა ამ სიებში მათი ყოფნის უფლება.

თუ მოქალაქეებმა დაკარგეს ცალკე სიებში, ყოფნის საფუძველი, ისინი უნდა ამოირიცხონ ამ სიებიდან აღნიშნული ორგანოების გადაწყვეტილებით, მაგრამ ინარჩუნებენ საერთო საფუძველზე საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე ყოფნის უფლებას.

ცალკე სიებში მოქალაქეთა შეტანისა და ამ სიებიდან ამორიცხვის საკითხს წინასწარ განიხილავს სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომთან არსებული საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისია ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის პროფკავშირული ორგანოს საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისია.

აღრიცხვაზე აყვანილი პირები შეიტანებიან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის წიგნში (დანართი № 5), რომელიც უნდა იყოს დანომრილი, სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული, ხოლო საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში—ადმინისტრაციის ხელმძღვანელისა და პროფკავშირული ორგანოს თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედდასმული.

საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში საცხოვრებელი სადგომების მიღების აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა სიების ასლები გადაეცემა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს დასამტკიცებლად. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს უფლება აქვს დააბრუნოს აღნიშნული სიები საწარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის მიერ განმეორებით განსახილველად, თუ მასში შეტანილი არიან მოქალაქენი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების დარღვევით.

სიის გამო მხარეთა უთანხმოების შემთხვევაში საკითხი წყდება ამ წესების 45-ე პუნქტით დადგენილი წესით.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის წიგნი ინახება როგორც მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტი. დოკუმენტებით დაუდასტურებელი, ჩანაწერები და გასწორებანი მასში არ დაიშვება.

აღნიშნულ წიგნში შეტანილი მოქალაქეთა თითოეული განცხადების მიხედვით დგება ცალკე საქმე, რომელშიც ინახება საჭირო დოკუმენტები, რომლებიც აღრიცხვაზე აყვანის საფუძველს წარმოადგენენ.

24. საცხოვრებელი სადგომის მიღების აღრიცხვაზე ყოფნის უფლება უნარჩუნდებათ მოქალაქეებს:

ა) ნამდვილ ვადიან სამსახურში გაწვევისას — ვადიანი სამხედრო სამსახურის გავლის მთელი დროის განმავლობაში, აგრეთვე ნამდვილ სამხედრო სამსახურში თადარიგიდან ოფიცერთა გაწვევისას სამ წლამდე ვადით — ნამდვილი სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდისათვის; ნაიდვილ სამხედრო სამსახურში პრაპორშჩიკად, მიჩმანად და ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურედ ყოფნისას — ნამდვილ სამხედრო სამსახურში ყოფნის პირველი ხუთი წლის განმავლობაში;

ბ) სამუშაოს პირობებისა და ხასიათის გამო (გემების ეკიპაჟები, საძიებო პარტიების, ექსპედიციების მუშაკები და ა. შ.) ან სწავლასთან დაკავშირებით (სტუდენტები, ასპირანტები და ა. შ.) მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დროებით წასვლისას — მოცემული სამუშაოს შესრულების ან სწავლის მთელი დროის განმავლობაში;

გ) მეურვის ან მზრუნველის მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით წასვლისას — ამ მოვალეობათა შესრულების მთელი დროის განმავლობაში;

დ) სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში სამკურნალოდ წასვლისას — აღნიშნულ დაწესებულებაში ყოფნის დროის განმავლობაში;

ე) სამკურნალო-შრომითს პროფილაქტორიუმში მოთავსებისას — აღნიშნულ პროფილაქტორიუმში ყოფნის მთელი დროის განმავლობაში;

ვ) დაპატიმრებისას — გამოძიებაში ან სამართალში ყოფნის მთელი დროისათვის.

ზ) საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნისას — დაჯავშნის მთელი დროისათვის.

ამ პუნქტის „ა"-„ზ" ქვეპუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში მოქალაქეებს აღრიცხვაზე ყოფნის უფლება უნარჩუნდებათ დროებით არყოფნის ვადის დამთავრების დღიდან ექვსი თვის განმავლობაში;

თ) აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის ან საერთო საცხოვრებლის მიცემისას;

ი) არჩევითს თანამდებობაზე გადასვლისას;

კ) მოხუცებულობის ან ინვალირობის გამო პენსიაზე გადასვლისას;

ლ) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მოცემული დასახლებული პუნქტიდან დროებით წასვლის სხვა შემთხვევებში აღრიცხვაზე ყოფნის უფლება მოქალაქეებს უნარჩუნდებათ წასვლის დღიდან ექვსი თვის განმავლობაში.

25. აღრიცხვაზე აყვანილი მოქალაქის გარდაცვალების ან სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე გადასვლის შემთხვევაში მის ნაცვლად აღრიცხვაზე აიყვანება მისი ოჯახის ერთ-ერთი წევრი, თუ არ გაუქმებულა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ პირებად მათი ცნობის საფუძველი; ამასთან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე სამუშაო ადგილის მიხედვით ოჯახის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წევრი აყვანილ იქნება იმ შემთხვევაში, თუ იგი მუშაობს მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში, ხოლო თუ აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქე გარდაიცვალა წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის ან პროფესიული დაავადების შედეგად, ოჯახის წევრი აღრიცხვაზე აიყვანება იმის მიუხედავად, მუშაობს თუ არა იგი მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში.

26. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვიდან მოქალაქენი მოიხსნებიან იმ შემთხვევებში, როცა:

ა) გაიუმჯობესეს საბინაო პირობები, თუ საცხოვრებელი ფართობი ოჯახის ყოველ წევრზე შეადგენს საცხოვრებელი სადგომის მიცემისათვის დაწესებულზე მეტს (ამ წესების 52-ე პუნქტი).

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვიდან მოხსნას არ ექვემდებარებიან მოქალაქენი, რომელთაც აღრიცხვაზე ყოფნის პერიოდში მიეცათ სამსახურებრივი სადგომი ანდა საცხოვრებელი სადგომის მიღების ვადის დადგომამდე მათ დროებით გაუუმჯობესდათ საბინაო პირობები;

ბ) გადავიდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე სხვა დასახლებულ პუნქტში;

გ) მოქალაქემ წარმოადგინა სინამდვილის შეუსაბამო მონაცემები, რომ მას ესაჭიროება საბინაო პირობების გაუმჯობესება, რაც აღრიცხვაზე აყვანის საფუძველი გახდა, ანდა თანამდებობის პირებმა ჩაიდინეს არამართლზომიერი მოქმედება აღრიცხვაზე აყვანის საკითხის გადაწყვეტისას;

დ) შეწყვეტილია სამუშაო ადგილას აღრიცხვაზე მყოფი პირის შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, არჩევითს თანამდებობაზე გადასვლის ან მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო პენსიაზე გადასვლის შემთხვევების გარდა;

ე) შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებად ან მიიღეს მიწის ნაკვეთი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის;

ვ) მსჯავრდებული არიან თავისუფლების აღკვეთით ექვს თვეზე მეტი ხნის ვადით, გასახლებით ან გადასახლებით; ამასთან მსჯავრდებულის ოჯახის წევრებს უნარჩუნდებათ საცხოვრებელ ადგილას აღრიცხვაზე ყოფნის უფლება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში, თუ არ გაუქმებულა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ პირებად მათი ცნობის საფუძველი.

თუ მოქალაქე უარს ამბობს დაწესებული მოთხოვნებისათვის შეუფერებელი საცხოვრებელი სადგომის მიღებაზე, ეს არ არის საფუძველი აღრიცხვიდან მისი მოხსნის ან რიგის გადატანისათვის.

საბინაო პირობების გაუუმჯობესებლად საცხოვრებელი ადგილის გამოცვლის ან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მყოფი პირის მიერ სხვა რაიონში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის მიღებისას მისი საალრიცხვო საქმე უნდა გადაეცეს სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომს ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რიგის (აღრიცხვაზე აყვანის წლის) შენარჩუნებით.

საწარმოსთან, ორგანიზაციასთან, დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გამო სამუშაო ადგილზე საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვიდან მოხსნილი მოქალაქენი აყვანილ იქნებიან აღრიცხვაზე ახალ სამუშაო ადგილას ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იმ დროიდან, რაც ისინი იმყოფებოდნენ აღრიცხვაზე წინა სამუშაო ადგილას იმ შემთხვევებში, როცა:

გადაყვანილი არიან სამუშაოდ სხვა საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მოცემული საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის მიმართ ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილებით;

დათხოვნილი იქნენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის, მუშაკთა რაოდენობის ან შტატის შემცირების გამო;

დათხოვნილი იქნენ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, რაც აბრკოლებს მუშაობის გაგრძელებას;

დათხოვნილი იქნენ იმის გამო, რომ სამუშაოზე აღადგინეს მუშა ან მოსამსახურე, რომელიც წინათ ასრულებდა ამ სამუშაოს.

წინანდელ სამუშაო ადგილას აღრიცხვაზე ყოფნის დრო გათვალისწინებული უნდა იყოს აგრეთვე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაციის (გაერთიანების, გაყოფის, შეერთების, გამოყოფის) შემთხვევებში.

სხვა საფუძველზე საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის გამო საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვიდან მოხსნილი მოქალაქენი ახალ სამუშაო ადგილას ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე აყვანილ იქნებიან საერთო წესით.

აღრიცხვიდან ხსნის ის ორგანო, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება აღრიცხვაზე აყვანის შესახებ (ამ წესების მე-17 პუნქტი). მიღებული გადაწყვეტილება მოქალაქეს ეცნობება წერილობით, აღრიცხვიდან მოხსნის საფუძვლის ჩვენებით.

27. საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის მდგომარეობისადმი კონტროლს ახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები და პროფესიულ კავშირთა შესაბამისი ორგანოები.

III. მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობა

28. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე მყოფ მოქალაქეებს საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ უვადო სარგებლობაში რიგითობის წესით, იმის კვალობაზე, თუ რამდენ ხანს იმყოფებიან აღრიცხვაზე;

საცხოვრებელი ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა მიმართ — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ;

სამუშაო ადგილის მიხედვით აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთა მიმართ — საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციის მიერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფკავშირულ ორგანოსთან ერთად, კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

29. ორ წელიწადში ერთხელ, 1 იანვრიდან 1 აპრილამდე პერიოდში, ზუსტდება საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობა და განისაზღვრება გასული წლის 31 დეკემბრამდე აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობა, რიგითობის მოქმედი სიების გაგრძელებაში მათი შემდგომი შეტანით.

საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები არა გუვიანეს 1 მარტისა წარუდგენენ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომს დასამტკიცებლად საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობის დაზუსტებულ სიებს.

სიების გამო შენიშვნების არსებობისას აღმასკომები ატყობინებენ ამის შესახებ შესაბამის საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, რომლებიც მოვალენი არიან განიხილონ ისინი. სიების გამო მხარეთა უთანხმოების შემთხვევაში საკითხი წყდება ამ წესების 45-ე პუნქტით დადგენილი წესით.

30. დადგენილი წესით მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობა განისაზღვრება განცხადების შეტანის დღიდან.

31. საცხოვრებელი სადგომის მიცემის რიგი შეიძლება გადაეტანოს ერთი წლით მოქალაქეს:

ა) რომლის მიმართ წინა წლის განმავლობაში გამოყენებულ იქნა დისციპლინური ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, ანდა ადმინისტრაციული სასჯელის ზომები შრომის დისციპლინის სისტემატური დარღვევისათვის, განსაკუთრებით გაცდენისა და არაფხიზელ მდგომარეობაში სამუშაოზე გამოცხადებისათვის, ლოთობისათვის, ხულიგნობისათვის ან სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცებისათვის;

ბ) რომელიც თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას;

გ) რომელმაც უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ხელოვნურად გაიუარესა საბინაო პირობები;

დ) რომელიც მსჯავრდებულია დანაშაულის ჩადენისათვის, თუ ამასთან იგი ამ წესების 26-ე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად არ არის მოსახსნელი საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვიდან;

ე) რომელმაც უსაფუძვლოდ განაცხადა უარი ამ წესების 52-ე და 53-ე პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად მიცემული საცხოვრებელი სადგომის მიღებაზე;

ვ) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

32. გადაწყვეტილებებს ამ წესების 31-ე პუნქტში აღნიშნულ საფუძველზე მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგის გადატანის შესა-

ხებ მიიღებს სამუშაო ადგილის მიხედვით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად, ხოლო მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომი.

33. გადაწყვეტილებანი საცხოვრებელი სადგომის მიცემის რიგის გადატანის შესახებ გამოტანილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 3 თვის ვადისა ადმინისტრაციული, დისციპლინური სასჯელის ან საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენების, ანდა გამამტყუნებელი განაჩენის ან სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ.

მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომის მიღების რიგის გადატანის შესახებ გადაწყვეტილებებში უნდა აღინიშნოს მოტივები, რომლებიც რიგის გადატანის საფუძველი გახდა, ვადა, რომლითაც გადატანილია რიგი, აგრეთვე საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა სიაში მოქალაქის რიგის ახალი ნომერი.

34. პირველ რიგში საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად საცხოვრებელი სადგომები ეძლევათ:

ა) დიდი სამამულო ომის ინვალიდებს და დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ მეომართა (პარტიზანთა) ოჯახებს და დადგენილი წესით მათთან გათანაბრებულ პირებს;

ბ) საბჭოთა კავშირის გმირებს, სოციალისტური შრომის გმირებს, აგრეთვე სამივე ხარისხის დიდების, შრომითი დიდების, „სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებში სამშობლოს სამსახურისათვის“ ორდენებით დაჯილდოებულ პირებს;

გ) პირებს, რომლებსაც აქვთ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1983 წლის 28 მარტის № 330 ბრძანებით დამტკიცებულ დაავადებათა სიაში ჩამოთვლილი ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მძიმე ფორმა (დანართი № 6);

დ) სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პერიოდში და სსრ კავშირის დაცვის სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედი არმიის შემადგენლობაში მყოფ პირებს, სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის პარტიზანებს, აგრეთვე სსრ კავშირის დაცვის საბრძოლო ოპერაციების მონაწილე სხვა პირებს;

ე) I და II ჯგუფის შრომის ინვალიდებს და III ჯგუფის ინვალიდებს სამხედრო მოსამსახურეთაგან;

ვ) სახელმწიფო თუ საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების, ადამიანის სიცოცხლის გადარჩენისათვის, სოციალისტური საკუთრებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის სსრ კავშირის მოქალაქის მოვალეობის მოხდის დროს ან წარმოებაში უბედური შემთხვევის შედეგად დაღუპულ პირთა ოჯახებს;

ზ) მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებმაც კეთილსინდისიერად და განუწყვეტლივ იმუშავეს წარმოების სფეროში არანაკლებ 15 წელიწადს ერთ

საწარმოში (გაერთიანებაში, ორგანიზაციაში), საცხოვრებელი სადგომები აღნიშნულ პირებს მიეცემათ სამუშაო ადგილის მიხედვით;

თ) დედებს, რომელთაც მიენიჭათ „გმირი დედის“ წოდება; მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ სამი და მეტი არასრულწლოვანი შვილი;

ი) მარტოხელა დედებს. მარტოხელა დედად ითვლება ქალი, რომელიც არ იმყოფება ქორწინებაში, თუ დაბადების მოწმობაში შეტანილი არაა ჩანაწერი ბაშვის მამის შესახებ ან დედის მითითებით დადგენილი წესით შეტანილია ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, და რომელიც იღებს სახელმწიფო დახმარებას ბავშვის მოვლა-პატრონომისა და აღზრდისათვის.

მარტოხელა დედები საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად აღრიცხვაზე აიყვანებიან პირველ რიგში, სანამ მათი შვილები სრულწლოვანი გახდებიან;

კ) ოჯახებს ტყუპების გაჩენისას;

ლ) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მასწავლებლებსა და სხვა პედაგოგიურ მუშაკებს;

მ) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა კატეგორიათა მოქალაქეებს:

დიდ სამამულო ომში დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახების წევრებს და დადგენილი წესით მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან: დაღუპულის ან უგზოუკვლოდ დაკარგულის კმაყოფაზე მყოფნი, რომელთაც ამასთან დაკავშირებით ეძლევათ პენსია; მშობლები; მეუღლე, რომელიც ხელმეორედ არ დაქორწინებულა, მიუხედავად იმისა, იღებს თუ არა პენსიას; შვილები, რომელთაც არა აქვთ თავიანთი ოჯახები ან თუმცა აქვთ თავიანთი ოჯახები, მაგრამ დაინვალიდდნენ. მანამ სრულწლოვანი გახდებოდნენ, აგრეთვე თავიანთი ოჯახების მქონე შვილები, რომელთა ორივე მშობელი დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა.

ოჯახის წევრთა განსაზღვრის ეს წესი გამოიყენება ამ პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებშიც, იმ პირობით, თუ ისინი ცხოვრობდნენ დაღუპულთან ერთად მისი გარდაცვალების დღისათვის.

35. საცხოვრებელი სადგომი რიგგარეშე ეძლევათ მოქალაქეებს:

ა) რომელთა ბინა საცხოვრებლად გამოუსადეგარი გახდა სტიქიური უბედურების გამო;

ბ) სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში, ნათესავებთან, მეურვესთან ან მზრუნველთან ყოფნის დამთავრების შემდეგ, საადაც ისინი იმყოფებოდნენ აღსაზრდელად, თუ შესახლება წინათ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომში შეუძლებელია;

გ) რომლებსაც უკანონოდ დაედოთ მსჯავრი და შემდგომ რეაბილიტირებულ იქნენ, თუ მათთვის წინათ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის დაბრუნება შეუძლებელია;

დ) სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმნდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ამ პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში აღნიშნულ შემთხვევებში საცხოვრებელი სადგომის რიგგარეშე მიცემის მოთხოვნის უფლება მიეცემათ მისი წარმოქმნის დღიდან 6 თვის განმავლობაში.

საცხოვრებელ სადგომებს რიგგარეშე მისცემენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომები საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია (საცხოვრებელი სადგომის კუთვნილების მიხედვით) მოქალაქის მიმართვის დღიდან არა უგვიანეს სამი თვისა.

36. პირებს, რომლებმაც დაამთავრეს ასპირანტურა, კლინიკური ორდინატურა, უმაღლესი, საშუალო სპეციალური, პროფესიულ-ტექნიკური და სხვა სასწავლებლები და განაწილების წესით იგზავნებიან სამუშაოდ სხვა ადგილზე, და მათი ოჯახების წევრებს საწარმოებმა, ორგანიზაციებმა, დაწესებულებებმა უნდა მისცენ ჩასვლის შემდეგ საცხოვრებელი სადგომი რიგგარეშე.

განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სასამართლოს, პროკურატურისა და სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოთა დაწესებულებებში, სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის საქალაქო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების სასწავლო და სპორტულ ორგანიზაციებში, აგრეთვე რაიონულ ცენტრებსა და სოფლად მდებარე კავშირგაბმულობის საწარმოებში სამუშაოდ გაგზავნილ ახალგაზრდა სპეციალისტებს საუწყებო საცხოვრებელი ფართობის უქონლობის შემთხვევაში საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები შესაბამისი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების შუამდგომლობით.

37. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ ახალდაქორწინებულებს (ამ წესების მე-14 პუნქტი), რომლებიც პირველად ქორწინდებიან 30 წლამდე ასაკში, უფლება აქვთ რიგგარეშე შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად ან მიეცემათ, როგორც მინიმუმი, ოთხი, ხოლო ახალგაზრდა ოჯახებს ქორწინების შემდეგ პირველი სამი წლის განმავლობაში შვილის გაჩენისას — ერთოთახიანი ბინა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში.

38. სხვა ადგილზე სამუშაოდ გადაყვანილ მუშაკებსა და მათი ოჯახების წევრებს საცხოვრებელი სადგომი მიეცემათ შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

39. მოქალაქენი, რომელთაც წინათ მიიღეს საცხოვრებელი სადგომები პირველ რიგში (ამ წესების 34-ე პუნქტი) და რიგგარეშე (ამ წესების 35-ე, 36-ე, 37-ე პუნქტები) აყვანილ იქნებიან საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე საერთო საფუძველზე და დაკმაყოფილდებიან საცხოვრებელი სადგომებით საერთო რიგის მიხედვით.

IV. საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესი

40. საცხოვრებელ სადგომებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის სახლებში მოქალაქეებს მისცემს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომი საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისიის მონაწილეობით.

საცხოვრებელი სადგომების მიცემის წინ აღნიშნული კომისია კვლავ შეამოწმებს რიგითობის სიაში შეტანილი თითოეული იმ მოქალაქის საბინაო პირობებს, რომლისთვისაც გათვალისწინებულია საცხოვრებელი სადგომის მიცემა, და წარუდგენს თავისი წინადადებებს აღმასკომს.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში საცხოვრებელი სადგომები ნაწილდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებით დადგენელი წესით.

41. საცხოვრებელი სადგომები საუწყებო საბინაო ფონდის სახლებში მოქალაქეებს მიეცემათ საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით, რომელსაც დაამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო სასოფლო საბჭოს აღმასკომი (დანართი № 7).

საცხოვრებელი სადგომების მიცემის საკითხებზე საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციასა და პროფკავშირულ კომიტეტს შორის წამოჭრილ უთანხმოებას, აგრეთვე ამ წესების დარღვევით მიღებულ გადაწყვეტილებებს განიხილავენ ზემდგომი ორგანიზაცია, რომელსაც ექვემდებარება მოცემული საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, და ზემდგომი პროფკავშირული ორგანო.

42. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები (აღმასკომის საბინაო ფონდის განაწილებისას), საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები (საუწყებო საბინაო ფონდის განაწილებისას) პროფკავშირთა შესაბამის დარგობრივ კომიტეტებთან (საჭირო შემთხვევებში — პროფკავშირთა საბჭოსთან) შეთანხმებით განსაზღვრავენ საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვის შეღავათიან სიებში (წიგნებში) შეტანილ იმ მოქალაქეთათვის მიზნობრივი დანიშნულებით მისაცემი საცხოვრებელი ფართობის ოდენობას (ბინების რაოდენობას), რომელთაც უფლება აქვთ პირველ რიგში რიგგარეშე მიიღონ საცხოვრებელი სადგომები, მაგრამ მთელი გასანაწილებელი საცხოვრებელი ფართობის არა უმეტეს 50 პროცენტისა.

43. საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების წინ მოქალაქეებმა კვლავ უნდა წარუდგინონ შესაბამისად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციას ამ წესების მე-20 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები, აგრეთვე ოჯახის სრულწლოვან წევრთა წერილობითი ვალდე-

ბულებანი იმის შესახებ, რომ საცხოვრებელი სადგომების მიცემის შემდეგ გაათავისუფლებენ წინათ დაკავებულ საცხოვრებელ ფართობს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლში ან პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქის კუთვნილ სახლში (დანართი № 8).

44. იმ მოქალაქეთა სიები, რომელთაც საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით გათვალისწინებულია მიეცეთ საცხოვრებელი სადგომები (დანართი № 9), მაპ შესახლებამდე ორი თვით ადრე წარედგინება განსახილველად სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადგილსამყოფელის მიხედვით და გამოიკვრება კოლექტივის გასაცნობად.

აღნიშნულ სიებთან ერთად საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს წარუდგენენ ამ წესების 43-ე პუნქტში აღნიშნულ დოკუმენტებსა და წერილობით ვალდებულებებს.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში, საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში საცხოვრებელი სადგომის მიცემის აღრიცხვაზე აყვანილ მოქალაქეებს საცხოვრებელი ფართობი მიეცემათ მხოლოდ ოჯახის იმ წევრებზე, რომლებიც მუდმივად იყვნენ ჩაწერილი საცხოვრებელ ადგილზე აღრიცხვაზე აყვანის მომენტში. გამონაკლისს შეადგენენ აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ დაბადებული შვილები და მეუღლე (ქმარი, ცოლი), რომელიც ჩაწერილია მეუღლის საცხოვრებელ ადგილზე აღრიცხვაზე აყვანის შემდეგ ან აქვს ჩაწერის უფლება იმ პირობით, რომ ქმარს (ცოლს) ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ არ მიუღია საცხოვრებელი სადგომი წინანდელი ჩაწერის ადგილზე.

45. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ან მისი საბინაო საკითხთა საზოგადოებრივი კომისია ამოწმებს საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ წარდგენილ სიებში შეტანილ იმ მოქალაქეთა საბინაო პირობებს, რომელთაც გათვალისწინებულია მიეცეთ საცხოვრებელი სადგომები. ამის შემდეგ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომი აღნიშნული სიების მიხედვით მიიღებს გადაწყვეტილებას საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ.

თუ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს აქვს შენიშვნები აღნიშნული სიების გამო, იგი ამის შესახებ შეატყობინებს შესაბამის საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, რომლებიც მოვალენი არიან განიხილონ ეს შენიშვნები ორი კვირის ვადაში, თუ თანხმობას ვერ მიაღწევენ, საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი პროფკავშირთა შესაბამის ზემდგომ კომიტეტთან შეთანხმებით.

იმ შემთხვევებში, როცა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ზემდგომ პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად ამორიცხავს ცალკეულ პირებს სიიდან, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია პროფკავშირულ კომიტეტთან ერთად წარადგენს ახალ კანდიდატურებს.

46. საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ წარდგენილი მოქალაქეთა სიების მიხედვით საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას აღმასკომს უფლება არა აქვს შეიტანოს სიებში სხვა მოქალაქენი ან ჩამოართვას საცხოვრებელი სადგომები საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს.

47. გაერთიანების (კომბინატის), საწარმოს, ორგანიზაციის სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის სახსრების, აგრეთვე საბინაო მშენებლობისათვის განკუთვნილი სხვა სახსრების ხარჯზე აშენებული საცხოვრებელი სადგომები იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების კუთვნილ სახლებში, რომლებზეც ვრცელდება სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს დებულება ან საწარმოო გაერთიანების (კომბინატის) დებულება, და საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში მოქალაქეებს მიეცემათ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანოს ერთობლივი გადაწყვეტილებით შესასახლებლად საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ სახალხო დეპუტატთა შესაბამისი საბჭოს აღმასკომისათვის შემდგომი შეტყობინებით.

48. საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომები მოქალაქეებს მიეცემათ შესაბამისი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მართვის ორგანოებისა და პროფკავშირული კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით შესასახლებლად საცხოვრებელი სადგომების მიცემის შესახებ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომისათვის შემდგომი შეტყობინაოით.

49. 47-ე და 48-ე პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ბინების განაწილებისას მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის დროს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს უფლება აქვს შეაჩეროს ბინების მიცემა და წინადადება მისცეს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას აღმოფხვრას აღნიშნული ნაკლოვანებანი. იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაეთანხმებიან აღმასკომის წინადადებას, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი მიიღებს გადაწყვეტილებას პროფკავშირის შესაბამის ზემდგომ ორგანოსთან შეთანხმებით.

50. საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის. საცხოვრებელი სადგომების მიცემის რიგითობის განსაზღვრის და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესი, რაც დადგენილია ამ წესებით, ვრცელდება საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების, აგრეთვე ამ წესების

47-ე პუნქტში აღნიშნული სახელმწიფო საწარმოების, გაერთიანებების, ორგანიზაციების მიერ აშენებულ საცხოვრებელ სადგომებზე.

51. საცხოვრებელ სადგომებში, რომლებიც თავისუფლდება სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისათვის გადაცემულ სახლებში, აგრეთვე იმ სახლების განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომებში, რომლებიც აშენებულია წილობრივი მონაწილეობის წესით საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა სახსრების გამოყენებით, პირველ რიგში შეასახლებენ ამ საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მუშაკებს, შესახლების აღნიშნული წესი გამოიყენება საცხოვრებელი სახლის გადაცემის ან მშენებლობის დამთავრების დროის მიუხედავად.

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მუშაკთა არარსებობისას განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომში შეასახლებს აღმასკომი.

52. საცხოვრებელი სადგომი მიეცემათ ერთ კაცზე 9-დან 12 კვადრატულ მეტრამდე ფარგლებში, ხოლო საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს, როგორც წესი, 12 კვადრატული მეტრი და არა უმეტეს ერთი ოთახისა ოჯახის ერთ წევრზე.

ცელკეულ კატეგორიათა მოქალაქეებს მიეცემათ ნორმის გადამეტებით დამატებითი საცხოვრებელი ფართობი ოთახის სახით ან 10 კვადრატული მეტრის ოდენობით.

მოქალაქეებს, რომლებსაც ზოგიერთი ქრონიკული დაავადების მძიმე ფორმა აქვთ, აგრეთვე მოქალაქეებს, რომლებსაც ეს ფართობი ესაჭიროებათ შესასრულებელი სამუშაოს პირობებისა და ხასიათის გამო, დამატებითი საცხოვრებელი ფართობის ოდენობა შეიძლება გაუდიდდეთ.

დამატებითი საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესსა და პირობებს და მისი მიღების უფლების მქონე მოქალაქეთა კატეგორიების ნუსხას ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა.

53. საცხოვრებელი სადგომი, რომელიც მოქალაქეს ბინადრობისთვის ეძლევა, უნდა იყოს კეთილმოწყობილი მოცემული დასახლებული პუნქტის პირობების კვალობაზე შეესაბამებოდეს დადგენილ სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს.

მისაცემი საცხოვრებელი სადგომი უნდა იყოს მოცემული დასახლებული პუნქტის ფარგლებში.

არ დაიშვება ავარიულ სახლებში, სარდაფებში, ბარაკებსა და საცხოვრებლად შეუფერებელ სხვა ნაგებობებში, აგრეთვე ასაღებ ანდა არასაცხოვრებლად გადასაყვან სახლებში განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომებში შესახლება.

54. საცხოვრებელი სადგომების მიცემისას არ დაიშვება ერთ ოთახში ცხრა წლის ასაკს გადაცილებული სხვადასხვა სქესის პირთა შესახლება, მეუღლეთა გარდა.

საცხოვრებელი სადგომის მიცემისას მხედველობაში მიიღება მოქალაქის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა ყურადსაღები გარემოებანი.

ინვალიდებს, ღრმად მოხუცებულებს, გულ-სისხლძარღვთა და სხვა მძიმე დაავადებებით სნეულ პირებს საცხოვრებელი სადგომები მიეცემათ მათი სურვილის გათვალისწინებით ქვედა სართულებზე ან ლიფტიან სახლებში.

დიდი სამამულო ომის ინვალიდებს, აგრეთვე I ჯგუფის ინვალიდებს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში უფლება ეძლევათ ამოირჩიონ სართული.

მისაცემი საცხვრებელი სადგომის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, თუ არის ოჯახში არანაკლებ 20 კვირის ორსული ქალი.

55. თუ ბინაში, სადაც დამქირავებელი ცხოვრობს, გათავისუფლდა ოთახი, რომელიც იზოლირებული არ არის მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომისაგან და მისი მომიჯნავეა, ეს ოთახი სარგებლობაში უნდა გადაეცეს დამქირავებელს.

თუ იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი თავისუფლდება ბინაში, სადაც რამდენიმე დამქირავებელი ცხოვრობს, იგი მიეცემა ამ ბინაში მცხოვრებ მოქალაქეებს, რომლებიც იმყოფებიან საბინაო პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე ან რომლებსაც აქვთ აღრიცხვაზე აყვანის უფლება, ხოლო თუ ასეთები არ არიან — იმ მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ 12 კვადრატულ მეტრზე ნაკლები საცხოვრებელი ფართობი (ამასთან მხედველობაში მიიღება დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება). თუ ბინაში არ არიან ამ პუნქტის მეორე აბზაცში მითითებული მოქალაქენი, გათავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომში შესახლება მოხდება საერთო წესით.

დამქირავებლის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომისა და განთავისუფლებული საცხოვრებელი სადგომის ფართობი, რომელზეც პრეტენზია აქვს დამქირავებელს, საერთო ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 12 კვადრატულ მეტრს ოჯახის ერთ წევრზე, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნეს დამატებითი საცხოვრებელი ფართობის უფლება და 6 კვადრატული მეტრი მთელ ოჯახზე.

შესახლების აღნიშნული წესი ვრცელდება ძველი განაშენიანების სახლებში ერთ სართულზე განთავისუფლებულ საცხოვრებელ სადგომებზეც.

56. ერთი საცხოვრებელი სადგომიდან მეორეში მთელი ოჯახით გადასახლებისას დამქირავებელი მოვალეა გაათავისუფლოს და ჩააბაროს აქტით საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას წინათ დაკავებული საცხოვრებელი სადგომი და მისი მოწყობილობა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

57. საცხოვრებელ სადგომებში შესახლება უნდა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს 20 დღისა ახალაშენებული სახლის შესახლების დაწყების დღიდან და არა უგვიანეს 30 დღისა წინანდელი დამქირავებლის მიერ ბინის განთავისუფლების დღიდან.

V. ორდერების გაფორმებისა და გაცემის წესი

58. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლში, აგრეთვე საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებში საცხოვრებელი სადგომის მიცემის გადაწყვეტილების საფუძველზე სახალხო საბჭოს აღმასკომი მოქალაქეს აძლევს დაწესებული ფორმის ორდერს (დანართი № 10), რომელიც მიცემულ საცხოვრებელ სადგომში შესახლების ერთადერთი საფუძველია.

ორდერი შეიძლება გაიცეს მხოლოდ ფაქტიურად თავისუფალ იზოლირებულ საცხოვრებელ სადგომზე.

ორდერის ბლანკები ინახება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომში როგორც მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტები.

საცხოვრებელი ფართობი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სახლებში მიეცემათ კოოპერატივის წევრებს, რომლებმაც შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებანი დაწესებული შესასვლელი და საპაიო შესატანების გადასახდელად.

ბინებში შესახლება ხდება ორდერების თანახმად, რომელთაც გასცემს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასკომი კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის ადგილსამყოფელის მიხედვით საერთო კრების მიერ დამტკიცებული კოოპერატივის წევრთა და მათი ოჯახების წევრთა სიის შესაბამისად.

59. ორდერში იწერება გვარი, სახელი, მამის სახელი მოქალაქისა, რომელსაც მიეცა საცხოვრებელი სადგომი, და მისი ოჯახის წევრებისა, აღინიშნება მათი ნათესაური ურთიერთობა და დაბადების წელი, ეს მონაცემები ორდერში იწერება მხოლოდ პასპორტების, დაბადების მოწმობების ან მათი შემცვლელი სხვა დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.

ორდერი ეძლევა უშუალოდ იმ მოქალაქეს, რომელსაც მიეცა საცხოვრებელი სადგომი, ან სხვა პირს მინდობილობით.

60. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომს შეუძლია შეაჩეროს ორდერის გაცემა საცხოვრებელ ფართობზე შემდეგ შემთხვევებში:

თუ მოქალაქე აბარებს წინათ მის მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომს ისე, რომ არ ასრულებს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს ან ამ წესების 43-ე პუნქტში აღნიშნელ ვალდებულებებს;

როცა ვლინდება გარემოებანი, რომელთაც შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ მოცემული მოქალაქისათვის საცხოვრებელი სადგომის მიცემის საკითხის გადაწყვეტაზე, მაგრამ ადრე არ იცოდა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომმა ან საწარმომ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ და პროფკავშირულმა კომიტეტმა.

61. საცხოვრებელ სადგომზე ორდერის მიღების შემდეგ მოქალაქე მოვალეა (2 კვირის ვადაში) გაათავისუფლოს დაკავებული საცხოვრებელი სადგომი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კოოპერაციული საბინაო ფონდის სახლში. უარის შემთხვევაში ორდერში აღნიშნული მოქალაქენი სასამართლო წესით იქნებიან გადასახლებული მიცემული საცხოვრებელ სადგომში. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრი მოვალეა გავიდეს კოოპერატივიდან.

62. სამხედრო ქალაქებში ორდერები საცხოვრებელ სადგომებზე გაიცემა სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

63. დადგენილი წესით მიცემულ საცხოვრებელ სადგომში შესახლებული მოქალაქე წარუდგენს ორდერს საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას, ხოლო მისი არარსებობისას — საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების დასადებად.

64. ორდერი საცხოვრებელ სადგომზე შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სასამართლო წესით იმ შემთხვევებში, როცა მოქალაქეებმა წარმოადგინეს საბინაო პირობების გაუმჯობესების ისეთი ცნობები, რომლებიც არ შეესაბამება სინამდვილეს, დარღვეულია მოქალაქეთა ან ორგანიზაციათა უფლებანი ორდერში აღნიშნულ საცხოვრებელ სადგომზე, არამართლზომიერია თანამდებობის პირთა მოქმედება საცხოვრებელი სადგომის მიცემის საკითხის გადაწყვეტისას, აგრეთვე სხვა შემთხვევებში, როცა დარღვეულია საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესი და პირობები.

ორდერი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი სასამართლო წესით მისი გაცემის დღიდან სამი წლის განმავლობაში.

შენიშვნა: საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისათვის მოქალაქეთა განცხადებების, განცხადებათა რეგისტრაციის წიგნების, საბინაო პირობების შემოწმების აქტების, მოქალაქეთა აღრიცხვის წიგნების, ორდერებისა და სხვა ფორმები ფორმდება „საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების“ დანართების ანალოგიურად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების დანართი № 1

_____ სახალხო დეპუტატთა _____
(საქალაქო, რაიონული, სადაბო, სასოფლო)

_____ საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს _____

_____
(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს)

მოქ. _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი მთლიანად)

მცხოვრები ქალაქ (დაბა, სოფელ) _____ 19____ წლიდან

მისამართით _____

განცხადება

იმასთან დაკავშირებით, რომ _____
(აღინიშნოს საცხოვრებელი ფართობის უქონლობის ან მისი შეცვლის

_____
აუცილებლობის მიზეზები, მოკლედ იქნეს დახასიათებული სახლი და დაკავებული საცხოვრე-

_____
ბელი ფართობი, აგრეთვე აღინიშნოს, აქვთ თუ არა განმცხადებელს და მასთან ერთად მცხოვ-

_____
რებ ოჯახის წევრებს პირადი საკუთრების უფლებით სახლი (ან მისი ნაწილი)

გთხოვთ შეიტანოთ აღმასკომის (საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული კომიტეტის) განსახილველად ჩემი თხოვნა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე ჩემი და ჩემი ოჯახის აყვანის შესახებ.

ჩემს შესახებ მოგახსენებთ, რომ ვმუშაობ _____
(აღინიშნოს საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის,

_____
საამქროს და ა. შ. დასახლება)

19____ წლის _____ თანამ-
(რა დროიდან)

დებობაზე.

ჩემი ოჯახი შედგება ———— სულისაგან, მათ შორის ————
(აღინიშნოს ნათესაობა, ასაკი, რა დროიდან

————————————————————————————————————
ცხოვრობს)

———————————— ცხოვრების დროს მეკავა შემდეგი საცხოვ-
(ქალაქში, დაბაში, სოფელში)

რებელი ფართობი ————————————————————
(აღინიშნოს მისამართი, საცხოვრებელი სადგომის ფართობი, ვის

————————————————————————————————————.
ეკუთვნის და ა. შ.).

————————————————————————————————————

————————————————————————————————————

დანართი: ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ (ფორმა № 1), ცნობა სამუშაო ადგილიდან, ტექაღრიცხვისა და ინვენტარიზაციის ბიუროდან პირადი საკუთრების უფლებით საცხოვრებელი სახლის (ან სახლის ნაწილის) არსებობის ან არარსებობის შესახებ.

პირადი ხელმოწერა————————————————

19———— წლის „————“ ————————————

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების დანართი № 2

წიგნი

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე აყვანის შესახებ მოქალაქეთა განცხადებების რეგისტრაციისა

ქალაქი (რაიონი) _____

დაბა (სოფელი) _____

_____

(სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის, საწარმოს, დაწესებულების,

_____

ორგანიზაციის დასახელება)

დაიწყო 19—— წლის _____

დამთავრდა 19—— წლის _____

№№ რიგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	დაკავებული საცხოვრებელი სადგომის მისამართი	კომისიის განსახილველად განცხადების გაცემის თარიღი	ვის დაეგზავნა განხილვა და თარიღი	საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის შედეგები

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების დანართი № 3

ა ქ ტ ი

განმცხადებლის საბინაო პირობების შემოწმებისა

ქალაქი (დაბა) ———————— 19——— წლის „——“ ————————

კომისიამ ————————————————————————————

————————————————————————————————————

————————————————————————————————————

———————————————————————— შემადგენლობით

შეამოწმა საბინაო პირობები მოქ. ————————————————

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

რომელიც ცხოვრობს ———————— ქუჩაზე, № —— სახლში, ბინა——, და

დაადგინა შემდეგი:

1. დაკავებული საცხოვრებელი სადგომი ————————————

(სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს,

————————————————————————————————————

უწყების, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის, პირადი საკუთრების უფლებით და ა. შ.)

სახლი შედგება ———————— ოთახისაგან, საცხოვრებელი ფართობი ————————

კვადრატული მეტრი, თითოეული ოთახის ფართობი ———————— კვადრატული

მეტრი, ოთახები იზოლირებულია, ოთახის ფართობი ———————— კვადრატული

მეტრი, ოთახები იზოლირებულია, მომიჯნავეა, —— სართულზე ——— სარ-

თულიან სახლში, სახლი ქვისაა, მსხვილპანელიანი, შერეული, ძველი, ავარიული; ოთახი (ოთახები) მშრალი, ნათელი, ნესტიანი, ბნელი (საჭიროს ხაზი გაესვას).

2. სახლის (საცხოვრებელი სადგომის) კეთილმოწყობა ——წყალსადენი, კანალიზაცია, როგორი გათბობაა ————, აბაზანა, ლიფტი, ტელეფონი და

ა. შ. ————————————————————————————————

3. პირადი ანგარიში გახსნილია ————————————————

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

4. აღნიშნულ ფართობზე ცხოვრობენ:

№№ რიგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი	ნათესაური ურთიერთობა	რა დროიდან ცხოვრობს მოცემულ დასახლებულ პუნქტში	როდის და რა საფუძველზე ჩაწერილი მოცემულ საცხოვრებელ ადგილზე	საშუშაო ადგილი, თანამდებობა, შეუშაობის სტაჟი

ფაქტიურად დაკავებული საცხოვრებელი ფართობი საშუალოდ ერთ სულზე ———————————— კვადრატული მეტრი.

შემოწმების მსვლელობაში გამოვლენილი დამატებითი ცნობები განმცხადებლის შესახებ ————————————————

————————————————

კომისიის დასკვნა: ————————————————

————————————————

————————————————

— კომისიის წევრთა ხელმოწერა: ————————————————
ინიციალები, გვარი)

————————————————

განმცხადებლის ხელმოწერა ————————————

შემოწმების აქტი განხილულია სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი კომისიის, პროფკავშირული კომიტეტის საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის სხდომაზე 19——— წლის „———“ ———

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიღებულია გადაწყვეტილება _____

(აყვანილია აღრიცხვაზე, უარი ეთქვა,

_____

უარის მიზეზი)

_____

_____

ოქმი № _____ 19 ____ წლის „____“ _____

კომისიის წევრთა ხელმოწერა:

1.

2.

3.

4.

5.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების დანართი № 4

——————————— სახალხო დეპუტატთა

საქალაქო, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომი

საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილება (საბინაო მეურნეობის სამმართველო, საბინაო-კომუნალური მეურნეობის განყოფილება, კომუნალურ საწარმოთა კომბინატი)

19———— წლის „——“ ——————

ტელეფონი № ——————

მისამართი ——————————————

მოქ. ——————————————

მცხ. ——————————————

შეტყობინება

სახალხო დეპუტატთა საქალაქო, რაიონული, ქალაქის რაიონული, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომის საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილება (ან საბინაო-კომუნალური ორგანოს დასახელება)

გაცნობებთ, რომ აღმასკომის 19—— წლის „——“ ——————

გადაწყვეტილებით (ოქმი № ———, პუნქტი №———) თქვენი ოჯახი ———

სულის შემადგენლობით აყვანილია საბინაო პირობებგასაუმჯობესებელთა აღრიცხვაზე, მოხსენილია აღრიცხვიდან (რიგი აგადატანილია).

ყოველგვარი წერილობითი მომართვისას მიუთითეთ თქვენი აღრიცხვის საქმის № ——————————

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების დანართი № 5

წიგნი №

საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა

_____

(მოქალაქეთა კატეგორიის დასახელება)

_____

ქალაქი _____

ქალაქის რაიონი _____

დაბა _____

სოფელი და რაიონი _____

_____

(სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის დასახელება)

_____

(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის დასახელება)

დაიწყო 19_____ წლის _____

დამთავრდა 19_____ წლის _____

შენიშვნები: 1. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით წიგნი მიეცემა აღმასკომის საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების განყოფილებას (ან საბინაო-კომუნალურ ორგანოს ანდა სხვა ორგანოს, რომელიც აღრიცხავს საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეებს), საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას.

2. წიგნი უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ბეჭედდასმული, მისი მდივნისა და იმ პასუხისმგებელი თანამდებობის პირის მიერ ხელმოწერილი, რომელიც აღრიცხავს საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეებს საცხოვრებელი ადგილის ან სამუშაო ადგილის მიხედვით; საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ბეჭედდასმული, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის, პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის და საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის თავმჯდომარის მიერ ხელმოწერილი.

3. წიგნი ინახება როგორც მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტი, წიგნში არ შეიძლება ამოფხეკა და ჩასწორება, ყოველგვარ ცვლილებებს გრაფებში დაამოწმებს თანამდებობის პირი, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვის სწორი წარმოებისათვის, და დაისმის ბეჭედი.

საკრებულო საქმე №	გვარი, სახელი, მამის სახელი, ოჯახის შემადგენლობა (გვარი, სახელი, მამის სახელი, ნათესაობა)	დაბადების წელი	რა დროიდან ცხოვრობს მოცემულ ოსახლეში (ან ბინაში) მუდმივი ბინადრობით (თვე, წელი)	სამუშაო ადგილი და თანამდებობა, რომელი წლიდან მუშაობს მოცემულ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში	დაკავებული საცხოვრებელი სადგომი				
					მისამართი	ოთახების რაოდენობა	საერთო ფართობი	საცხოვრებელი ფართობი	ვის ეკუთვნის სახლი, და საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის დამადასტურებელი

რა დროიდან ცხოვრობს მეუღლეთა ჩაწერით მოლაპარაკე საცხოვრებელ სადგომში (თვე, წელი)	„——" გადაწყვეტილება № ადმინისტრაციის ან პროფკავშირული კომიტეტის 19—— წლის „——" გადაწყვეტილებ № ალრიცხვაზე წაყვანის შესახებ	ალმასკომის 19—— წლის ალმასკომის 19—— წლის „——" გადაწყვეტილება № ადმინისტრაციის ან პროფკავშირული კომიტეტის 19—— წლის „——"	გადაწყვეტილება № —— საცხოვრებელი სადგომის მიღების შესახებ	გადაწყვეტილება ალრიცხვიდან მოხსნის შესახებ, გადაწყვეტილება № თარიღი	საბინაო პირობების გადამოწმება თვის აღნიშვნით და რიგითობის ახალი ნომერი წლების მიხედვით								
					1985	1987	1989	1991	1993	1995	1997	1999	2001

შენიშვნა: ყოველი 16-24 გრაფის ბოლოს საბინაო პირობების გადამოწმების დამთავრების შემდეგ — თანამდებობის პირის ხელმოწერა თა ნამდებობის აღნიშვნით, გვარი, სახელი, მამის სახელი, ბეჭდით დამოწმებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელ სადგომების მიცემის წესების დანართი № 6

ს ი ა

დაავადებებისა, რომლებიც უფლებას აძლევენ ამ დაავადებებით სნეულ პირებს პირველ რიგში მიიღონ საცხოვრებელი ფართობი

1. ყველა ორგანოსა და სისტემის ტუბერკულოზის აქტიური ფორმა ტუბერკულოზის ჩხირის გამოყოფით.

2. ფსიქიკური დაავადებანი ქრონიკული მიმდინარეობით, მყარი ფსიქოზური სიმპტომატიკითა და პიროვნების გამოხატული ცვლილებებით (შიზოფრენია, მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი, ეპილეფსიური დაავადება, პრესენილური და სენელური ფსიქოზები).

3. ცენტრალური ნერვული სისტემის ორგანული დაზიანებანი კიდურების ფუნქციისა და მენჯის ორგანოების ფუნქციის მყარი მძიმე დარღვევებით (თავის ქალისა და ტვინის მძიმე ტრავმების, ხერხემლისა და ზურგის ტვინის ტრავმების შედეგები, გაფანტული სკლეროზი, გვერდითი ამიოტროფული სკლეროზი, სირინგომიელია, ბავშვთა ცერებრალური დამბლა).

4. კეთრი.

5. განავლოვანი, საშარდე და საშოს ფისტულები, საშარდე ბუშტის სტომა, ხელოვნური უკანატანი.

6. ბრონქული ასთმის მძიმე ფორმა ხშირი შეტევით, II, III ხარისხის გართულებული სუნთქვის უკმარისობით.

შენიშვნა:

აღნიშნული სია დამტკიცებულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1983 წლის 28 მარტის № 330 ბრძანებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების დანართი № 7

ოქმი

_____

(პროფკავშირისა და საწარმოს დასახელება)

_____ ადმინისტრაციისა და პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის გაერთიანებული სხდომისა ესწრებოდნენ: ადმინისტრაციისაგან _____

(საწარმოს დირექტორი ან დირექტორის

_____ _____

მოადგილე)

პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისაგან

_____

(პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტისაგან)

_____

პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თავმჯდომარე ან თავმჯდომარის მოადგილე), წევრთა კვორუმი

დღის წესრიგი:

საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისათვის აღრიცხვაზე ასაყვანად საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის მიერ წარმოდგენილი მუშა-მოსამსახურეთა სიების განხილვა.

მოისმინეს: საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის წინადადება საბინაო-პირობებგასაუმჯობესებელი მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანის შესახებ.

მოახსენებს საბინაო-საყოფაცხოვრებო კომისიის თავმჯდომარე

ამხ. _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაადგინეს: აყვანილ იქნენ აღრიცხვაზე საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად საწ;არმოს მუშა-მოსამსახურენი თანდართული სიის

თანახმად ———————— ოთახის ———————— კაცის

რაოდენობით.

აღრიცხვაზე აყვანის უარი ეთქვას ————————

(გვარი და ინიციალები)

ვინადიან მოქმედი წესების თანახმად იგი არ ექვემდებარება აღრიცხვაზე აყვანას.

იგივე — საცხოვრებელი ფართობის მიცემაზე.

დანართი: აღრიცხვაზე ადვანილთა (საცხოვრებელი ფართობის მიმღებთა)

სია ———————— ფურცელზე.

საწარმოს (ორგანიზაციის)
ხელმძღვანელი

საწარმოს (ორგანიზაციის)
პროფკავშირის კომიტეტის
თავმჯდომარე

შენიშვნები: 1. ადმინისტრაციისა და პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის გაერთიანებული სხდომა უფლებამოსილია გადაწყვიტოს საბინაო საკითხები იმ შემთხვევაში, თუ იქნება კვორუმი, ე. ი. როცა მას ესწრება პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის წევრთა არანაკლებ ორი მესამედი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

2. სცხოვრებელი ფართობის განაწილებასთან დაკავშირებით ადმინიტრაციისა და პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტს შორის წარმოქმნილ აზრთა სხვადასხვაობას განიხილავენ ზემდგომი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების დანართი № 8

ვალდებულება

მე, _____

(გვარი, სახელი, მამის სახელი მთლიანად)

იმასთან დაკავშირებით, რომ მომეცა საცხოვრებელი სადგომი, რომელიც შედგება _____ ოთახისაგან, საცხოვრებელი ფართობი _____ კვადრატული მეტრი, _____ ქუჩის № _____ სახლის № _____ ბინაში, რომელიც ეკუთვნის _____ ვკისრულობ ვალდებულებას ამჟამად დაკავებული საცხოვრებელი სადგომი, რომელიც შედგება _____ ოთახისაგან, საცხოვრებელი ფართობი _____ კვადრატული მეტრი, _____ ქუჩის № _____ სახლის № _____ ბინაში, შევაკეთო და ჩავაბარო ტექნიკურად წესივრულ მდგომარეობაში _____ ამასთან გავათავისუფლო იგი ჩემთან ერთად მცხოვრები ყველა პირისაგან:

1. _____

2. _____

3. _____

4. _____

5. _____

6. _____

ბინის დამქირავებლის
ხელმოწერა _____

მისი ოჯახის სრულწლოვან
წევრთა ხელმოწერა

_____

_____

_____

_____

19_____ წლის „_____“ _____

№ 5

საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო პირობებგასაუმჯობესებელ მოქალაქეთა აღრიცხვისა და საცხოვრებელი სადგომების მიცემის წესების დანართი № 10

ს ი ა

მუშა-მოსამსახურეებისა, რომლებსაც ეძლევათ საცხოვრებელი სადგომები

(სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის, საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციის დასახელება)

19——— წლის „———"

№№ რიგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი, ოჯახის შემადგენლობა: გვარი, მამის სახელი, ნათესაობა	როდის არის აუცილებელი აღრიცხვაზე: თვე, წელი	დაკავებული თანამდებობა, რა დროიდან მუშაობს მოცემულ საწარმოში, დაწესებულებებში, ორგანიზაციაში	რა დროიდან ცხოვრობს მოცემულ დასახლებულ პუნქტში	ეძლევა საცხოვრებელი სადგომი				უკავია საცხოვრებელი სადგომი					
					მისამართი, ქუჩა, ბინა, სახლი, №, სადარბაზის №, სართული, კვარტალი №	ოთახების რაოდენობა	საცხოვრებელი ფართობი	ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის გადწყვეტილების თარიღი და №	მისამართი	ოთახების რაოდენობა	საცხოვრებელი ფართობი	საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი სადგომის მოცულობასთან	რა დროიდან ცხოვრობს და ჩაწერილია მუდმივად	ვის გადაეცემა აღნაგები სადგომი: აღმასკომს, თუ ორგანიზაციას, ვინ რიგება ოჯახიდან ნახლდელ სადგომში

გ. ა. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის, საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერა

გ. ა. პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარის ხელმოწერა

(წინა მხარე)

_____ სახალხო დეპუტატთა
საბჭოს აღმასკომი
ᲧᲣᲐ ᲝᲠᲓᲔᲠᲘᲡᲐ № _____ სერია № _____
საცხოვრებელ სადგომზე
_____ ში
დასახლებული პუნქტის დასახელება
მოქ. _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)
ოჯახით _____ სული, მიეცა საცხოვრებელი
სადგომი _____ ქუჩაზე, სახლი № _____,
ბინა _____
საერთო ფართობი _____ კვ. მეტრი,
მათ შორის საცხოვრებელი ფართობი _____ კვ. მეტრი,
ოთახების რაოდენობა _____
(სიტყვებით)
სამზარეულო _____
(ცალკე, საერთო)
დამატებითი სათავსები
1. _____
2. _____
3. _____
(უკანა მხარე)
მოქ. _____ ოჯახი, რომლის
წევრები უნდა ჩაეწერონ მოცემულ საცხოვრებელ
სადგომში,
შედგება _____ სულისაგან

_____ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომი
ᲝᲠᲓᲔᲠᲘ № _____ სერია № _____
საცხოვრებელ სადგომზე
_____ ში
დასახლებული პუნქტის დასახელება
მოქ. _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)
ოჯახით _____ სული, მიეცა საცხოვრებელი სადგომი
_____ ქუჩაზე, სახლი № _____ ბინა _____
საერთო ფართობი _____ კვ. მეტრი,
მათ შორის საცხოვრებელი ფართობი _____ კვ. მეტრი
ოთახების რაოდენობა _____
(სიტყვებით)
სამზარეულო _____
(ცალკე, საერთო)
დამატებითი სათავსები
1. _____
2. _____
3. _____
მოქ. _____ ოჯახი, რომლის
წევრები უნდა ჩაეწერონ მოცემულ საცხოვრებელ სადგომში,
შედგება _____ სულისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ნათესაური ურთიერთობა	დაბადების წელი

ორდერი გაცემულია _____

_____ საფუძველზე

ორდერის გაცემის თარიღი _____

მიმღების ხელმოწერა _____

_____ სახალხო დეპუტატთა საბჭოს

ალმასკომის თავმჯდომარე _____

(ხელმოწერა)

გვარი, სახელი, მამის სახელი	ნათესაური ურთიერთობა	დაბადების წელი

_____ სახალხო დეპუტატთა

საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარე

_____

(ხელმოწერა)

57 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში შრომის ნორმირების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო აღნიშავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში გაუმჯობესდა შრომის ნორმირება. გადიდდა მუშათა ინიციატივით გადასინჯული ნორმების, ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით მომუშავე მენარდე მუშებისა და დროებრივი მუშების და ნორმების გადასინჯვის შედეგად პირობით განთავისუფლებული მუშაკების ხვედრითი წონა, შემცირდა იმ მენარდე მუშების ხვედრითი წონა, რომლებიც ვერ ასრულებენ გამომუშავების ნორმებს.

ამასთანავე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომის ნორმირების დონე არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ბევრ საწარმოში იყენებენ შემცირებულ, მოძველებულ და საცდელ-სტატისტიკურ ნორმებს, განსაკუთრებით დამხმარე სამუშაოებზე, რაც წარმოშობს სერიოზულ ნაკლოვანებებს შრომისა და წარმოების ორგანიზაციაში, გათანაბრებასა და სხვადასხვაობას შრომის ანაზღაურებაში, ხელფასის ფონდის გამოყენებაში, ეს კი თავის მხრივ იწვევს მის გადახარჯვას, ოპტიმალური თანაფარდობის დარღვევას შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის.

ბევრ საწარმოსა და გაერთიანებაში ტექნოლოგიის სრულყოფის, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესების, ახალი, უფრო მწარმოებლური მოწყობილობის დანერგვის ღონისძიებებთან ერთად არ ხდება გამომუშავების მოქმედი ნორმების გადასინჯვა, ამ მუშაობაში ყოველთვის როდი აბამენ მუშებს, ოსტატებსა და ტექნოლოგებს, შესაბამის საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ზოგიერთ საწარმოსა და ორგანიზაციაში არ იმუშავებენ გამომუშავების ნორმების გადასინჯვის, შრომის ნორმირებაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მისი ნაყოფიერების ამაღლების ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელების კალენდარულ გეგმებს.

ასეთი მდგომარეობა იმითაც არის განპირობებული, რომ ერთგვარად შესუსტდა რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტების კონტროლი საწარმოებსა და გაერთიანებებში შრომის ნორმირების მდგომარეობისადმი, შრომის დანახარჯების პროგრესული დარგთაშორისი და დარგობრივი ნორმატივების ფართოდ დანერგვის უზრუნველყოფისადმი.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში შრომის ნორმირების ძირეული გაუმჯობესებისა და ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ საკავშირო დაქვემდებარების

გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, პროფკავშირთა შესაბამისმა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა მიიღონ სახელმძღვანელოდ და განუხრელ შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1985 წლის 6 ივნისის № 540 დადგენილება „სახალხო მეურნეობაში შრომის ნორმირების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (თან ერთვის), და დაევალოთ მათ:

— შეიმუშაონ და განახორციელონ სახალხო მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო დარგების თითოეულ გაერთიანებაში, საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში შრომის ნორმირების ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსი, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ 1986 წლის დამლევისათვის საშუალო-საკავშირო მაჩვენებლების დონემდე ამაღლდეს დროებრივ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა (რომელთა შრომა ინორმება) შრომის ნორმირება და ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებით, განსაკუთრებით დარგთაშორისი და დარგობრივი ნორმატივების მიხედვით გაანგარიშებული ნორმებით მენარდე მუშათა, დროებრივ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომითი დანახარჯების ნორმირების ხვედრითი წონა;

— შექმნან შრომის ნორმირების მართვის სისტემა, ამასთან მხედველობაში იქონიონ გამომუშავების (დროის) ნორმის, მომსახურების ნორმის დაწესება, ტექნიკისა და ტექნოლოგიის მიღწეულ დონესთან მათი შესაბამისობის სისტემატურ შემოწმებათა ჩატარება, გამოყენებული ნორმების დროულად გადასინჯვა და მათი ახალი, უფრო პროგრესული, წარმოების შეცვლილი პირობების შესაბამისი ნორმებით შეცვლა, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დანერგვა, სამუშაო ადგილების რაციონალიზაციისა და სხვა სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლება.

მოქმედი ნორმები გადასინჯონ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ფართო მონაწილეობით.

— განამტკიცონ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შრომის ნორმირების სამსახურები, აგრეთვე შრომითი დანახარჯების ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებით დასაქმებული ნორმატიულ-კვლევითი ორგანიზაციები, დააკომპლექტონ ისინი მაღალკვალიფიციური მუშაკებით.

2. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად მას შემდეგ, რაც საკავშირო ორგანოები დაამთავრებენ 1986 წელს მუშაობას შრომითი დანახარჯების დარგთაშორის ერთიან და ტიპობრივ ნორმებსა და ნორმატივებში ცვლილებათა შესატანად ტექნიკისა და ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის გათვალისწინებით, დაამთავრონ 1987 წელს შრომითი

დანახარჯების დარგობრივი (საუწყებო) ნორმებისა და ნორმატივების გადასინჯვა და უზრუნველყონ ახლად შემუშავებული და დაზუსტებული დარგთაშორისი და დარგობრივი ნორმებისა და ნორმატივების დანერგვა საქვეუწყებო გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სამუშაო ადგილების ატესტაციის ჩატარებისას.

3. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას, უზრუნველყონ 1985-1987 წლებში შრომითი დანახარჯების გამსხვილებული და კომპლექსური ნორმებისა და ფასდებების შემუშავება, დამტკიცება და დანერგვა სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე, მათში ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებულ ძირითად და დამხმარე სამუშაოთა შეტანა პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენების, სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაციისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე.

4. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა განსაზღვრონ მეურნეობათა მასშტაბების სავარაუდო გაფართოების გათვალისწინებით დამატებითი მოთხოვნილება შრომის ნორმირების ორგანიზაციის კვალიფიციურ სპეციალისტებზე 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერიოდისათვის და წარუდგინონ მიმდინარე წლის ბოლომდე მეცნიერულად დასაბუთებული გაანგარიშებანი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს.

5. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად კონტროლი გაუწიოს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების, გაერთიანებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ „სახალხო მეურნეობაში შრომის ნორმირების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1985 წლის 6 ივნისის № 540 დადგენილებისა და ამ დადგენილების შესრულებას.

6. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებთან ერთად 1986 წლის 1 ოქტომბრისათვის წარუდგინონ საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტსა და საქართველოს სსრ პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოს მოხსენებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1985 წლის 6 ივნისის № 540 დადგენილებისა და ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

7. საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტმა გააანალიზოს სამინისტროების, უწყებებისა და საბჭოთა ორგანოების მიერ წარმოდგენილი მასალები და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან ერთად 1986 წლის ბოლომდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მოხსენება კონკრეტული წინადადებებითურთ შემდგომ 1987 წლის პირველ კვარტალში სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტისა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოსათვის შესატყობინებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **თ. მოსაშვილი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 16 სექტემბერი, № 604.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო

დადგენილება № 540

1985 წლის 6 ივნისი

სახალხო მეურნეობაში შრომის ნორმირების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო აღნიშნავენ, რომ შრომის ნორმირება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ეკონომიკური და სოციალური ამოცანების გადაწყვეტაში, როგორც შრომითი პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების, სამეურნეო მექანიზმის ქმედითობის ამაღლების, წარმოების პირველადი უჯრედებისათვის, თითოეული სამუშაო ადგილისათვის მისი პრინციპების გაცნობის, მუშაკთა შრომითს წვლილთან ხელფასის ოდენობის შესაბამისობის უზრუნველყოფის საშუალება.

მაგრამ სახალხო მეურნეობაში შრომის ნორმირების ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ შეესაბამება თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის განვითარების მოთხოვნებს. ტექნოლოგიის სრულყოფას, ახალი ტექნიკის დანერგვასა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას ყოველთვის როდი ახლავს თან ნორმების შეცვლა. უარყოფითად მოქმედებს ნორმირების ხარისხზე შრომითი დანახარჯებისა და სამუშაო დროის დანაკარგების აღრიცხვაში არსებული დიდი ნაკლოვანებანი. არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა დროებრივ მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის ნორმირების მხრივ, განსაკუთრებით სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგებში. შრომის ნორმირების გაუმჯობესებისათვის მუშაობაში ყოველთვის როდი აბამენ შრომითს კოლექტივებს.

შემცირებული ნორმების გამოყენება იწვევს მათი მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულებას, არ უზრუნველყოფს უშუალო კავშირს შრომის ნა-

ყოფიერების საგეგმო დავალებათა მიღწევასთან, იწვევს ფულადი სახსრების გაუმართლებელ გაცემას, ამცირებს მატერიალური და მორალური სტიმულირების სისტემის ეფექტიანობას. ამის შედეგად ნორმები ჯერ კიდევ ვერ გახდა ხელფასის დასაბუთებული დაგეგმვისა და რეგულირების ნამდვილად ქმედითი საშუალება.

შრომის ნორმირების შემდგომი სრულყოფისა და ნაყოფიერების ზრდის რეზერვების მობილიზაციაში მისი როლის გაძლიერების, წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის მიხედვით განაწილების სოციალისტური პრინციპის თანამიმდევრული განხორციელების მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა, გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა და შესაბამისმა პროფკავშირულმა ორგანოებმა მიიღონ ზომები სახალხო მეურნეობის საწარმოო და არასაწარმოო დარგებში შრომის ნორმირების ძირეული გაუმჯობესებისათვის.

მთელი ეს მუშაობა განახორციელონ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა უფლებების გაფართოების და მათი საქმიანობის საბოლოო შედეგებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებებთან მჭიდრო კავშირით. შრომის ნორმირების სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, პროგრესული ტექნოლოგიის აქტიურ დანერგვას და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, შრომის კოლექტიური ფორმების განვითარებას, პროდუქციის შრომატევადობის შემცირებას.

შრომის ნორმირების ხარისხის ამაღლების, პროგრესული ნორმებისა და ნორმატივების ფართოდ გამოყენების ღონისძიებანი წარმართონ შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის ეკონომიკურად დასაბუთებული თანაფარდობის უზრუნველსაყოფად, მუშაკთა მატერიალური დაინტერესების გასაძლიერებლად, სატარიფო სისტემის სრულყოფისათვის საჭირო რესურსების გამოსაძებნად.

შრომის ნორმირება გააუმჯობესონ და მოქმედი ნორმები გადასინჯონ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ფართო მონაწილეობით შრომითი კოლექტივების შესახებ კანონის შესაბამისად.

აქედან გამომდინარე, უზრუნველყონ 1985-1986 წლებში:

ა) გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გამომუშავების (დროის) და მომსახურების მოქმედი ნორმების ვეგმაზომიერი შემოწმება, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ შეუსაბამონ ისინი დადგენილი წესით ტექნიკის, ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მიღწეულ დონეს;

ბ) შრომის ნორმირების, შრომითი დანახარჯების დარგთაშორისი და დარგობრივი ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებისა და გამოყენების სფეროს ვაფართოების ღონისძიებათა განხორციელება ვაჭრობაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და სხვა არასაწარმოო დარგებში დასაქმებული მუშაკებისათვის;

გ) დროებრივი მუშებისათვის ნორმირებულ დავალებათა დაწესება მათში სამუშაოთა შედგენილობისა და მოცულობის, მომსახურების ზონების, დავალებათა შესრულების რეგლამენტის აღნიშვნით, შრომითი დანახარჯების ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებისა და ნორმატივების შესაბამისად;

დ) შრომის ორგანიზაციის კოლექტიური ფორმების განვითარება და ეფექტიანობის ამაღლება სამუშაოთა დამთავრებული კომპლექსის, ნაკეთობის, სოფლის მეურნეობისა და სხვა პროდუქციის ერთეულის, მშენებლობის ეტაპის ან ობიექტის გამსხვილებული ნორმების ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

2. ნორმების პროგრესული დონის უზრუნველყოფის მიზნით დაწესდეს, რომ:

ა) შრომის ნორმები მუშებსა და მოსამსახურეებს უნდა განესაზღვროთ ძირითადად ერთიანი და ტიპობრივი ნორმების ან შრომითი დანახარჯების დარგთაშორისი და დარგობრივი ნორმატივების მიხედვით გაანგარიშებული ნორმების თანახმად. ერთიანი და ტიპობრივი ნორმების, აგრეთვე დარგთაშორისი ან დარგობრივი ნორმატივების მიხედვით გაანგარიშებული ნორმების დაძაბულობის შემანელებელი შესწორების კოეფიციენტების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ დაქვემდებარების მიხედვით ზემდგომი ორგანიზაციის და შესაბამისი პროფკავშირული კომიტეტის თანხმობით, აგრეთვე შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

ბ) გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში მოქმედი გამომუშავების (დროის) ნორმები და მომსახურების ნორმები აუცილებლად უნდა შემოწმდეს იმ მხრივ, შეესაბამებიან თუ არა ტექნიკისა და ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის მიღწეულ დონეს სამუშაო ადგილების ატესტაციის პროცესში. ატესტაციის შედეგების მიხედვით იმ სამუშაოთა მოძველებული ნორმები, რომელთა შრომატევადობა შემცირდა წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საერთო გაუმჯობესების მეოხებით, გადაისინჯება დადგენილი წესით პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით. შემდგომ სამუშაო ადგილების რაციონალიზაციის, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის და მოქმედის სრულყოფის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის, შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველსაყოფად სხვა სამეურნეო ღონისძიებათა განხორციელებისას დროულად უნდა შეიცვალოს გამოყენებული ნორმები ახალი, წარმოების შეცვლილი პირობების შესაბამისი ნორმებით. შეცდომით დაწესებული ნორმები გადაისინჯება მათი გამოვლენის კვალობაზე;

გ) მუშის (მოსამსახურის), ბრიგადის მიერ საკუთარი ინიციატივით შრომის ახალი ხერხებისა და მოწინავე გამოცდილების გამოყენება, თავისი ძალებით სამუშაო ადგილების სრულყოფა, თავისი პროფესიული ოსტატობის ამა-

ღლება და ამის საფუძველზე გამომუშავების მაღალი დონის მიღწევა სამუშაო ადგილების ატესტაციებს შორის პერიოდში არ წარმოადგენს საფუძველს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით ნორმების გადასასინჯად. ამ შემთხვევებში ნორმები შეიძლება გადაისინჯოს ბრიგადების კოლექტივების, მუშებისა და მოსამსახურეების ინიციატივით, რისთვისაც ისინი წახალისდებიან დადგენილი წესით.

3. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახმშენმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად დაამთავრონ 1986 წელს მუშაობა შრომითი დანახარჯების დარგთაშორის ერთიან და ტიპობრივ ნორმებსა და ნორმატივებში ცვლილებათა შესატანად ტექნიკისა და ტექნოლოგიის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფის გათვალისწინებით.

სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან ერთად დაამთავრონ 1987 წელს შრომითი დანახარჯების დარგობრივ (საუწყებო) ნორმებისა და ნორმატივების გადასინჯვა და უზრუნველყონ ახლად შემუშავებული და დაზუსტებული დარგთაშორისი და დარგობრივი ნორმებისა და ნორმატივების დანერგვა საქვეუწყებო გაერთიანებებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სამუშაო ადგილების ატესტაციის ჩატარებისას.

4. დაწესდეს, რომ შრომითი დანახარჯების ცენტრალიზებულად შემუშავებული ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცებისას განისაზღვრება მათი მოქმედების ვადა (მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა) წარმოების ხასიათის, ტექნოლოგიური პროცესისა და სამუშაოთა სახეობის შესაბამისად.

ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის კვალობაზე ნორმებსა და ნორმატივებში შეიტანება შესაბამისი ცვლილებანი, ხოლო მათი მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ ისინი აუცილებლად უნდა შემოწმდეს და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს ახლით.

5. სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას, უზრუნველყონ 1985-1987 წლებში შრომითი დანახარჯების გამსხვილებული და კომპლექსური ნორმებისა და ნორმატივების და ფასდებების შემუშავება, დამტკიცება და დანერგვა სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოებზე, მათში ტექნოლოგიურად ურთიერთდაკავშირებულ ძირითად და დამხმარე სამუშაოთა შეტანა პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენების, სამუშაოთა მაქსიმალური მექანიზაციისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე.

სსრ კავშირის სახმშენმა ექვსი თვის ვადაში დაამტკიცოს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით მეთოდიკური მითითებანი სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა გამსხვილებული და კომპლექსური ნორმების შემუშავებისა და გამოყენების წესის შესახებ.

6. სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა, საწარმოებმა და ორგანიზაციებმა განახორციელონ ტექნოლოგიურ პროცესთა დაპროექტების სტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაში შრომის ნორმების გაანგარიშება გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების საფუძველზე.

7. საჭიროდ ჩაითვალოს პროდუქციის (სამუშაოთა) შრომატევადობის მაჩვენებლის როლის ამაღლება წარმოებისა და შრომის დაგეგმვაში, მისი ანაზღაურებისათვის სახსრების ფორმირებაში. ამ მიზნით სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

დაუწესონ საკონსტრუქტორო, საპროექტო და საპროექტო-ტექნოლოგიურ ორგანიზაციებს საპროექტებელი პროდუქციის წარმოებისა და ტექნოლოგიური პროცესებისათვის შრომის დანახარჯების ზღვრული, ეკონომიკურად დასაშვები დონეები;

განსაზღვრონ ახალ სახეობათა პროდუქციისა და ტექნოლოგიური პროცესების პროექტების შემადგენლობაში მათი წარმოების შრომატევადობა;

უზრუნველყონ საპროექტო შრომატევადობის გეგმაზომიერი მიღწევა და მისი შემდგომი შემცირება. დაუგზავნონ საქვეუწყებო გაერთიანებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს ყოველწლიურად ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში გამოსაშვები პროდუქციის შრომატევადობის შემცირების დავალებანი, ხოლო მრეწველობის ცალკეულ დარგებში — შრომითი დანახარჯების სხვა მაჩვენებლები.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოს მონაწილეობით ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ დარგთაშორისი მეთოდიკური მითითებანი წარმოებისა და შრომის დაგეგმვაში შრომატევადობის მაჩვენებლის განსაზღვრისა და გამოყენების წესის შესახებ, ხოლო სამინისტროებმა და უწყებებმა პროფკავშირთა შესაბამისი კომიტეტების მონაწილეობით ამ მითითებათა საფუძველზე ექვსი თვის ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ შესაბამისი დარგობრივი მეთოდიკური მითითებანი საქვეუწყებო გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის.

8. დაწესდეს, რომ, მოყოლებული 1987 წლიდან, ახალ სახეობათა პროდუქციის ტექნიკური პროექტები მათი წარმოების შრომატევადობის მაჩვენებლის გარეშე არ უნდა დამტკიცდეს.

სსრ კავშირის სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა შეიტანონ 1985 წელს სტანდარტებში და ახალი ტექნიკის შექმნისა და წარმოების წესის განმსაზღვრელ სხვა ნორმატიულ-ტექნიკურ დოკუმენტებში მოთხოვნები ახალ სახეობათა პროდუქციის დამუშავებისა და დამზადების დროს შრომატევადობის მაჩვენებლის გამოყენების შესახებ.

9- სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა განამტკიცონ გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა შრომის ნორმირების სამსახურები, აგრეთვე შრომითი დანახარჯების ნორმებისა და ნორმატივების შემუშავებით დასაქმებული ნორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატიულ-კვლევითი ორგანიზაციები, დააკომპლექტონ ისინი მაღალკვალიფიციური მუშაკებით. გააფართოონ ამ ნორმატიულ-კვლევით ორგანიზაციათა ქსელი სახალხო მეურნეობის არასაწარმოო დარგებში.

10. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ მიიღონ დამატებითი ზომები შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების სპეციალისტთა მოსამზადებლად უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღების გადიდების მიზნით.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გადასინჯოს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების სპეციალისტთა მომზადების სასწავლო პროგრამები, ამასთან შეუსაბამოს ისინი შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების თეორიისა და მოწინავე პრაქტიკის თანამედროვე მოთხოვნებს;

არსებითად გააფართოოს ყველა სპეციალობის ეკონომისტთა, ინჟინერთა და ტექნიკოსთა მომზადების სასწავლო პროგრამებში შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების კურსი.

11. სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად და შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიმუშაოს და დაამტკიცოს 1986 წელს დებულება სახალხო მეურნეობაში შრომის ნორმირების ორგანიზაციის შესახებ.

გაითვალისწინოს აღნიშნულ დებულებაში შრომის ნორმირების ორგანიზაციის მეთოდიკური საფუძვლები, შრომის საკითხებზე დარგთაშორისი, დარგობრივი და ადგილობრივი ნორმატიული მასალების შემუშავების, დამტკიცებისა და გამოყენების წესი, აგრეთვე ნორმების ატესტაციის, შეცვლისა და გადასინჯვის წესი, შრომის ნორმირების მდგომარეობისადმი კონტროლის სისტემა, შრომის ნორმატიულ-კვლევით სამუშაოთა დაგეგმვისა და დაფინანსების წესი.

12. შრომის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების დანერგვით მუშათა დაინტერესების გაძლიერების მიზნით ახალი სატარიფო განაკვეთებისა და თანამდებობრივი სარგოების შემოღებამდე უფლება მიეცეთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს — მრეწველობაში პროფკავშირულ კომიტეტებთან შეთანხმებით, ხოლო სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში — სამინისტროებისა და უწყებების ნებართვით და სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით:

შრომითი დანახარჯების დარგთაშორისი, დარგობრივი და სხვა, უფრო პროგრესული ნორმატივების მიხედვით გაანგარიშებული ნორმებით და ცენტრალიზებული წესით დამტკიცებული გამსხვილებული და კომპლექსური ნორმებით მუშაობაზე გადასვლისას დაუწესონ მუშებს 20 პროცენტამდე გადიდებული სანარდო ფასდებანი;

მუხ. 52

შრომის ტექნიკურად დასაბუთებული ნორმებისა და ნორმატივების თანახმად დაწესებული ნორმირებული დავალებების მიხედვით მუშაობაზე გადასვლისას გამოიყენონ დროებრივი მუშებისათვის 10 პროცენტამდე გადიდებული, ხოლო მოწყობილობის, ინსტრუმენტის, აღჭურვილობის რემონტითა და დამზადებით, ავტომატური და ნახევრადავტომატური ხაზების, მოქნილი ავტომატიზებული წარმოებების, რიცხვითი პროგრამული მართვის ჩარხებისა და განსაკუთრებით რთული სამშენებლო ტექნიკის მომსახურებით დასაქმებული მუშებისათვის 20 პროცენტამდე გადიდებული სატარიფო განაკვეთები.

მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების საწარმოებში (მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა), სარემონტო-მექანიკურ, თერმულ, სამჭედლო-საწნეხ, ელექტროსარემონტო საამქროებში და შავი და ფერადი მეტალურგიის ლითონკონსტრუქციების საამქროებში, აგრეთვე შრომის მაღალი ინტენსიურობის სამუშაოებზე სხვა საწარმოო დარგებში ნება დაერთოთ სამინისტროებსა და უწყებებს სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით შემოიღონ საქვეუწყებო საწარმოებში მენარდე მუშებისათვის 30 პროცენტამდე გადიდებული სანარდო ფასდებანი.

ზემოაღნიშნული გადიდებული ფასდებანი შემოიღონ ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე, რაც მიღებულია პროდუქციის (სამუშაოთა) შრომატევადობის შემცირებისა და გამომუშავების (დროის) ნორმების გადასინჯვის შედეგად, ხოლო დროებრივ მუშათა სატარიფო განაკვეთები გაადიდონ ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე, რაც მიღებულია მათი გამოთავისუფლებისას.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით სამი თვის ვადაში განსაზღვროს გადიდებული ფასდებებისა და სატარიფო განაკვეთების გამოყენების წესი და პირობები.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა და საკავშირო პროფსაბჭომ განახორციელონ სისტემატური კონტროლი გადიდებული სანარდო ფასდებებისა და დროებრივ მუშათა გადიდებული სატარიფო განაკვეთების სწორად და ეფექტიანად გამოყენებისადმი.

13. ნება დაერთოთ გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს მისცენ ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე, რაც მიღებულია ხელფასის საგეგმო ფონდთან ან დაწესებულ ნორმატივთან შედარებით, შრომის ნორმირების მუშაკებს თანამდებობრივი სარგოების დანამატები სარგოს 50 პროცენტამდე ოდენობით ქვედანაყოფებში შრომის ნორმირების მაღალი დონის მიღწევისათვის. აღნიშნული დანამატები გაუქმდეს მუშაობის ხარისხის გაუარესებისას.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა საკავშირო პროფსაბჭოსთან შეთანხმებით ექვსი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს ზემოაღნიშნული დანამატების გაცემის წესი და პირობები.

14. შრომის საკითხებზე ნორმატიული მასალებით, შრომისა და სოციალურ საკითხებზე სამეცნიერო, მეთოდიკური, საცნობარო და სხვა ლიტერატურით გაერთიანებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით დაევალოს მისი გამოცემა სსრ კავშირის გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს. აღნიშნული ლიტერატურის გამოსაშვებად შეიქმნას 1985 წელს გამომცემლობა „ეკონომიკაში“ სპეციალური რედაქციები.

15. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით და დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების მონაწილეობით შეიტანოს 1985 წელს შრომის შესახებ მოქმედ სტატისტიკურ ანგარიშგებაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი და დამატებანი. შეიმუშაოს და, მოყოლებული მეთორმეტე ხუთწლედიდან, შემოიღოს ანგარიშგება ტრანსპორტზე, ვაჭრობაში, საბინაო-კომუნალურ მეურნეობასა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაში, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სოციალურ-კულტურულ დარგებში შრომის ნორმირების შესახებ.

16. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებთან და რესპუბლიკურ საბჭოებთან ერთად 1987 წლის პირველ კვარტალში წარუდგინონ სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტსა და საკავშირო პროფსაბჭოს მოხსენებანი ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) მოახსენოს საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად 1987 წლის მესამე კვარტალში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ამ დადგენილების შესრულებისათვის გაწეული მუშაობის შესახებ;

ბ) წარმოუდგინოს ყოველწლიურად, მოყოლებული 1986 წლიდან, საკავშირო პროფსაბჭოსთან და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოხსენებანი მრეწველობისა და მშენებლობაში შრომის ნორმირების მდგომარეობისა და შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დანერგვისათვის უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულების შესახებ. სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მიხედვით მოხსენებანი ზემოაღნიშნულ საკითხებზე წარმოადგინოს სამ წელიწადში ერთხელ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ტიხონოვი**	საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე **ს. შალაევი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

58 **საქართველოს სს რესპუბლიკაში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და სარგებლობის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 115-ე მუხლის შესაბამისად საქა.. რთველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული თანდართული ინსტრუქცია საქართველოს სს რესპუბლიკაში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და სარგებლობის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 12 სექტემბერი, № 601.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1985 წლის 12 სექტემბრის № 601 დადგენილებით

Ი Ნ ს ტ რ უ ქ ც ი ა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და სარგებლობის წესის შესახებ

1. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები განკუთვნილია იმ მოქალაქეთა ჩასახლებისათვის, რომლებიც თავიანთი შრომითი ურთიერთობის ხასიათის გამო მუშაობის ადგილზე ან მის მახლობლად უნდა ცხოვრობდნენ. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები მოქალაქეებს ეძლევათ სსრ კავშირის კანონმდებლობით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დაწესებული მუშაკთა კატეგორიების ნუსხის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები შეიძლება მიეცეთ აგრეთვე სხვა კატეგორიათა მუშაკებს.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები შეიძლება მიეცეთ ცალკეულ კატეგორიათა სამხედრო მოსამსახურეებს.

2. სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების საბინაო ფონდის საცხოვრებელი სადგომი სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვში შეიტანება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით. საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა სახლების საცხოვრებელი სადგომი სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვში შეიტანება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შუამდგომლობით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლების საცხოვრებელი სადგომები სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვში შეიძლება შეტანილ იქნენ მხოლოდ კოოპერატივის წევრთა საერთო კრების თანხმობით.

3. კოლმეურნეობათა კუთვნილ სახლებში საცხოვრებელი სადგომების შეტანა სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვში და იმ კატეგორიების მუშაკთა ნუსხის დადგენა, რომელთაც შეიძლება მიეცეთ ასეთი სადგომები, ხდება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

4. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებისათვის გამოიყოფა, როგორც წესი, ცალკე ბინები. არ დაიშვება სამსახურებრივი სადგომების მიცემა რამდენიმე დამქირავებლის მიერ ჩასახლებულ ბინებში, რომლებშიც თუნდაც ერთი სადგომი სამსახურებრივი არ არის.

5. სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვში საცხოვრებელი სადგომების შეტანის წინ სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ამოწმებს, შეესაბამება თუ არა ამ მიზნისათვის გათვალისწინებული სადგომები სანიტარიულ და ტექნიკურ მოთხოვნებს და ამ ინსტრუქციის მოთხოვნებს.

თუ სამსახურებრივი სადგომი არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს, შესაბამისი აღმასრულებელი კომიტეტი უარს ამბობს სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვში მის შეტანაზე.

6. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების აღრიცხვა წარმოებს სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა აღრიცხვის წიგნში (დანართი № 1).

7. გადაწყვეტილებას სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის მიცემის შესახებ იღებენ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, კოლმეურნეობის გამგეობა, სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების მმართველობის ორგანოები, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანოები, ჯარის ნაწილის სარდლობა, რომელთა გამგებლობაშიც არის სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები.

8. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომი ეძლევათ 9-დან 12 კვადრატულ მეტრამდე საცხოვრებელი ფართობის ფარგლებში ოჯახის თითოეულ წევრზე.

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის მიცემისას არ დაიშვება ერთ ოთახში ცხრა წელზე უფროსი სხვადასხვა სქესის პირთა ჩასახლება (გარდა მეუღლეებისა).

9. მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომი სარგებლობაში გადაეცემა სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული სპეციალური ორდერით (დანართი № 2), რომელიც ერთადერთი საფუძველია ამ სადგომში ჩასახლებისათვის. ორდერების ბლანკები მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტებს წარმოადგენენ.

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების საცხოვრებელ სახლებში არსებული სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისას ორდერებს გასცემს სახალხო დეპუტატთა სასოფლო (სადაბო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

10. ორდერი ეძლევა უშუალოდ იმ მოქალაქეს, რომელსაც მიეცა სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომი, ან სხვა პირს მინდობილობით.

11. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომით სარგებლობა ფორმდება ქირავნობის ხელშეკრულებით (დანართი № 3), რომელიც დაიდება გამქირავებელსა (საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, კოლმეურნეობა, სხვა კოოპერაციული ორგანიზაცია, მისი გაერთიანება, პროფკავშირული ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ჯარის ნაწილის სარდლობა) და დამქირავებელს შორის.

12. მუშები და მოსამსახურენი, რომელთაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, აგრეთვე მოქალაქენი, რომლებიც გაირიცხნენ კოლმეურნეობის წევრობიდან ან გავიდნენ კოლმეურნეობიდან საკუთარი სურვილით, გამოსახლებულ უნდა იქნენ სასამართლო წესით სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომიდან მათთან ერთად მცხოვრები ყველა პირითურთ სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად.

13. სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომებიდან სხვა საცხოვრებელი სადგომის მიუცემლად არ შეიძლება გამოსახლებულ იქნენ:

ა) ომის ინვალიდები და სხვა ინვალიდები სამხედრო მოსამსახურეთაგან, რომლებიც დაინვალიდდნენ სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად, ანდა ფრონტზე ყოფნასთან დაკავშირებული დაავადების შედეგად;

ბ) დიდი სამამულო ომის მონაწილენი, რომლებიც მოქმედი არმიის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ;

გ) სსრ კავშირის დაცვის ან სამხედრო სამსახურის სხვა მოვალეობათა შესრულების დროს დაღუპულ ან უგზოუკვლოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა და პარტიზანთა ოჯახები;

დ) სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახები;

ე) ინვალიდები სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითთა და უფროსთა შემადგენლობის პირთაგან, რომლებიც დაინვალიდდნენ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად;

ვ) პირნი, რომელთაც სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის მიმცემ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში იმუშავეს არანაკლებ ათი წლისა;

ზ) იმ თანამდებობიდან განთავისუფლებული პირნი, რომელთან დაკავშირებითაც მიეცათ მათ საცხოვრებელი სადგომი, მაგრამ არ შეუწყვეტიათ შრომითი ურთიერთობა ამ სადგომის მიმცემ საწარმოსთან, დაწესებულებასთან ორგანიზაციასთან;

თ) საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ლიკვიდაციის ანდა მუშაკთა რიცხვისა თუ შტატის შემცირების გამო დათხოვნილი პირნი;

ი) მოხუცებულობის გამო პენსიონერები, პერსონალური პენსიონერები;

კ) იმ გარდაცვლილი მუშაკის ოჯახის წევრები, რომელსაც მიცემული ჰქონდა სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომი;

ლ) შრომის I და II ჯგუფის ინვალიდები და სამხედრო მოსამსახურეთა და მათთან გათანაბრებულ პირთაგან I და II ჯგუფის ინვალიდები;

მ) მარტოხელა პირნი მათთან ერთად მცხოვრები არასრულწლოვანი შვილებითურთ.

14. ბინის ქირა და კომუნალური და სხვა მომსახურების გადასახდელი დამქირავებელს შეაქვს დადგენილი წესით და ოდენობით. დანარჩენ კატეგორიათა მუშაკებს სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები უფასოდ ეძლევათ (თუ არსებობს ამის შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტები).

15. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა საცხოვრებელ სახლებში საცხოვრებელი სადგომი ამოირიცხება სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვიდან სახალხო დეპუტატთა იმ რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, რომელმაც შეიტანა იგი სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვში საწარმოს, დაწესებულების ორგანიზაციის შუამდგომლობით.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა და კოლმეურნეობათა საცხოვრებელ სახლებში საცხოვრებელი სადგომი ამოირიცხება სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომთა რიცხვიდან კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით, რაც შემდგომ ეცნობება სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და სარგებლობის წესის შესახებ ინსტრუქციის დანართი № 1

წ ი გ ნ ი

_____ საცხოვრებელი სახლების სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების აღრიცხვისა

(ქალაქი, რაიონი)

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის (საცხოვრებელი სახლის) მისამართი, ქუჩა, სახლისა და ბინის ნომერი	საცხოვრებელი სადგომის (სახლის) კეთილმოწყობა	სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის (საცხოვრებელი სახლის) ოდენობა			ნომერი და თარიღი აღმასკომის გადაწყვეტილებისა		გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა დამქირავებლისა, რომელმაც მიიღო სამსახურებრივი სადგომი	ორდერის ნომერი და გაცემის თარიღი	შენიშვნა
		ოთახების (ბინების) რაოდენობა	საერთო ფართობი (კვადრატული მეტრი)	საცხოვრებელი ფართობი (კვადრატული მეტრი)	სამსახურებრივ სადგომთა რიცხვში საცხოვრებელი სადგომის შეტანის	სამსახურებრივი სადგომის მიცემის შესახებ			

ბ. ა.

პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა, თანამდებობა

19_____ წლის „_____“ _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და სარგებლობის წესის შესახებ ინსტრუქციის დანართი № 2

(წინა მხარე)

_____ სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი

ფორმა ორდერისა № ——— —

სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომზე

მიეცა 19——— წლის „———“ _____

მოქ. _____

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის დასაკავებლად მისამართით: ——— (ქალაქი,

_____

რაიონი, დაბა, სოფელი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა)

——— ქუჩა, სახლი № ———, ბინა № ———, საერთო ფართობი ———

კვადრატული მეტრი ——— ოთახის შემადგენლობით ——— კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით.

ორდერის გაცემის საფუძველი _____

(საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმი-

_____

ნისტრაციის, კოლმეურნეობის გამგეობის, მმართველობის ორგანოს, სხვა კოო-

_____

პერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებების, პროფკავშირული ან სხვა საზო-

_____

გადოებრივი ორგანიზაციის ორგანოს, ჯარის ნაწილის სარდლობის გადაწყვეტილება)

19——— წლის „———“ _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

(უკანა მხარე)

მოქ. _____ ოჯახი, რომ-

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ლის წევრები უნდა ჩაეწერონ მოცემულ სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომ-ში, შედგება _____ სულისაგან.

№№ რიგ.	გვარი, სახელი, მამის სახელი	ნათესაური ურთიერთობა	დაბადების წელი

აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე

(ხელმოწერა)

სახელის ინიციალი, გვარ-

(ბეჭედი)

შენიშვნა: ორდერი უნდა შეივსოს სამ ცალად, რომელთაგან ერთი რჩება აღმასკომში, მეორე — სახლის მფლობელს კუთვნილების შიხედვით, მესამე მიეცემა სამსახურებრივ **სადგომის დამქირავებელს.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკაში სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების მიცემისა და სარგებლობის წესის შესახებ ინსტრუქციის დანართი № 3

ტიპობრივი ხელშეკრულება

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის შესახებ

_____ 19_____ წლის „_____“ _____
(ქალაქი)

_____
(საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია)

_____
(თანამდებობა, გვარი, სახელი, მამის სახელი)

_____ სახით, რომელიც მოქმედებს _____

_____ საფუძველზე, შემდგომ „გამქირავებლად“ წოდებულმა ერთი მხრივ,

და მოქალაქე _____

_____, შემდგომ „დამქირავებლად“ წოდებულმა, მეორე

მხრივ, სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის დაკავების შესახებ _____
(ორდერის

_____ ორდერის საფუძველზე
გაცემის თარიღი და აღმასრულებელი კომიტეტის დასახელება)

დავდეთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. გამქირავებელი აძლევს სარგებლობაში დამქირავებელს მისი მუშაობის

დროისათვის _____
(საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია და დამქირავებლის თანამდებობა)

_____ სამსახურებრივ საცხოვრებელ სადგომს, რომელიც შედგება _____

ოთახისაგან _____ კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობით _____
(ქალაქი,

_____
რაიონი, დაბა, სოფელი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა)

_____ ქუჩაზე № _____ სახლის № _____ ბინაში.

გამოყოფილი სამსახურებრივი საცხოვრებელი და დამხმარე სადგომების, აგრეთვე საინჟინრო მოწყობილობის დახასიათება და ტექნიკური მდგომარეობა აღნიშნულია პასპორტში (თან ერთვის), რომლებიც ამ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

2. დამქირავებელი კისრულობს:

ა) უზრუნველყოს საცხოვრებელი და დამხმარე სადგომების დაცვა-პატრონობა, მზრუნველობით მოეპყრას მათს სანიტარიულ-ტექნიკურ და სხვა მოწყობილობას, კეთილმოწყობის ობიექტებს, დაიცვას საცხოვრებელი სახლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესები, სახანძრო უსაფრთხოების წესები, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები, სისუფთავე და წესრიგი სადარბაზოებში, ლიფტის კაბინებში, კიბის უჯრედებზე და საერთო სარგებლობის სხვა ადგილებში, ეკონომიურად ხარჯოს წყალი, გაზი, ელექტროენერგია და თბოენერგია, არ გამოიყენოს საცხოვრებელი სადგომები პირადი გამორჩენის, არაშრომითი შემოსავლის მიღებისა და სხვა ანგარებითი მიზნებისათვის, აგრეთვე საზოგადოების ინტერესების საზიანოდ;

ბ) ყოველთვიურად შეიტანოს ბინის ქირა და კომუნალური მომსახურების (წყალი, გაზი, ელექტროენერგია, თბოენერგია) და სხვა გადასახდელები დაწესებული ოდენობით ნაცხოვრები თვის მომდევნო თვის არა უგვიანეს ათი რიცხვისა;

გ) ჩაატაროს თავის ხარჯზე დაკავებული საცხოვრებელი და დამხმარე სადგომების და მათი მოწყობილობის მიმდინარე რემონტი საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესებში აღნიშნული მოცულობით და ვადებში;

დ) არ მოახდინოს საცხოვრებელი და დამხმარე სადგომების გადაკეთება და გადაგეგმარება ან შიგ არსებული მოწყობილობის გადაადგილება. არ მოაწყოს დამხმარე სადგომებში სახელოსნოები და სამეურნეო საწყობები, ხოლო ლოჯიებში — გისოსები და შემინული ფანჯრები ოჯახის წევრთა, გამქირავებლის წერილობითი თანხმობის და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვის გარეშე.

დამქირავებელი, რომელიც გადააკეთებს ან გადააგეგმარებს საცხოვრებელ თუ დამხმარე სადგომს, მოვალეა თავის ხარჯზე მოიყვანოს ეს სადგომი წინანდელ მდგომარეობაში;

ე) აუნაზღაუროს გამქირავებელს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით ის ზარალი, რომელიც დამქირავებელმა ან მასთან ერთად მცხოვრებმა პირებმა მიაყენეს საცხოვრებელ და დამხმარე სადგომებს და მათს მოწყობილობას;

ვ) მთელ ოჯახთან ერთად სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე წასვლისას გაათავისუფლოს და ჩააბაროს გამქირავებელს აქტით დაკავებული საცხოვრებელი და დამხმარე სადგომები და მათი მოწყობილობა წესივრულ მდგომარეობაში. ამასთან აკრძალულია დამქირავებლის მიერ დაყენებული მოწყობილობისა და სამარჯვების მოხსნა, თუ ამის შედეგად დაზიანდება აღნიშნული სადგომების ცალკეული კონსტრუქციები ან მოპირკეთება.

დამქირავებლის მიერ საცხოვრებელი და დამხმარე სადგომებისათვის მიყენებული ზარალი, აგრეთვე მათი მიმდინარე რემონტისათვის შეუსრულებელი სამუშაოები, რაც დამქირავებლის მოვალეობას შეადგენს, ფიქსირდება სადგომების ჩაბარების აქტში. ამ შემთხვევაში დამქირავებელი მოვალეა გადაიხა-

დოს საჭირო რემონტის ღირებულება და დაფაროს მიყენებული დაზიანები. **გამოსასწორებლად** საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის **ხარჯები.**

სადგომების ჩაბარების აქტს ადგენენ და ხელს აწერენ გამქირავებლის წარმომადგენლები და დამქირავებელი.

3. გამქირავებელი მოვალეა:

ა) წარუდგინოს დამქირავებელს სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომი წესივრულ მდგომარეობაში;

ბ) დროულად ჩაატაროს კაპიტალური რემონტი და უზრუნველყოს სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის საინჟინრო მოწყობილობის შეუფერხებელი მუშაობა;

გ) გამოუყოს დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს კაპიტალური რემონტის ჩატარების დროს სხვა საცხოვრებელი სადგომი (ამასთან არ დაარღვიოს გასარემონტებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება), თუ რემონტის ჩატარება შეუძლებელია დამქირავებლის დროებით გასახლების გარეშე:

დ) აღმოფხვრას საცხოვრებელ და დამხმარე სადგომებში საინჟინრო მოწყობილობის დაზიანებანი და უწესივრობანი დამქირავებლისაგან შეტყობინების მიღების მომენტიდან არა უგვიანეს სამი დღის განმავლობაში, ხოლო ავარიის შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოახდინოს მისი ლოკალიზება. ორი თვის ვადაში აღმოფხვრას დაზიანებანი და ავარიის შედეგები თავის ხარჯზე ან დამქირავებლის, ანდა სხვა დამნაშავე პირთა ხარჯზე, თუ დადასტურდა, რომ ეს მათი მიზეზით მოხდა;

ე) ჩაატაროს სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომების საერთო დათვალიერება და მათი მოწყობილობის პროფილაქტიკური მომსახურება საბინაო ფონდის ტექნიკური ექსპლუატაციის წესებითა და ნორმებით გათვალისწინებულ ვადებში.

4. ოჯახის სრულწლოვან წევრებს ეკისრებათ დამქირავებელთან ერთად სოლიდარული ქონებრივი პასუხისმგებლობა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებათა **გამო.**

5. ეს ხელშეკრულება შეიძლება მოიშალოს გამქირავებლის მოთხოვნით, თუ დამქირავებელმა შეწყვიტა შრომითი ურთიერთობა საწარმოსთან, დაწესებულებასთან, ორგანიზაციასთან, კოლმეურნეობასთან. დამქირავებლისა და მასთან ერთად მცხოვრები ყველა პირის გასახლება დაკავებული სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომიდან ხდება კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით.

6. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები წყდება საქართველოს სსრ საბინაო კოდექსისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

7. ამ ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილ დავას წყვეტს სასამართლო.

8. ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ცალად, ერთი ინახება გამქირავებელთან, მეორე — დამქირავებელთან.

ვამქირავებელი (ხელმოწერა) სახელის ინიციალი, გვარი

დამქირავებელი (ხელმოწერა) სახელის ინიციალი, გვარი

საცხოვრებელი სადგომებით სარგებლობის, საცხოვრებელი სახლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოვლა-პატრონობის წესებს დამქირავებელი გაეცნო.

დამქირავებელი (ხელმოწერა) სახელის ინიციალი, გვარი

სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ტიპობრივი ხელშეკრულების დანართი

პ ა ს პ ო რ ტ ი

_____
(ქალაქი, რაიონი, დაბა, სოფელი, კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა)

_____ ქუჩაზე, № ____ სახლის № ____ ბინაში მდებარე სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომისა.

საცხოვრებელი სახლი ეკუთვნის _____
(ადგილობრივი საბჭოების, საუწყებო, საზ-
_____ —საბინაო ფონდს
გადოებრივი)

სადგომის დახასიათება

_____ კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სადგომი შედგება ____ კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ____ ოთახისაგან

მათ შორის:

№ 1 ოთახი _____ კვადრატული მეტრი
№ 2 ოთახი „
№ 3 ოთახი „
№ 4 ოთახი „
სამზარეულო _____ _____ კვადრატული მეტრი ფარ-
(კალკი, საერთო სარგებლობის)
თობით, რომელსაც აქვს _____ ქურატიანი ქურა, აბაზანა, სანკვანძი, რომელიც აღჭურვილია _____
_____ კვადრატული მეტრი დერეფანი, _____ კვადრატული მეტრი ანტრესოლები, ____ კვადრატული მეტრი ჩაშენებული კარადები, ____ _____ კვადრატული მეტრი საკუჭნაოები.
გარდა ამისა, არის _____ კვადრატული მეტრი დამხმარე სადგომი.
საცხოვრებელ სადგომს აქვს: _____
(ცენტრალური, ღუმელით გათბობა, ნაგავსატარი,
_____
წყალსადენი, კანალიზაცია, ელექტროგანათება, გაზქურა, ელექტროქურა)
ბინაში არის: _____
(ტელეფონი, რადიოსატრანსლაციო ქსელი, სატელევიზიო ქსელი,
_____
შესასვლელი კარის დისტანციური მართვა და სხვ.)

საცხოვრებელი სახლი საექსპლუატაციოდ გადაეცა 19____ წლის „____“ ____ _____ საცხოვრებელი სადგომი და მისი მოწყობილობა წესივრულ მდგომარეობაშია.

გამქირავებელი (ხელმოწერა)	**დამქირავებელი (ხელმოწერა)**
სახელის ინიციალი, გვარი	**სახელის ინიციალი, გვარი**

59 საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ შემუშავებული თანდართული ინსტრუქცია საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 12 სექტემბერი, № 602.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1985 წლის 12 სექტემბრის № 602 დადგენილებით

ინსტრუქცია

საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის წესის შესახებ

1. ეს ინსტრუქცია განსაზღვრავს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე საცხოვრებელი სადგომების დაჯავშნის ერთიან წესს.

2. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომები დამქირავებლებსა და მათი ოჯახების წევრებს ეჯავშნებათ:

ა) თუ ისინი იგზავნებიან საზღვარგარეთ სამუშაოდ — საზღვარგარეთ ყოფნის მთელი დროისათვის;

ბ) თუ ისინი მიდიან სამუშაოდ უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში — შრომითი ხელშეკრულების მოქმედების მთელი დროისათვის, ხოლო სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებსა და მათთან გათანაბრებულ ადგილებში ყოფნის მთელი დროისათვის.

სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საცხოვრებელი სადგომების დაჯავშნის სხვა შემთხვევებიც.

3. დამქირავებელს ან მისი ოჯახის წევრს ეჯავშნება ქირავნობის ხელშეკრულებით დაკავებული მთელი საცხოვრებელი სადგომი, მიუხედავად იმისა, რჩებიან თუ არა იქ ოჯახის სხვა წევრები ან მიემგზავრებიან მასთან ერთად. ამ უკანასკნელ შემთხვევაში საცხოვრებელი ფართობი ეჯავშნებათ ოჯახის წამსვლელ წევრებსაც.

— დამქირავებლის ოჯახის ყოფილ წევრებს, რომლებიც მასთან ერთად ცხოვრობენ, აქვთ საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის ისეთივე უფლება, როგორც დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს.

4. საცხოვრებელი სადგომი მოქალაქემ უნდა დაჯავშნოს წასვლის მომენტიდან არა უგვიანეს ექვსი თვისა.

ამ ვადის გასვლის შემდეგ საცხოვრებელი სადგომი აგრეთვე შეიძლება დაეჯავშნოთ მოქალაქეებს, თუ სასამართლო ცნობს, რომ მათ არ დაუკარგავთ უფლება აღნიშნულ საცხოვრებელ სადგომზე.

5. ამ ინსტრუქციის მე-2 პუნქტში აღნიშნულ შემთხვევებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი გასცემს გამქირავებლისათვის წარსადგენად დაცვის მოწმობას (ჯავშანს) დაწესებული ფორმის მიხედვით (დანართი № 1).

6. დაცვის მოწმობის (ჯავშნის) მოქმედების ვადა გამოიანგარიშება მისი გაცემის დღიდან.

7. დაცვის მიწმობა (ჯავშანი) გაიცემა დასაჯავშნი საცხოვრებელი სადგომის ადგილსამყოფელის მიხედვით, საცხოვრებელი სახლის კუთვნილების მიუხედავად.

დაჯავშნული საცხოვრებელი სადგომი აღირიცხება დაწესებული ფორმის მიხედვით დაჯავშნული საცხოვრებელი სადგომების აღრიცხვის წიგნში ,(დანართი № 2).

8. დაცვის მოწმობის (ჯავშნის) მისაღებად დამქირავებელს (მისი ოჯახის წევრს) ან მისი მინდობილობით—სხვა პირს შეაქვს განცხადება. განცხადებას თან დაერთვის შრომითი ხელშეკრულების ასლი, ხოლო სხვა შემთხვევებში— შესაბამისი საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შუამდგომლობა.

მუშაკის ოჯახის წევრს, რომელიც მისი მუშაობის ადგილზე მიემგზავრება, შეაქვს მხოლოდ განცხადება.

9. დაცვის მოწმობა (ჯავშანი) მოქალაქეს ეძლევა ორ ცალად. პირველ ცალს იგი წარუდგენს დასაჯავშნი საცხოვრებელი სადგომის ადგილსამყოფელის მიხედვით საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციას ხელწერილით, ხოლო მეორე ცალი რჩება მოქალაქეს, რომელმაც დაჯავშნა საცხოვრებელი სადგომი.

დაცვის მოწმობა (ჯავშანი) ინახება საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციაში, როგორც მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტი.

10. დაცვის მოწმობა (ჯავშანი) გაიცემა ამ ინსტრუქციის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადებისათვის.

საზღვარგარეთ ყოფნის დროის გაგრძელების, შრომითი ხელშეკრულების ხელახლა დადების ან გაგრძელების და სხვა შემთხვევაში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით, დაცვის მოწმობა (ჯავშანი) გაიცემა ახალი ვადით მოქალაქის განცხადების საფუძველზე საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების (შრომითი ხელშეკრულების ასლი, საწარმოს, დაწესებულებების, ორგანიზაციების შუამდგომლობა) თანდართვით.

11. საცხოვრებელი სადგომი არ ეჯავშნებათ:

ა) თუ წარდგენილია სარჩელი საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის ან შეცვლის შესახებ:

ბ) სამსახურებრივ საცხოვრებელ ფართობზე და საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებთ;

გ) სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში მცხოვრებ დროებითს მდგმურებსა და ქვემოქირავნეებს;

დ) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა სახლებსა და მოქალაქეთა პირადი საკუთრების სახლებში მცხოვრებ დამქირავებლებს.

12. უარი დაცვის მოწმობის (ჯავშნის) გაცემაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლო წესით.

13. მოქალაქისათვის მიცემული დაცვის მოწმობა (ჯავშანი) შეიძლება ცნობილ იქნეს ბათილად სასამართლო წესით.

14. მოქალაქენი, რომელთაც დაჯავშნეს საცხოვრებელი სადგომი, ინარჩუნებენ უფლებებს და კისრულობენ ვალდებულებებს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მიხედვით.

საცხოვრებელი ფართობი, რომლით სარგებლობის უფლება უნარჩუნდება დროებით სხვაგან მყოფ მოქალაქეს, ზედმეტ ფართობად არ ითვლება.

15. დამქირავებელს უფლება აქვს დადგენილი წესით ქვექირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე გააქირავოს დაჯავშნული საცხოვრებელი სადგომი ან ჩაასახლოს ამ სადგომში დროებითი მდგმურები დაცვის მოწმობის (ჯავშნის) მოქმედების ვადის ფარგლებში.

დამქირავებლის ან მისი ოჯახის წევრთა დაბრუნების შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მოითხოვონ დაჯავშნული საცხოვრებელი სადგომის დაუყოვნებლივ განთავისუფლება, დაცვის მოწმობის (ჯავშნის) მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად.

თუ ქვემოქირავნეები ან დროებითი მდგმურები უარს ამბობენ გაათავისუფლონ სადგომი, მაშინ ისინი დამქირავებლის მოთხოვნით შეიძლება გამოსახლებულ იქნენ სასამართლო წესით სხვა სადგომის მიუცემლად.

16. თუ დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრები დაცვის მოწმობის (ჯავშნის) მოქმედების ვადის დამთავრების შემდეგ ექვსი თვის განმავლობაში არ წარადგენენ მოთხოვნას მათთვის სადგომის დაბრუნების შესახებ, საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად შეიძლება მოიშალოს სასამართლო წესით.

17. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების, სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარებისა და ორგანოების ზევადიან სამსახურში მყოფ სამხედრო მოსამსახურეებს, პრაპორშჩიკებს, მიჩმანებსა და ოფიცერთა შემადგენლობის პირებს, აგრეთვე მათი ოჯახების წევრებს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში საცხოვრებელი სადგომი ეჯავშნებათ მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე.

18. ინდივიდუალური საბინაო ფონდისა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივთა ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომები ეჯავშნებათ საცხოვრებელი სახლის მესაკუთრის ოჯახის წევრებსა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრის ოჯახის წევრებს ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით.

19. დაცვის მოწმობის (ჯავშნის) მოქმედების განმავლობაში დროებით სხვაგან მყოფ დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს უნარჩუნდებათ უფლება-მოვალეობანი საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების მიხედვით.

საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის წესის შესახებ ინსტრუქციის დანართი 1

დაცვის მოწმობის (ჯავშნის) ფორმა

_____ სახალხო დეპუტატთა
საბჭოს აღმასკომი

19____ წლის „____" _____

ყუა დაცვის მოწმობისა
(ჯავშნისა) № _____

მიეცა მოქ. _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

იმისათვის, რომ დაჯავშნოს მის მიერ დაკავებული _____ კვადრატული მეტრი
საცხოვრებელი სადგომი, რომელიც შედგება—
_____
(მომიჯნავე, იზოლირებული)

ოთახ(ებ)ისაგან _____
(ცალკე, კომუნალურ)

ბინაში მისამართით: _____
(ქალაქი, დაბა, სოფელი, პროსპექტი
ქუჩა, შესახვევი და სხვ.)

სახლი № ____, კორპუსი № ____, ბინა № ____

_____ გამგზავრების გამო
(სად)

_____ სახალხო დეპუტატთა
საბჭოს აღმასკომი

19____ წლის „____" _____

დაცვის მოწმობა (ჯავშანი) № _____
(მეორე ცალი)

მიეცა მოქ. _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

იმისათვის, რომ დაჯავშნოს მის მიერ დაკავებული _____ კვადრატული მეტრი
საცხოვრებელი სადგომი, რომელიც შედგება—
_____
(მომიჯნავე, იზოლირებული)

ოთახ(ებ)ისაგან _____
(ცალკე, კომუნალურ)

ბინაში მისამართით: _____
(ქალაქი, დაბა, სოფელი, პროსპექტი
ქუჩა, შესახვევი და სხვ.)

სახლი № ____, კორპუსი № ____, ბინა № ____

_____ გამგზავრების გამო
(სად)

_____ სახალხო დეპუტატთა
საბჭოს აღმასკომი

19____ წლის „____" _____

დაცვის მოწმობა (ჯავშანი) № _____
(პირველი ცალი)

მიეცა მოქ. _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

იმისათვის, რომ დაჯავშნოს მის მიერ დაკავებული _____ კვადრატული მეტრი
საცხოვრებელი სადგომი, რომელიც შედგება—
_____
(მომიჯნავე, იზოლირებული)

ოთახ(ებ)ისაგან _____
(ცალკე, კომუნალურ)

ბინაში მისამართით: _____
(ქალაქი, დაბა, სოფელი, პროსპექტი
ქუჩა, შესახვევი და სხვ.)

სახლი № ____, კორპუსი № ____, ბინა № ____

_____ გამგზავრების გამო
(სად)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯავშნის საფუძველი ——————

(შრომითი ხელშეკრულება, საწარმოს,

——————

დაწესებულების, ორგანიზაციის შუამდგომ-
ლობა)

ეს დაცვის მოწმობა (ჯავშანი) ძალაშია 19——

წლის „————“ ————— დან 19——

„————“ ——————— მდე

——————— სახალხო დეპუტატთა

საბჭოს აღმასკომის საცხოვრებელი ფართობის
აღრიცხვისა და განაწილების განყოფილების
უფროსი (სპეციალურად დანიშნული თანამდე-
ბობის პირი) ——————

(ხელმოწერა)

დაცვის მოწმობის (ჯგუფის) პირველი და
მეორე ცალები მივიღე

19——— წლის „————————“

(ხელმოწერა)

დაჯავშნის საფუძველი ——————

(შრომითი ხელშეკრულება, საწარმოს,

——————

დაწესებულების, ორგანიზაციის შუამდგომ-
ლობა)

ეს დაცვის მოწმობა (ჯავშანი) ძალაშია 19——

წლის „————“ ————— დან 19 ——— წლის

„————“ ——————— მდე

——————— სახალხო დეპუტატთა

საბჭოს აღმასკომის საცხოვრებელი ფართობის
აღრიცხვისა და განაწილების განყოფილების
უფროსი (სპეციალურად დანიშნული თანამდე-
ბობის პირი) ——————

(ხელმოწერა)

ბ. ა.

დაცვის მოწმობის (ჯავშნის) პირველი ცალი
მიიღო საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზა-
ციამ

19——— წლის „————————“

(ხელმოწერა)

დაჯავშნის საფუძველი ——————

(შრომითი ხელშეკრულება, საწარმოს,

——————

დაწესებულების, ორგანიზაციის შუამდგომ-
ლობა)

ეს დაცვის მოწმობა (ჯავშანი) ძალაშია 19——

წლის „————“ ————— დან 19 ——— წლის

„————“ ——————— მდე

——————— სახალხო დეპუტატთა

საბჭოს აღმასკომის საცხოვრებელი ფართობის
აღრიცხვისა და განაწილების განყოფილების
უფროსი (სპეციალურად დანიშნული თანამდე-
ბობის პირი) ——————

(ხელმოწერა)

ბ. ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სს რესპუბლიკაში საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის წესის შესახებ ინსტრუქციის დანართი № 2

წ ი გ ნ ი

დაჯავშნული საცხოვრებელი სადგომების აღრიცხვისა

დასახლებული პუნქტი _____

(ქალაქი, სოფელი, დაბა და სხვ.)

_____

(სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს

_____

აღმასკომის დასახელება)

დაიწყო 19 ——— წლის _____

დამთავრდა 19——— წლის _____

№№ რიგ.	განცხადების შემოსვლის თარიღი	განმცხადებლის გვარი, სახელი, მამის სახელი	საცხოვრებელი სადგომის მისამართი და დაჯავშნის ოდენობა	საცხოვრებელი სადგომის დაჯავშნის საფუძველი (შრომითი ხელშეკრულება, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის შუამდგომლობა)	დაცვის მოწმობის (ჯავშნის) თარიღი და ნომერი	რა ვადით იჯავშნება საცხოვრებელი სადგომი	შენიშვნა

60 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 23 დეკემბრის № 829 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 24 დეკემბრის № 829 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1983 წლის 24 დეკემბრის № 829 დადგენილებით დამტკიცებულ ცვლილებებს, რომლებიც შეტანილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებში, მე-3 პუნქტის პირველ აბზაცში სიტყვის: „ფოთის“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „ზუგდიდის“, შემდეგ როგორც ტექსტშია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ქართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1985 წ. 16 სექტემბერი, № 608.

61 მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ

მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის მიყიდვის მოწესრიგებისა და მისი შეძენისათვის რაც შეიძლება მოხერხებული პირობების შექმნის, აგრეთვე საქონლის ნისიად გაყიდვის საკითხებზე ნორმატიული აქტების სიმრავლის აღმოფხვრის მიზნით, „მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 5 ივლისის № 622 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს თანდართული ინსტრუქცია საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციების მიერ მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო საწარმოების მიერ ნისიად მისაყიდი ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის თანდართული ნუსხა.

ნუსხა შეიძლება შეივსოს რესპუბლიკის საცალო სავაჭრო ქსელში საკმარისი რაოდენობით არსებული საქონლით (საიუველირო ნაწარმის გარდა).

3. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ „მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 5 ივლისის № 622 დადგენილებით:

დაწესდა, რომ:

— მყიდველებს მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონელი გადაეცემათ, როცა გადაიხდიან მისი ღირებულების არანაკლებ 25 პროცენტს, ხოლო 3 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საქონლის შეძენისას — არანაკლებ 50 პროცენტს. საქონლის ღირებულების დანარჩენი ნაწილი მყიდველებმა უნდა გადაიხადონ 6 თვიდან 3 წლამდე ვადაში, ხოლო 3 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საქონლისა — 4 წლამდე ვადაში.

საქონლის ნისიად მიყიდვისას მყიდველებს სავაჭრო საწარმოების სასარგებლოდ გადახდეთ მიცემული კრედიტის თანხის 2 პროცენტი, ხოლო 3 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საქონლის მიყიდვისას — 3 პროცენტი.

— იმ შემთხვევაში, როცა მყიდველებს მათი წერილობითი დავალებების საფუძველზე არასრულად დაუკავდათ ნისიად შეძენილი ხანგრძლივი სარგებლობის საქონლისათვის მორიგი გადასახდელები საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიზეზით ან სავაჭრო საწარმოებს დროულად არ გადაერიცხათ კრედიტის დასაფარავად დაკავებული თანხები, აგრეთვე დაირღვა სავაჭრო საწარმოებისათვის იმ პირთა შესახებ შეტყობინების ვადა, რომლებიც განთავისუფლდნენ სამუშაოდან და აქვთ ნისიად ნაყიდი საქონლის დავალიანება, საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები შესაბამის სავაჭრო საწარმოებს გადაუხდიან საურავს დაუკავებელი (გადაურიცხავი) თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით ყოველი დაგვიანებული დღისათვის.

შეტანილია ცვლილებანი:

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 9 აგვისტოს № 2241 განკარგულების მე-2 პუნქტში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 915 დადგენილებით“ შეიცვალა სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 5 ივლისის № 622 დადგენილებით“;

— „სსრ კავშირის სახბანკის მიერ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მოკლევადიანი დაკრედიტების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 25 იანვრის № 56 დადგენილების მე-8 პუნქტში (სსრკ დადგ. კრებ., 1973 წ., № 3, მუხ. 12) სიტყვები: „მაგრამ არა უმეტეს ორი წლისა“ შეიცვალა სიტყვებით: „მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო 3 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საქონლისათვის — არა უმეტეს ოთხი წლისა“.

4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 დეკემბრის № 815 დადგენილება „საქონლის ნისიად გაყიდვის დროს სავაჭრო ორგანიზაციათა სასარგებლოდ მყიდველებისათვის პროცენტების გადახდევინების წესისა და ოდენობის შეცვლის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის № 252 დადგენილება „საქონლის ნისიად გაყიდვის საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 17 აპრილის № 193 დადგენილება „ხანგრძლივი სარგებლობის ცალკეული სამრეწველო საქონლის ნისიად გაყიდვის პირობების ზოგიერთი ცვლილების შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1975 წლის 29 ოქტომბრის № 650 დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 18 სექტემბერი, № 614.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 18 სექტემბრის
№ 614 დადგენილებით

ინსტრუქცია

საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო საწარმოების მიერ მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ

1. 100 მანეთზე მეტი ღირებულების ხანგრძლივი სარგებლობის საქონელი ნისიად იყიდება ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებში და სოფლად სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მაღაზიების მეშვეობით. აღნიშნული საქონლის სიებს ამტკიცებენ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო და ცეკავშირის გამგეობა ვაჭრობის ადგილობრივი ორგანოების, სავაჭრო ორგანიზაციების, მუშათა მომარაგების სამმართველოებისა და განყოფილებების წარდგენით.

2. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოები საქონელს ნისიად მიჰყიდიან, როგორც წესი, მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ და მუშაობენ ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბასა და სოფელში, სადაც მდებარეობს ნისიად მოვაჭრე მაღაზიები, აგრეთვე პენსიონერებს (არამომუშავეებს), რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ამავე ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბასა და სოფელში.

მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ ერთ, მაგრამ მუშაობენ სხვა ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბასა და სოფელში, საქონელი ნისიად შეიძლება მიეყიდოთ მხოლოდ მაღაზიებში მყიდველის მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით სავაჭრო ორგანიზაციასთან (მაღაზიასთან) პირდაპირი ანგარიშსწორების პირობებით.

იმ პირებს, რომლებიც მუშაობენ დროებით, სეზონურად ან გამოსაცდელი ვადით, აგრეთვე იმათ, ვინც ჩაწერილი არ არის მოცემულ ქალაქში, ქალაქის ტიპის დაბასა და სოფელში, საქონელი ნისიად არ მიეყიდებათ.

3. ნისიად მისაყიდი საქონლის ნუსხას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წარდგენით, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობის ზონაში — ცეკავშირის გამგეობის წარდგენით.

4. მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს საქონელი ნისიად მიეყიდებათ მას შემდეგ, რაც ისინი წარადგენენ პასპორტს, სამუშაო ადგილიდან გაცემულ ცნობას საშუალო-თვიური ხელფასის ოდენობის შესახებ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მიღებულის მიხედვით, № 1 დანართის თანახმად, და სახლმმართველობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ცნობას, ხოლო პენსიონერებს — მას შემდეგ, რაც ისინი წარადგენენ პასპორტს, სოციალური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მიერ გაცემულ ცნობას მიღებული პენსიის ოდენო-

ბის შესახებ № 2 დანართის თანახმად, და სახლმმართველობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს აღმასკომის ცნობას.

სამუშაო ადგილიდან ცნობას მიღებული ხელფასის შესახებ საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის ხელმძღვანელი მისცემს მხოლოდ იმ მუშებს, მომსამსახურეებსა და კოლმეურნეებს, რომლებმაც მუდმივ სამუშაოზე იმუშავეს არანაკლებ 6 თვისა.

5. ნისიად ნაყიდი საქონლისათვის ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგნაირად:

სამრეწველო საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეებისათვის — სამრეწველო საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები გადაურიცხავენ სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას) სახბანკის სესხის ხარჯზე იმ საქონლის სრულ ღირებულებას, რომელიც ნისიად შეიძინეს მათმა მუშებმა და მოსამსახურეებმა;

დაწესებულებათა მუშაკებისათვის — დაწესებულება მუშაობის ადგილის მიხედვით დაუკავებს მუშაკს ხელფასიდან და შეპირობებულ ვადებში გადაურიცხავს გადასახდელებს შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას);

კოლმეურნეები, პენსიონერები (არამომუშავეები) და ერთ ქალაქში მუდმივად მცხოვრები, მაგრამ სხვაგან მომუშავე პირები უშუალოდ შეიტანენ შეპირობებულ ვადებში ნაღდ ფულს შესაბამისი სავაჭრო ორგანიზაციის (მაღაზიის) სალაროში ან შემნახველ სალაროში საქონლის ნისიად ყიდვის ადგილის მიხედვით.

მყიდველი გააფორმებს საგადამხდელო ვალდებულება-დავალებას, № 7 დანართის თანახმად, იმ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, კოლმეურნეობის სახელზე, სადაც იგი მუშაობს.

საგადამხდელო ვალდებულება-დავალება შედგება ორ ცალად, რომელთაგან ერთს მყიდველი ჩააბარებს საწარმოს, ორგანიზაციას, დაწესებულებას, კოლმეურნეობას სამუშაო ადგილის მიხედვით ნისიად ნაყიდი საქონლისათვის ანგარიშის გასასწორებლად, ხოლო საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების. კოლმეურნეობის მიერ დამოწმებულ მეორე ცალს წარუდგენს მაღაზიას.

იმ შემთხვევებში, როცა ნისიად ნაყიდი საქონლისათვის მყიდველი ანგარიშს ასწორებს სავაჭრო ორგანიზაციის (მაღაზიის) სალაროში ან შემნახველ სალაროში ნაღდი ფულის შეტანის გზით, მაღაზიაში გაფორმდება ვალდებულება № 4 დანართის თანახმად დაწესებული ფორმით.

6. საგადამხდელო ვალდებულება-დავალებებს დაამოწმებენ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების, კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, მთავარი (უფროსი) ბუღალტერი, ამასთან მხოლოდ იმ მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეებისათვის, რომლებმაც მუდმივ სამუშაოზე იმუშავეს არანაკლებ 6 თვისა, და არ უნდა დაუმოწმონ იმ პირებს, როლმებსაც აღმასრულებელი ფურცლებით ან სხვა აღმასრულებელი დოკუმენტებით ეკავებათ ხელფასის 50 პროცენტი.

ხელფასის ან პენსიის (პენსიონერთათვის) ოდენობის შესახებ ცნობების განმეორებით გაცემა და მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეებისათვის სა-

მუნიციპალური ბიბლიოთეკა

გადამხდელო ვალდებულება-დავალებათა დამოწმება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად იქნება გასწორებული ანგარიში იმ საქონლისათვის, რომელიც მათ ნისიად შეიძინეს წინათ გაცემული ცნობებისა და დამოწმებული საგადამხდელო ვალდებულება-დავალებების მიხედვით.

ბლანკები ცნობებისა საშუალო-თვიური ხელფასის შესახებ, რომლებსაც ორგანიზაციები, საწარმოები, დაწესებულებები, კოლმეურნეობები მისცემენ თავიანთ მუშაკებს, და ცნობებისა პენსიის ოდენობის შესახებ, რომლებსაც სოციალური უზრუნველყოფის ორგანოები მისცემენ პენსიონერებს სავაჭრო ორგანიზაციებისათვის (საწარმოებისათვის) წარსადგენად საქონლის ნისიად ყიდვის მიზნით, აღირიცხება მკაცრი ანგარიშგების დოკუმენტის თანაბრად.

საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში დოკუმენტური რევიზიების ჩატარებისას შემოწმდება, თუ რამდენად სწორად არის გაცემული ცნობები საქონლის ნისიად შეძენის შესახებ და დროულად გადაერიცხათ თუ არა გადასახდელები სავაჭრო ორგანიზაციებს საგადამხდელო ვალდებულება-დავალებების მიხედვით.

7. მყიდველებს მათ მიერ ნისიად შეძენილი 3000 მანეთამდე ღირებულების საქონელი მიეცემათ იმ შემთხვევაში, როდესაც გადაიხდიან მისი ღირებულების არანაკლებ 25 პროცენტს, და 3000 მანეთზე მეტი ღირებულების საქონლის ყიდვისას — 50 პროცენტს. 3000 მანეთამდე საქონლის ღირებულების დანარჩენი ნაწილი გადახდილ უნდა იქნეს 6 თვიდან 3 წლამდე ვადაში, ხოლო 3000 მანეთზე მეტი ღირებულების საქონლისა — 4 წლამდე ვადაში.

100 მანეთზე მეტი და 1000 მანეთამდე ღირებულების საქონლისათვის გადასახდელთა განვადება ხდება 12 თვემდე ვადით, 2000 მანეთამდე ღირებულებისა — 2 წლამდე, 3000 მანეთამდე ღირებულებისა — 3 წლამდე და 3000 მანეთზე მეტი ღირებულებისა — 4 წლამდე ვადით.

საქონლის ნისიად გაყიდვა 12 თვემდე განვადებით წარმოებს იმ თანხის ოდენობით, რაც არ აღემატება მყიდველის ოთხი თვის ხელფასს (პენსიას), 3 წლამდე — რვა თვის ხელფასის (პენსიის) ფარგლებში და 3 წელზე მეტი — წლიური ხელფასის ფარგლებში.

ისეთი საქონლის ნისიად ყიდვის დროს, რომლის ღირებულება აღემატება კრედიტის ზღვრულ თანხას, საქონლის ღირებულებასა და კრედიტის თანხას შორის სხვაობა მყიდველმა უნდა აანაზღაუროს საქონლის მიღების დროს.

დიდი სამამულო ომის ინვალიდ მყიდველებს მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონელი მიეცემათ თავდაპირველი შესატანის გადაუხდელად, ამასთან მისი ღირებულება უნდა ანაზღაურდეს 24 თვემდე ვადაში, თანაბარ ნაწილებად მათი რვა თვის ხელფასის (პენსიის) ფარგლებში.

8. საქონლის ნისიად გაყიდვის დროს მყიდველს სავაჭრო ორგანიზაციის სასარგებლოდ გადახდებათ ფაქტიურად მიცემული კრედიტის თანხის 2 პროცენტი, როცა გადასახდელი განვადებულია 12 თვემდე, 2,5 პროცენტი — 2 წლამდე, 3 პროცენტი — 2 წელზე მეტი.

საქონლის ნისიად გაყიდვის დროს დიდი სამამულო ომის ინვალიდ მყიდველებს სავაჭრო ორგანიზაციის სასარგებლოდ გადახდებათ მიცემული კრედი-

ტის თანხის 1 პროცენტი, გადასახდელთა განვადების ხანგრძლივობის მიუხედავად.

9. ნისიად გაყიდული საქონლისათვის ანგარიშსწორება ხდება გაყიდვის მომენტში მოქმედი ფასების მიხედვით. ნისიად გაყიდული საქონლის საცალო ფასების შეცვლისას მყიდველებთან გადაანგარიშება არ მოხდება.

10. ისეთი წესით ანგარიშსწორების დროს, როდესაც მყიდველებს ნისიად ნაყიდი საქონლისათვის ფული უნდა დაუკავდეთ ხელფასიდან სამუშაო ადგილზე. საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები და მთავარი (უფროსი) ბუღალტრები მოვალენი არიან დაუკავონ ხელფასიდან მორიგი შესატანები მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც მისცეს საგადამხდელო ვალდებულება-დავალებანი, და გადაურიცხონ ეს თანხები შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს (მაღაზიებს) ვალდებულებით შეპირობებულ ვადებში.

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები, კოლმეურნეობები სახელმწიფო ბანკის განყოფილებებიდან ხელფასის გასაცემად საჭირო სახსრების მიღებისას იმავდროულად ჩააბარებენ საგადამხდელო დავალებებს ორგანიზაციებისათვის (მაღაზიებისათვის) იმ თანხების გადარიცხვის შესახებ, რომლებიც მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს დაუკავდათ ხელფასიდან მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონლისათვის. ამ საგადამხდელო დავალებებს თან უნდა დაერთოს იმ მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა სიები (გვარის, სახელის, მამის სახელის აღნიშვნით), რომლებსაც დაუკავდათ ფული, ამასთან უნდა აღინიშნოს ვალდებულება-დავალებების, იმ მაღაზიების ნომრები, სადაც მათ შეიძინეს საქონელი ნისიად, დაკავებული თანხა, დავალიანების ნაშთი, ხოლო თუ ასეთი ოპერაციები არ ჩატარებულა, — შესაბამისი ცნობა.

მუშის, მოსამსახურის, კოლმეურნის დათხოვნის ან გადაყვანის შემთხვევაში საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, კოლმეურნეობის გამგეობა მოვალეა დაუკავოს მას ნისიად შეძენილი საქონლისათვის მთელი დარჩენილი დავალიანება და გადაურიცხოს იგი სავაჭრო ორგანიზაციას. ამასთან მთელი დაკავებული თანხა არ უნდა აღემატებოდეს მოქმედი კანონმდებლობით დაწესებულ ფარგლებს, დანარჩენი ვალი მუშამ, მოსამსახურემ, კოლმეურნემ უნდა შეიტანოს ნაღდ ფულად საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის სალაროში.

თუ საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, კოლმეურნეობა არ გადარიცხავს ყოველთვიურ გადასახდელებს დაწესებულ ვადებში და რომელიმე ვალდებულების მიხედვით ვადაგადაცილებული დავალიანების თანხა აღემატება სამი თვის გადასახდელის თანხას, სავაჭრო ორგანიზაციას უფლება აქვს წაუყენოს საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, კოლმეურნეობას, სადაც მუშაობს მყიდველი, ინკასოზე მოცემული ვალდებულების მიხედვით მთელი დარჩენილი თანხა. გადახდაზე უარის შემთხვევაში სავაჭრო ორგანიზაციას უფლება აქვს გადაახდევინოს გადაუხდელი თანხა სახელმწიფო არბიტრაჟის მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ შემთხვევაში, როცა მყიდველებს მათი წერილობითი დავალებების საფუძველზე არასრულად დაუკავდათ ნისიად შეძენილი ხანგრძლივი სარგებლობის საქონლისათვის მორიგი გადასახდელები საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, კოლმეურნეობის მიზეზით ან სავაჭრო საწარმოებს დროულად არ გადაერიცხათ კრედიტის დასაფარავად დაკავებული თანხები, აგრეთვე დაირღვა სავაჭრო საწარმოებისათვის იმ პირთა შესახებ შეტყობინების ვადა, რომლებიც განთავისუფლდნენ სამუშაოდან და აქვთ ნისიად ნაყიდი საქონლის დავალიანება, საწარმო, დაწესებულება, ორგანიზაცია, კოლმეურნეობა შესაბამის სავაჭრო საწარმოებს გადაუხდიან საურავს დაუკავებელი (გადაურიცხავი) თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით ყოველი დაგვიანებული დღისათვის.

11. სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი მიიღებენ საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და კოლმეურნეობებისაგან ხელფასის გასაცემად საჭირო სახსრების მიღების დღეებში იმის დავალებებს, რომ გადაურიცხონ სავაჭრო ორგანიზაციებს (მაღაზიებს) თანხები, რაც მუშა-მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს დაუკავდათ ხელფასიდან მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონლისათვის, და იმავე დღეს გადარიცხავენ დავალებებში აღნიშნულ თანხებს სავაჭრო ორგანიზაციების (მაღაზიების) სპეციალურ სასესხო ანგარიშებზე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა სხვა დაუფარავი გადასახდელები, ხელფასის გარდა, და გადაერიცხათ თუ არა საფინანსო ორგანოებს ხელფასიდან დაკავებული გადასახადების თანხები.

საგადამხდელო დავალებებზე თანდართული სიები მუშა-მოსამსახურეებისა და კოლმეურნეებისა, რომლებსაც დაუკავდათ მორიგი გადასახდელები ნისიად ნაყიდი საქონლისათვის, გადაეცემათ შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს (მაღაზიებს).

12. თუ დროზე არ იქნა შეტანილი მორიგი გადასახდელები ნისიად ნაყიდი საქონლისათვის, მყიდველს სავაჭრო ორგანიზაციის (მაღაზიის) სასარგებლოდ გადახდება საურავი ვადაგადაცილებული თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ ნისიად ნაყიდი საქონლისათვის გადასახდელები შეტანილი არ იქნა ზედიზედ ორი თვის განმავლობაში, სავაჭრო ორგანიზაციას (მაღაზიას) უფლება აქვს იძულებით გადაახდევინოს მყიდველს მთელი დარჩენილი დავალიანება დარიცხულ საურავიანად აღმასრულებელი სანოტარო წარწერის მიხედვით, ხოლო სანოტარო კანტორები მოვალენი არიან გააკეთონ სანოტარო წარწერები მთელ დარჩენილ დავალიანებაზე, დარიცხული საურავის ჩათვლით.

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც მყიდველს არ დაუფარავს ნისიად ნაყიდი საქონლის დავალიანება შეპირობებულ ვადებში, საპატიო მიზეზების გამო (დროებითი შრომისუუნარობა, ოჯახის წევრთა ავადმყოფობა ან გარდაცვალება და ა. შ.), სავაჭრო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უფლება აქვთ გაუგრძელონ მას გადასახდელთა შეტანა, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა, მას შემდეგ, რაც მყიდველი წარადგენს შესაბამის ცნობას.

13. ნისიად ნაყიდ საქონელზე ვრცელდება სარგებლობის საგარანტიო ვადები და მყიდველის მიერ საქონლის ფაქტიური მიღების მომენტიდან გამოცვლის წესი, რომლებიც დადგენილია საცალო სავაჭრო ქსელში ნაღდ ანგარიშზე ნაყიდი ასეთივე საქონლისათვის.

14. ერთ მყიდველს ერთდროულად შეიძლება ნისიად მიეცეს რამდენიმე საგანი, თუ მათი ღირებულების თანხა არ აღემატება 12 თვემდე განვადებისას მის ოთხი თვის ხელფასს (პენსიას), 3 წლამდე განვადებისას — რვა თვის და 3 წელზე მეტი განვადებისას —მის წლიურ ხელფასს (პენსიას).

15. საქონლის ნისიად გაყიდვის ოპერაციებისა და ანგარიშსწორების საბუღალტრო აღრიცხვა ხორციელდება სავაჭრო ორგანიზაციებსა და მაღაზიებში საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მითითებათა თანახმად.

16. საქონლის ყიდვის უფლების შესახებ ცნობების გაცემისა და მათი აღრიცხვის დადგენილი წესის დარღვევისათვის, იმისათვის, რომ მუშა-მოსამსახურეებს დროულად არ დაუკავდათ ხელფასიდან საგადამხდელო ვალდებულებადავალებების მიხედვით ნისიად ნაყიდი საქონლისათვის მორიგი შესატანები, გადაერიცხოთ ეს თანხები შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს (საწარმოებს) და შეატყობინონ სავაჭრო ორგანიზაციებს (საწარმოებს) იმ პირთა დათხოვნა ან სხვა საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში გადაყვანა, რომლებსაც აქვთ ნისიად შეძენილი საქონლის დავალიანება, საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებსა და მთავარ (უფროს) ბუღალტრებს ეკისრებათ პერსონალური პასუხისმგებლობა.

17. კონტროლს იმისადმი, რომ სწორად იქნეს დაყენებული აღრიცხვა და ცნობების გაცემა, აგრეთვე დროულად იქნეს გასწორებული ანგარიში ნისიად გაყიდული საქონლისათვის, განახორციელებენ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, სამინისტროები და უწყებები.

დანართი № 1
ინსტრუქციისა მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ (შეავსებს საწარმოს, ორგანიზაციის ბუღალტერია)

შტამპის ადგილი

საგარანტიო ცნობა

საქონლის ნისიად შეძენისათვის

მიეცა ამხ. _____
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

198 წლის „ “ _____ იმის შესახებ, რომ იგი მუდმივად მუშაობს

_____
(საწარმოს, ორგანიზაციის სრული დასახელება)

_____ თანამდებობაზე და მისი ყოველთვიური

ხელფასი შეადგენს _____ მანეთს
(თანხა სიტყვებით)

და შეუძლია შეიძინოს ნისიად _____
(საქონლის დასახელება)

პასპორტი, სერია № _____
(ვის მიერ არის გაცემული)

საფოსტო ინდექსი _____ და ტელეფონის № _____

ბინის მისამართი _____

ამხ. _____ არა აქვს არავითარი

დავალიანება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 26 დეკემბრის № 912 დადგენილების შესაბამისად ვკისრულობთ ვალდებულებას ყოველთვიურად დავუკავოთ მორიგი გადასახდელები ხელფასიდან და გადავურიცხოთ სავაჭრო ორგანიზაციას, რომელსაც ექვემდებარება მაღაზია, მომდევნო თვის არა უგვიანეს 10 რიცხვისა, ხოლო სამუშაოდან დათხოვნის შემთხვევაში მივიღოთ ზომები დარჩენილი დავალიანების მთლიანად დაფარვისათვის.

ჩვენი საწარმოს (ორგანიზაციის) საანგარიშსწორებო ანგარიშია _____

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის _____ განყოფილებაში.

საფოსტო ინდექსი _____ და საწარმოს მისამართი _____

_____ მთავარი (უფროსი) ბუღალტრის ტელეფონის

№ _____

ხელმძღვანელი _____ გვარი

(ხელმოწერა)

მთავარი ბუღალტერი _____

(ხელმოწერა)

პროფკომიტეტის თავმჯდომარე _____

(ხელმოწერა)

საწარმოების (ორგანიზაციების) ხელმძღვანელთა საყურადღებოდ:

1. აკრძალულია საგარანტიო ცნობის გაცემა წინა ცნობის მიხედვით ვალის მთლიანად დაფარვამდე.

2. ცნობა მიეცემათ მხოლოდ იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც მუდმივ სამუშაოზე იმუშავეს არანაკლებ ექვსი თვისა, და არ უნდა მიეცეთ იმ პირებს, რომლებსაც აღმასრულებელი ფურცლების მიხედვით უკავდებათ ხელფასის 50 პროცენტი.

მყიდველთა საყურადღებოდ:

1. საქონლის ნისიად ყიდვის გასაფორმებლად საჭიროა წარმოადგინოთ ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, დამოწმებული სახლმმართველობაში, ხელმოწერილი და შტამპდასმული.

2. საგარანტიო ცნობის მოქმედების ვადაა 15 დღე.

3. საქონლის ნისიად გაყიდვის სავაჭრო ორგანიზაციის მისამართია _____

_____

დირექცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2
ინსტრუქციისა მოქალაქეთათვის ხანგრძ-
ლივი სარგებლობის საქონლის ნისიად
მიყიდვის წესის შესახებ

შტამპი სოციალური

უზრუნველყოფის ორგანიზაციისა,

რომელმაც გასცა ცნობა

ცნობა

მიეცა მოქ. _____ იმის შესახებ,
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

რომ იგი ნამდვილად არის პენსიონერი (არამომუშავე) და იღებს სახელმწიფო

პენსიას თვეში _____ მანეთის
(თანხა სიტყვებით)

ოდენობით _____
(იმ ორგანიზაციის სრული დასახელება, სადაც იღებს პენსიას, და მისი
საფოსტო მისამართი)

ცნობა გაცემულია საქონლის ნისიად საყიდლად ქალაქ _____

_____ მაღაზიაში და ძალაშია 15 დღის განმავლობაში დღიდან

გაცემისა.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი _____

ბუღალტერი _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3
ინსტრუქციისა მოქალაქეთათვის ხანგრძ-
ლივი სარგებლობის საქონლის ნისიად
მიყიდვის წესის შესახებ

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

_____

სავაჭრო ორგანიზაციის კოდი

ქ. _____ _____

_____ ქუჩა _____

საგადამხდელო ვალდებულება-დავალება

_____

გაფორმების თარიღი	ბანკის განყოფილების კოდი	საწარმოს საანგარიშსწორებო ანგარიში №	საკონტროლო თანხა

მე, მოქ. _____ რომელიც, ვმუშაობ

(ორგანიზაციის, დაწესებულების, საწარმოს, საამქროს სრული დასახელება, ტაბელი (№)

შევიძინე _____

(სავაჭრო ორგანიზაციის დასახელება)

მაღაზიაში (უნივერმაღში) ნისიად შემდეგი

საქონელი:

საქონლის დასახელება	სექციის კოდი	საქონლის ჯგუფის კოდი	რაოდენობა	თანხა

საცალო ფასი _____

შეტანილია ნაღდ ფულად _____

_____ ჩაითვალა ტალონით _____

_____ პროცენტი კრედიტისათვის _____

_____ გადასახდელი თანხა
პროცენტობით _____

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაფარულია საერთო თანხის
_____ პროცენტი

მიცემული კრედიტის
_____ თანხა _____

_____ სულ დასაფარავია _____

საქონლის დარჩენილი გადაუხდელი ღირებულება _____
(თანხა სიტყვებით)

_____ (ოდენობით) დამიკავოს _____

_____ ბუღალტერიამ ჩემი ხელფასიდან ყოველთვიურად
(საწარმოს დასახელება)

_____ მანეთი _____ დან _____ მდე სავაჭრო

ორგანიზაციისათვის გადასარიცხად.

საცხოვრებელი ადგილისა და სამუშაო ადგილის გამოცვლის შემთხვევაში ვკისრულობ დაუყოვნებლივ შევატყობინო სავაჭრო ორგანიზაციას და გადავიხადო დარჩენილი დავალიანება ხელფასის დაქვითვის გზით ან შევიტანო ნაღდ ფულად საწარმოს სალაროში განთავისუფლებამდე.

მყიდველმა წარმოადგინა _____ სერიის პასპორტი № _____,

გაცემული _____ მიერ, გაცემის თარიღი _____

დაბადების წელი _____, რიცხვი _____, თვე _____, დაბადების ადგილი —

_____, პასპორტი გაწერილია 198_____ წლის
(ოლქი, რაიონი, ქალაქი, სოფელი)

„ " _____ _____
(მილიციის განყოფილების დასახელება)

მისამართით _____
(დასახლებული პუნქტი, _____ ქ. № _____)

ცნობა № _____ 198____ წ. „ " _____

დოკუმენტები შეამოწმა _____ მყიდველი _____

ვალდებულება-დავალება № _____ მიიღო

დირექტორი _____

მთავარი ბუღალტერი _____

ეროვნული № 5 ბიბლიო

დანართი № 4
ინსტრუქციისა მოქალაქეთათვის ხანგრძ-
ლივი სარგებლობის საქონლის ნისიად
მიყიდვის წესის შესახებ

ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ქალაქი _____ 198____ წ. „ “ _____

მე, მოქ. _____, _____ რომელიც ვცხოვრობ
(გვარი, სახელი, მამის სახელი)

_____ ში
(სრული საფოსტო მისამართი — ქალაქი, რაიონი, დაბა)

_____ ქუჩაზე, სახლი № _____ ბინა № _____ და

ვმუშაობ _____,
(საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების სრული დასახელება და საფოსტო მისამართი)

ვიყიდე № _____ მაღაზიაში _____ ნისიად
(სავაჭრო ორგანიზაციის დასახელება)

_____ თვის განვადებით და მივიღე _____
(საქონლის სრული

_____
დასახელება, არტიკული, მარკა და ა. შ.)

საქონლის საცალო ფასი _____ მან. _____ კაპ. _____,

საქონლის მიღებისას ნაღდ ფულად გადახდილია საქონლის ღირებულების ____

_____ პროცენტი _____ მან. _____ კაპ., განვადებისათვის ____

პროცენტი _____ მან. _____ კაპ.

საქონლის ღირებულების ნაშთი _____ ოდენობით მოვალე ვარ

გადავუხადო სავაჭრო ორგანიზაციას, რომელსაც ექვემდებარება მაღაზია, ან შევიტანო შემნახველ სალაროში საქონლის ნისიად ყიდვის ადგილის მიხედვით, ნაღდ ფულად შემდეგ ვადებში:

| ფულის შეტანის თარიღი | | |

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1985 წლის 18 სექტემბრის № 614 დადგენილებით

ნუსხა

ხანგრძლივი სარგებლობის საქონლისა, რომელიც იყიდება ნისიად საქართველოს სსრ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სავაჭრო საწარმოებში

1. სამამულო წარმოების რადიომიმღებები, 100 მანეთზე მეტი ღირებულების ტრანზისტორული რადიომიმღებების ჩათვლით.

2. სამამულო წარმოების რადიოლები.

3. სამამულო წარმოების შავ-თეთრი გამოსახულების ტელევიზორები.

4. სამამულო წარმოების ფერადი გამოსახულების ტელევიზორები, „რუბინ-714“, „ელექტრონ-714“ და დიაგონალზე 67-სანტიმეტრი კინესკოპიანი ტელევიზორების გარდა.

5. სამამულო წარმოების ტელერადიოლები.

6. სამამულო წარმოების მაგნიტოფონები, „იუპიტერ“ და „როსტოვ“ მარკების მაგნიტოფონების გარდა.

7. სამამულო წარმოების ვიდეომაგნიტოფონები.

8. სამამულო წარმოების 100 მანეთზე მეტი ღირებულების ფოტოაპარატები, ფოტოთოფის გარდა.

9. სამამულო წარმოების 100 მანეთზე მეტი ღირებულების კინოკამერები და კინოპროექტორები და კინოფოტოგადაღების სამუშაოთა განხორციელებისათვის საჭირო აპარატურის სრული კომპლექტები.

10. საყოფაცხოვრებო კონდიციონერები.

11. სამამულო წარმოების ყველა მარკის მაცივრები, „ზილ“ და „მინსკ“ მარკების მაცივრების გარდა.

12. სამამულო წარმოების მოტოციკლები, მოტოროლერები და მოპედები.

13. კატარღები, ლითონის ნავები, ნავის ძრავები „ვიხრ-25“.

14. სამამულო წარმოების 100 მანეთზე მეტი ღირებულების ავეჯი.

15. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს ცხაკაიას ხალიჩების კომბინატის მიერ წარმოებული შალნარევი ქაკარდის ხალიჩები (1 კვადრატული მეტრის ღირებულება — 85 მანეთი) და ხელით ნაქსოვი ხალიჩები.

16. 600 მანეთი და მეტი ღირებულების იმპორტული ხალიჩები და საბერძნეთის წარმოებული ხალიჩები „პლაკატი“ (ერთი ცალის ღირებულება — 600 მანეთამდე).

17. სამამულო წარმოების ყველა დასახელების პიანინოები.

18. სამამულო წარმოების აკორდეონები, გარმონები, ბაიანები.

19. 100 მანეთი და მეტი ღირებულების შალის ქსოვილები.

20. სამამულო წარმოების 100 მანეთზე მეტი ღირებულების მამაკაცის, ქალის, ბავშვის კოსტიუმები და პალტოები.

21. სამამულო წარმოების 100 მანეთზე მეტი ღირებულების ბეწვეული და ბეწვეულის ნაწარმი.

22. სამამულო წარმოების 100 მანეთზე მეტი ღირებულების ყველა მარკის მაჯის საათები.

23. სარეცხი მანქანა „ვიატკა“ და სამამულო წარმოების ელექტრომექანიკურსაწურიანი სარეცხი მანქანები.

24. სამამულო წარმოების ყველა მარკის გაზის ქურები.

25. სამამულო წარმოების 100 მანეთზე მეტი ღირებულების ბროლის ნაწარმი და ბროლის ჭაღები.

26. ავტომობილის მისაბმელები ტურისტებისათვის.

27. სტანდარტული სახლები და საბაღე სახლები.

28. 100 მანეთზე მეტი ღირებულების მხატვრული ნაწარმი, ავტორთა მიერ საკომისიო საწყისებზე მიღებული ნაწარმოებების, ძვირფასი ლითონებისა და ქვებისაგან დამზადებული ნაკეთობების და რესპუბლიკაში გადიდებული მოთხოვნილების მქონე ნაკეთობების ან ნაწარმოებების გარდა.

შენიშვნები:

1. ძველი, ნახმარი ტელევიზორების ჩაბარებისას ნისიად გაიცემა სამამულო წარმოების უკლებლივ ყველა მარკის ახალი ტელევიზორები გადასახდელის 24 თვის განმავლობაში თანაბარ ნაწილებად განვადებით, მოყოლებული ყიდვის შემდგომი კალენდარული თვიდან, პირველი შესატანის ნაღდ ფულად გადახდისაგან განთავისუფლებით.

2. ძველი, ნახმარი სამამულო წარმოების ელექტრონმილაკიანი და ელექტრონმილაკიან-ნახევარგამტარიანი რადიომიმღებებისა და რადიოლების ჩაბარებისას ნისიად გაიცემა სამამულო წარმოების ახალი რადიომიმღებები, რადიოლები, მაგნიტოლები და მაგნიტორადიოლები გადასახდელის 24 თვემდე თანაბარ ნაწილებად განვადებით, მოყოლებული ყიდვის შემდგომი კალენდარული თვიდან, პირველი შესატანის ნაღდ ფულად გადახდისაგან განთავისუფლებული. ამასთან კრედიტის დასაფარავად ყოველთვიური შესატანი 5 მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს, რის მიხედვითაც განისაზღვრება კრედიტის ვადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 622

1985 წლის 5 ივლისი

მოსკოვი, კრემლი

მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ

მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის მიყიდვის გაფართოების და ამ საქონლის შეძენისათვის რაც შეიძლება მოხერხებული პირობების შექმნის, აგრეთვე საქონლის ნისიად გაყიდვის საკითხებზე ნორმატიული აქტების სიმრავლის აღმოფხვრის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ხანგრძლივი სარგებლობის საქონელი მოქალაქეებს შეიძლება მიეყიდოთ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საწარმოების მიერ ნისიად (გადასახდელის განვადებით).

საქონელი იყიდება გაყიდვის დღეს მოქმედ ფასებში. ნისიად გაყიდული საქონლის ფასების შემდგომი ცვლილება არ იწვევს გადაანგარიშებას.

ნისიად გასაყიდი ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნუსხას განსაზღვრავენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები. ნუსხაში შეიძლება შეტანილ იქნეს მოკავშირე რესპუბლიკის საცალო სავაჭრო ქსელში საკმარისი რაოდენობით არსებული საქონელი (საიუველირო ნაწარმის გარდა).

2. მყიდველებს მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონელი გადაეცემათ, როცა გადაიხდიან მისი ღირებულების არანაკლებ 25 პროცენტს, ხოლო 3 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საქონლის შეძენისას — არანაკლებ 50 პროცენტს. საქონლის ღირებულების დანარჩენი ნაწილი მყიდველებმა უნდა გადაიხადონ

6 თვიდან 3 წლამდე ვადაში. ხოლო 3 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საქონლისა — 4 წლამდე ვადაში.

საქონლის ნისიად მიყიდვისას მყიდველებს სავაჭრო საწარმოების სასარგებლოდ გადახდეთ მიცემული კრედიტის 2 პროცენტი, ხოლო 3 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საქონლის მიყიდვისას — 3 პროცენტი.

3. ნისიად გაყიდული ხანგრძლივი სარგებლობის საქონლისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება შემდეგნაირად — მყიდველებს ნაღდი ფული მორიგი გადასახდელის დასაფარავად შეაქვთ სავაჭრო საწარმოთა სალაროებში.

მყიდველთათვის მოხერხებული პირობების შესაქმნელად მათი წერილობითი დავალებების საფუძველზე საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები დაუკავებენ დავალების მიმცემ მოქალაქეს ხელფასიდან ნისიად შეძენილი ხანგრძლივი სარგებლობის საქონლისათვის მორიგ გადასახდელთა თანხას და გადაურიცხავენ შესაბამის სავაჭრო საწარმოებს.

ნისიად ნაყიდი ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის მორიგ გადასახდელთა არადროული შეტანისათვის მოქალაქეთა პასუხისმგებლობას განსაზღვრავს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა.

იმ შემთხვევაში, როცა მყიდველებს მათი წერილობითი დავალებების საფუძველზე არასრულად დაუკავდათ ნისიად შეძენილი ხანგრძლივი სარგებლობის საქონლისათვის მორიგი გადასახდელები საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მიზეზით ან სავაჭრო საწარმოებს დროულად არ გადაერიცხათ კრედიტის დასაფარავად დაკავებული თანხები, აგრეთვე დაირღვა სავაჭრო საწარმოებისათვის იმ პირთა შესახებ შეტყობინების ვადა, რომლებიც განთავისუფლდნენ სამუშაოდან და აქვთ ნისიად ნაყიდი საქონლის დავალიანება, საწარმოები, დაწესებულებანი და ორგანიზაციები შესაბამის სავაჭრო საწარმოებს გადაუხდიან საურავს დაუკავებელი (გადაურიცხავი) თანხის 0,1 პროცენტის ოდენობით ყოველი დაგვიანებული დღისათვის.

4. მოქალაქეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვისას სავაჭრო საწარმოებს საცალო საქონელბრუნვის ანგარიშში შეაქვთ გაყიდული საქონლის სრული ღირებულება. ნისიად გაყიდული საქონლის ღირებულების ანაზღაურების ხარჯზე მყიდველთაგან ფაქტიურად მიღებული ფულადი თანხები საცალო საქონელბრუნვის ანგარიშში ცალკე სტრიქონად აღინიშნება.

5. შეტანილ იქნეს ცვლილებანი:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 9 აგვისტოს № 2241 განკარგულების მე-2 პუნქტში სიტყვები: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 915 დადგენილებით“ შეიცვალოს სიტყვებით: „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 5 ივლისის № 622 დადგენილებით“;

„სსრ კავშირის სახბანკის მიერ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მოკლევადიანი დაკრედიტების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 25 იანვრის № 56 დადგენილების მე-8 პუნქტში (სსრკ დადგ. კრებ., 1973 წ., № 3, მუხ. 12) სიტყვები: „მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა“

შეიცვალოს სიტყვებით: „მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო 3 ათას მანეთზე მეტი ღირებულების საქონლისათვის — არა უმეტეს ოთხი წლისა“.

6. ინსტრუქციებს ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ ამ დადგენილების შესაბამისად დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებანი, თანდართული ნუსხის თანახმად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ტიხონოვი**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985
წლის 5 ივლისის № 622 დადგენილებით

ნ უ ს ხ ა

სსრ კავშირის მთავრობის ძალადაკარგული გადაწყვეტილებებისა

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 915 დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1959 წ., № 17, მუხ. 130).

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 4 დეკემბრის № 3405 განკარგულება.

3. მე-17 პუნქტი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 აგვისტოს № 851 დადგენილებისა „ვაჭრობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1960 წ., № 14, მუხ. 114).

4. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 ნოემბრის № 3403 განკარგულება.

5. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 28 მარტის № 330 დადგენილება „მუშა-მოსამსახურეთათვის საქონლის ნისიად მიყიდვის დროს საცალო საქონელბრუნვის აღრიცხვის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1960 წ., № 8, მუხ. 54).

6. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 ნოემბრის № 1202 დადგენილება „საქონლის ნისიად გაყიდვის დროს სავაჭრო ორგანიზაციათა სასარგებლოდ მყიდველებისათვის პროცენტების გადახდევინების წესისა და ოდენობის შეცვლის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებ., 1962 წ., № 20, მუხ. 163).

62 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სახელწოდების საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტად შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობის შუამდგომლობა და იმ მიზნით, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სახელწოდება შეესაბამებოდეს მისი საქმიანობის ნამდვილ პროფილს, ამიერიდან ეწოდოს მას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, ამასთან უცვლელი დარჩეს აღნიშნული ინსტიტუტის ამჟამად მოქმედი სტრუქტურა, სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი, მუშაკთა საშტატო განრიგი და შრომის ანაზღაურების სისტემა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 27 სექტემბერი, № 628.

63 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 9 აგვისტოს № 760 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„პროფესიულ-ტექნიკური განათლების საკითხებზე სსრ კავშირის მთავრობის ზოგიერთი გადაწყვეტილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 9 აგვისტოს № 760 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— „საქართველოს სსრ ქიმიური მრეწველობის საწარმოებისა და მშენებლობების კვალიფიციური მუშებით უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 15 ივნისის № 361 დადგენილების მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის შენობათა მშენებლობის ნაწილში;

— „საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში კვალიფიციურ მუშათა მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 20 ივნისის № 371 დადგენილების მე-3 პუნქტის მეშვიდე აბზაცი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლების მშენებლობის ნაწილში, აგრეთვე ამ დადგენილების მე-13 პუნქტის მეხუთე აბზაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **დ. ჭართველიშვილი**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**

ქ. თბილისი, 1985 წ. 27 სექტემბერი, № 632.

ეროვნული ბიბლიოთეკა

64 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 12 ივნისის № 421 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების არასასურსათო საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა და გაყიდვის წესის ინსტრუქციაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციებსა და საწარმოებში მოძველებული ფასონებისა და მოდელების არასასურსათო საქონლის, აგრეთვე ნაწილობრივ პირვანდელი ხარისხდაკარგული საქონლის ჩამოფასებისა და გაყიდვის წესის ინსტრუქციაში ცვლილებანი და II განაყოფის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყოველწლიურად 1 ოქტომბრის მდგომარეობით ტარდება სახელმწიფო (საცალო და საბითუმო) და კოოპერაციულ ვაჭრობაში გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონლის ნაშთებისა და არსებობის აღრიცხვა.

გაუსავლიან და ჩაწოლილ არასასურსათო საქონელს მიეკუთვნება აღრიცხვის ჩატარების წლის წინა წლის განმავლობაში (იანვრიდან დეკემბრამდე — ჩათვლით), აგრეთვე წინა წლებში მრეწველობის მიერ გამოშვებული საქონელი, რომელიც მოექცა ნაშთებში როგორც საქონელი, რომელიც არ სარგებლობს მოსახლეობის მოთხოვნილებით მოძველებული კონსტრუქციების (სქემების), მოდელების (ფასონების), სტრუქტურების, ნახატების, გაფორმების, საექსპლუატაციო-ტექნიკური და სხვა მახასიათებლების გამო, და რომლის სამომხმარებლო თვისებები არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, აგრეთვე წარმოებიდან მოხსნილი საქონელი.

გაუსავლიან და ჩაწოლილ არასასურსათო საქონელს უნდა მიეკუთვნოს ჩამოფასებული საქონელი, რომელიც ვერ გასაღდა მისი უკანასკნელი ჩამოფასების დღიდან ერთი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში, და საქონელი, რომელსაც ნაწილობრივ დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი ხარისხი, აგრეთვე შემოდგომა-ზამთრის ასორტიმენტის ჩამოფასებული (მიმდინარე წლის თებერვალ-აპრილში) და გაუყიდავი საქონელი.

ისეთი საქონელი, როგორიცაა ფოტო-კინოაპარატურა, ტელევიზორები, მაცივრები, მტვერსასრუტები, ბროლის ნაწარმი, ხალიჩები და ხალიჩის ნაწარმი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების სხვა ნაკეთობანი, რომლებიც წლის განმავლობაში ვერ გაიყიდა, მაგრამ მოხსნილი არაა წარმოებიდან და შენარჩუნებული აქვს თავისი საქონლური სახე და სამომხმარებლო თვისებები და თანდათანობით საღდება, გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონლის კატეგორიას არ უნდა მიეკუთვნოს.

გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონლის შემადგენლობაში არ შედის ნაკეთობანი ძვირფასი ლითონებისა და ქვების გამოყენებით, ბრო-

ლის ელემენტებიანი ელექტროგასანათებელი აპარატურა როგორც სამამულო, ისევე იმპორტული.

გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონლის ნაშთების მოხსნა უნდა განხორციელდეს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს 1972 წლის 13 ივნისის № 113 ბრძანებით დამტკიცებული ინვენტარიზაციის ჩატარების წესის ინსტრუქციის შესაბამისად ამ საქონლის აღწერილობის შედგენის გზით. გაუსავლიანი და ჩაწოლილი არასასურსათო საქონლის ნაშთების არსებობას განსაზღვრავენ სავაჭრო ორგანიზაციათა საქონელმცოდნეები სავაჭრო საწარმოთა ხელმძღვანელებთან და ზემდგომი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად.

აკრძალულია აღწერილობაში გაუსავლიანი და ჩაწოლილი სასურსათო საქონლის ნაშთების შესახებ მონაცემების შეტანა მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა სიტყვით, ფაქტიური ხელახლა დათვლისა და გაზომვის გარეშე".

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ო. ჩერქეზია**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **ა. ხუნწარია**

ქ. თბილისი, 1985 წ. 17 ოქტომბერი, № 653.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდექსი—76187

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 1985 წელი

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/IV-86 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/16,
საბეჭდი თაბახი 7,5 სააღრიცხვო თაბახი 7,5

შეკვეთა 166 უე 02951 ტირაჟი 1820

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს სტამბა.